გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
24 დეკემბერი **შაბათი** 2011
№303 (13600) ფასი 80 თეთრი



დაივიწყეთ ანონსირებული სათაური

# ადიოს, ნადიოს

კარგი ამბავი საჩვენო და საგურამო

## კაშიას ჰოლანდიური აღიარება

4



წასვლაზე ლაპარაკი

# მორჩა დარჩა

ალექს გარსია

2



ქულები და ტრანსფერები

## ზესტაფონში შემოდგომაა ბარაქიანი

2

## მწვრთნელთაცვლა

ახლები ატლეტიკოსა და ვილიარეალში

9



# NBA იწყება

## გამოსაფენი გამოიფინა

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# ალექს გარსიას დროის მანდატი

არახალი ამბავია: ბოლო დღეებში ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაში მთავარი და ყველაზე „ცხელი“ თემა თბილისის „დინამოსთან“ ასოცირდებოდა; უფრო ზუსტად, თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ჭორ-მართალში ვერ ვერკვეოდით: ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე ხომ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა. მთავარი ინტრიგა კი, რალა თქმა უნდა, გუნდის მთავარი მწვრთნელის, **ალექს გარსიას** დარჩენა-არდარჩენა იყო: ერთი ვერსიით, ესპანელი სამშობლოში კონტრაქტით გათვალისწინებულ, უფროსობასთან შეთანხმებულ და „დამსახურებულ“ არდადეგებზე იმყოფებოდა; თუმცა, არც მეორე ვერსია იყო უსაფუძვლო, რომლის მიხედვითაც, გარსია „დინამოს“ მთავარი მწვრთნელობიდან გათავისუფლებული გახლდათ და მის შემცვლელ(ებ)ს კონკრეტული წინადადებებიც შესთავაზეს. და აი, გუშინ ამ ყველაფერს ნათელი მოეფინა და ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილმა ჟურნალისტებმა ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილეთ: ალექს გარსია თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე რჩება! ანუ კლუბი იანვარში დაგეგმილ უცხოურ შეკრებასაც და ჩემპიონატის ბოლომდე დარჩენილ მატჩებს სწორედ ესპანელის ხელმძღვანელობით ჩაატარებს! რა უფლება გვაქვს, „დინამოს“ ხელმძღვანელებს ეს გადაწყვეტილება მოვუწონოთ ან დავუწუნოთ, მით უფრო, რომ გარსიას გუნდის სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო კიდევ აქვს. ისე, სატურნირო მდგომარეობა შემთხვევით არ გვიხსენებია: ზამთრის პაუზას „დინამო“ ერთ ცხრილში („ჩვეულებრივში“) მესამე ადგილზე შეხვდა, მეორეში და ბევრად უფრო მნიშვნელოვანში („ვირტუალურში“) კი - მეხუთეზე! თანაც, რაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, „დინამო“ მართლაც სოლიდური სხვაობით (12 ქულით) ჩამორჩება პირველ ადგილზე მყოფ „ზესტაფონს“.

საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, თბილისის „დინამოს“ სეზონი მესამე ადგილზე ქვემოთ დაემთავრებინოს; არადა, საქართველოს 13-გზის ჩემპიონი, 4-გზის ვერცხლისა და 5-გზის ბრინჯაოს პრიზიორი, გულახდილად რომ ვთქვათ, ამ საფრთხის წინაშე დგას. ალარაფერს ვამბობთ კიდევ ერთ, „დინამოსთვის“ უცხო და უჩვეულო ფაქტზეც: საქართველოს თასის რეკორდსმენი ამ გათამაშებას ... მერვედფინალურ სტადიაზე გამოეთიშა! მოკლედ, ვერავინ იტყვის, „დინამოს“ კარგი დროება უდგასო, თუმცა, როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, სიტუაციის გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება და ვინ იცის, ესპანელი სპეციალისტისთვის „ნდობის მანდატის“ გაგრძელება, იქნებ, წარმატებული ასპარეზობის საწინდარიც გახდეს. ახლა კი გუშინდელ პრესკონფერენციას დავუბრუნდეთ: ჟურნალისტების წინაშე კლუბის სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძე**, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი **ლაშა დვალიშვილი** და პრესატაშე **გიგა გვენცაძე** წარდგნენ, კითხვათა ადრესატი კი, რალა თქმა უნდა, გიორგი ნემსაძე გახლდათ, რომელმაც თავდაპირველად მედიასთან შეხვედრის მიზეზი ახსნა.

■ ■ ■

- დღეს ჩვენი გუნდის შედეგთა ეტაპობრივი შეჯამებაც არის და, რაც მთავარია, გვინდა, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთ იმ ჭორებს, ბოლო დროს ქართულ მედიაში რომ გაჩნდა, ანუ ვადასტურებ იმ ინფორმაციას, რომ ალექს გარსია „დინამოდან“ არ წასულა და მთავარი მწვრთნელის პოსტზე სეზონის ბოლომდე იმუშავებს.

**- რამდენად კმაყოფილი ხართ გუნდის სატურნირო მდგომარეობით?**

- ისე, როგორც კლუბის თითოეული წევრი, ამ ეტაპზე ნაჩვენები შედეგებით კმაყოფილი არც მე ვარ. ანდა, როგორ შეიძლება კმაყოფილი ვიყოთ იმით, რომ ჩემპიონატის ახლებური ფორმატის პირობებში „ზესტაფონს“ 12 ქულით ჩამოვრჩებით...

**- გარსია „დინამოში“ რჩება, მაგრამ აქვს კი ესპანელ მწვრთნელს საიმისო რესურსი, გუნდი უფრო უკეთ რომ ათამაშოს?**

- ვიმეორებ, არ ვმალავთ - გუნდის ასპარეზობით უკმაყოფილონი ვართ. იმასაც ვიტყვი, რომ ალექს გარსიასთან მკაცრი საუბარიც გვქონდა. თუმცა, როგორც დიდ გუნდებშია წესად, მწვრთნელს ჩვენგანაც უნდა ჰქონდეს გარკვეული „დროის მანდატი“; აი, მაისის ბოლოს, სეზონი რომ დასრულდება, ყველაფერს შევაჯამებთ და გავაანალიზებთ...

**- ამ ბოლო დროს „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის თაობაზე სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდებოდაო, თქვით. გარსიას შესაძლო გათავისუფლებაზე ეჭვი იმანაც გაამძაფრა, რომ იგი სამშობლოში ბოლო ტურის მატჩის დამთავრებისთანავე გაემგზავრა...**

- დაბეჯითებით შემიძლია განვაცხადო, რომ გარსიასა და ესპანელი ფეხბურთელების სამშობლოში გამგზავრება წინასწარ იყო შეთანხმებული კლუბის ხელმძღვანელობასთან. მეტიც: ფაქტობრივად, 99 პროცენტით შეთანხმებული ვიყავით ზამთრის შეკრების ადგილსა თუ სხვა საკითხებზე, მათ შორის, სატრანსფეროზეც.

**- არანაკლებ უცნაურად მოგვეჩვენა ის ფაქტიც, რომ თბილისის „დინამომ“ უკომენტაროდ დატოვა სადისციპლინო კომიტეტის ის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ალექს გარსიას სერიოზული ფულადი ჯარიმა - 3500 ლარი დაეკისრა. არადა, მსაჯობის თაობაზე ბევრად უფრო მკაცრი შეფასებებიც მოგვისმენია, მაგრამ ვინმე ამხელა ჯარიმით დაესაჯოთ, ვერ გაგვიხსენებია...**

**ლაშა დვალიშვილი:** - სხვათა შორის, ჩვენს კლუბში კიდევ ერთი „საჯარიმო ფურცელი“ მოვიდა და, გარსიას გარდა, „დინამოს“ მასაჟისტსაც 600-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს; თუმცა ამ ეტაპზე არც კომენტარს გავაკეთებთ და არც გავაპროტესტებთ სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებას. ისე კი, გეთანხმებით, ასეთი მკაცრი ვერდიქტი ერთობ რეზონანსული და ხმაურიანია. თუმცა, ალბათ, დამერწმუნებით, რომ საქართველოს ჩემპიონატში მსაჯობაზე ბევრად უფრო მკვეთრი განცხადებებიც მოგვისმენია ამა თუ იმ კლუბის წარმომადგენლებისგანაც და ფეხბურთელებისგანაც. ერთი დოკუმენტიც მინდა წარმოგიდგინოთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კომიტეტის საგანგებო სხდომის ოქმია, საიდანაც ვიგებთ, რომ საშეჯიბრო განყოფილების უფროს ნოდარ კაკულიას ეროვნული ჩემპიონატის დებულების დარღვევის გამო საყვედური გამოეცხადა. მიზეზი კი „ზესტაფონი“ - „დინამოს“ მატჩის გადატანაზე ნაადრევად მიღებული გადაწყვეტილებაა.

**- „დინამოში“ რა ტრანსფერებს უნდა ველოდოთ?**

- ცვლილებები აუცილებლად იქნება და „დინამოს“ ქომაგებს ისიც მინდა ვუთხრა, რომ ახალწვეულთა უმრავლესობა ცნობადი სახეა.

**- გოგიტა გოგუას „დინამოში“ ჩარიცხვა გადაწყვეტილი ამბავია?**

- სამუშაო პროცესია და, ცნობადი სახეები რომ ვახსენე, ერთ-ერთი გოგიტა გოგუაც ვიგულისხმე; სატრანსფერო სიახლეები კი, მერწმუნეთ, „დინამოში“ მრავლად იქნება...

**- როგორც ყოფილი ფეხბურთელი, რას ფიქრობთ „დინამოს“ დღევანდელ ლეგიონერებზე, ანუ ყველა მათგანი იმსახურებს „დინამოში“ თამაშს?**

- ამ შემთხვევაში სუბიექტური ვიქნები და გულახდილად გეტყვით, რომ ზოგიერთ მათგანზე დროთა განმავლობაში აზრი შემეცვალა, ანუ, რომ მეგონა, ესა თუ ის ლეგიონერი აქ თამაშს არ იმსახურებდა, მერე სიტუაცია შეიცვალა. იყო საპირისპირო მაგალითებიც. მოკლედ, აქაც დროის ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ.

**- ალექს გარსიას ხელმძღვანელობით „დინამომ“ უშუალო კონკურენტებთან მხოლოდ ერთადერთხელ შეძლო გამარჯვება. საერთოდაც, ესპანელი მწვრთნელი საქმის კურსში იყო, ჩვენი ჩემპიონატი ახლებური ფორმატით რომ ტარდებოდა?**

- საქმის კურსში იყო და არის კიდეც. აბა, გათამაშების რეგლამენტი რომ არ გაგვეცნო მისთვის, მაშინ სხვა რა უნდა გაგვეკეთებინა...

■ ■ ■

პრესკონფერენციის ბოლოს ლაშა დვალიშვილმა ჟურნალისტებს სხვა სიახლეებიც გვამცნო: მაისში მოეწყობა „დინამოს“ ახალი სათამაშო ფორმების პრეზენტაცია, კლუბს „ადიდასის“ ნაცვლად ამიერიდან „ნაიკი“ შემოსავს. რაც მთავარია, სწორედ მაისშია დაგეგმილი დილმის განახლებული საწვრთნელი ბაზის პრეზენტაციაც!..

**გია ტუხაშვილი**



გიორგი ნემსაძე (მარცხნივ) და ლაშა დვალიშვილი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ტრანსფერები



# ოვონიკოკო... იმერლებმა ზამთარი დაიჟენეს, შემოდგომა გეგონებათ: ბარაქა და ბარაქალა ზესტაფონს!

რამდენიმე დღის წინ "ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი ჭიაბრიშვილმა** "ლელოსთან" ინტერვიუში თქვა, რომ მის გუნდში **ოვონიკოკოს** გადასვლა გადაწყვეტილი იყო და საბოლოოდ შეთანხმებას ფორმალობების მოგვარებალა აკლდა.

გუშინ კი ესეც გაკეთდა და "გაგრას" 19 წლის ნიგერიელი ფორვარდი "ზესტაფონის" წევრი ოფიციალურად გახდა. ისევე, როგორც სხვა ახალწვეულებთან, საქართველოს ჩემპიონებმა მასთანაც სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

შეგახსენებთ, ოვონიკოკომ სახელი წინა სეზონში დაიგდო, როცა თავდამსხმელისთვის საჭირო ყველა თვისება წარმოაჩინა და "გაგრას" საქართველოს თასის მოპოვებაში უდიდესი დახმარება გაუწია. მას ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და სარეაბილიტაციო პროცესი ჯერაც არ დაუსრულებია.

ოვონიკოკო მწყობრში მალე ჩადგება, "ზესტაფონს" უცხოურ შეკრებაზე გაჰყვება და, წესით, სეზონის მეორე ნახევრის სტარტისთვის სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს.

ბოლო წლებში "ზესტაფონის" შემადგენლობაში ლეგიონერები ნაკლებად ჩანან, საერთოდ კი, ოვონიკოკო ფეროელთა ისტორიაში მე-14 უცხოელია. გასულ სეზონში "ზესტაფონს" ხორვატი **გორან გრუიცა** ჰყავდა, მაგრამ მას ერთი ოფიციალური შეხვედრაც არ ჩაუტარებია. ეროვნული ჩემპიონატის ბოლო მატჩი, რომელშიც "ზესტაფონის" ღირსება ლეგიონერმა დაიცვა, 2009 წლის 23 მაისს გაიმართა – თბილისის "ლოკომოტივთან" გასვლით შეხვედრაში იმერელთა მაისურა უკრაინელმა **ანტონ პრიხოდკომ** მოირგო.

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ოვონიკოკო "ზესტაფონის" მეხუთე შენაძენია. მანამდე ფეროელებმა ზუგდიდის "ბაიადან" **ლუკა გუგუჩია** და **გურამ სამუშია**, გორის "დილადან" **დავით რაჟამაშვილი** და "გაგრადან" **ლევან შარიქაძე** გადაიბირეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სამეგრელო საბადოა ასეა ეს!


დათა რიგვავა

ზუგდიდის "ბაიას" 20 წლის მცველი **დათა რიგვავა** კარიერას ქუთაისის "ტორპედოში" გააგრძელებს. რიგვავა ზუგდიდელთა დაცვის ერთ-ერთი ლიდერი იყო და ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, თავი სტაბილური თამაშით დაგვამახსოვრა. მიმდინარე ჩემპიონატში მან 17 მატჩი ჩაატარა, მე-18 კი გაფრთხილებათა სიჭარბის გამო გამოტოვა.

გამორიცხული არ არის, "ბაიადან" "ტორპედოში" კიდევ ერთი ფეხბურთელი გადავიდეს. ქუთაისელებმა ზუგდიდელებს 28 წლის ნახევარმცველის, **ლევან წურწუმიას** შეძენის სურვილით მიმართეს და უახლოეს დღეებში გაირკვევა, რა გამოვა ამ მოლაპარაკებიდან.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

სეზონის წლევანდელი ნაწილის დასრულების შემდეგ "ბაია" უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში მეექვსე ადგილზეა და ჩემპიონატის პირველი ეტაპის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მეცხრეადგილოსან "სპარტაკს" ხუთი ქულით უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზუგდიდელები უმთავრეს ამოცანასთან, ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდში დამკვიდრებასთან ძალიან ახლოს არიან.

"ბაიას" მთავარ მწვრთნელ ელგუჯა ქომეთიანთან ინტერვიუში ჩემპიონატის განვლილი ეტაპიც შევაფასეთ და ახლო მომავალსაც შევეხეთ.

# ახალი სარწმუნო პროგნოზი ელგუჯა ქომეთიანისგან

## სეზონის აღმოჩენა ისევ ბაიას ფეხბურთელი იქნება



ელგუჯა ქომეთიანი

**- წესით, მიღწეულით კმაყოფილი უნდა იყოთ.**

- უკმაყოფილების საფუძველი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ მეტიც შეგვეძლო. მნიშვნელოვანი დაღი დაგვასვა ირაკლი ქობალიას ტრავმამ, რამაც ჩვენი შემტევი პოტენციალი საგრძნობლად შეასუსტა; დიდი დრო გაუცდა შოთა ლომიასაც, რომელიც ჩვენი ნახევარდაცვის ერთ-ერთი ლიდერია; მეკარე გიორგი სომხიშვილიც ხშირად ტრავმიანობდა. მთლიანობაში კი, ბიჭების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. მათ კარგად გააცნობიერეს "ბაიას" ამოცანები და თითოეულ მატჩში ბოლომდე დაიხარჯნენ, რისთვისაც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. უკვე მერამდენე სეზონია, "ბაია" ნებისმიერი მეტოქისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა და ეს ძალიან მეამაყება.

**- სეზონის მეორე ნახევარს რამდენიმე ლიდერის გარეშე დაიწყებთ, ეს კი გუნდს საგრძნობლად დაასუსტებს.**

- წასული ფეხბურთელები ჩვენთვის მართლაც ბევრს ნიშნავდნენ, მაგრამ ესეც ჩვენი ტრადიციაა – "ბაია" ძლიერ ფეხბურთელებს აწვდის ქართულ და არა მხოლოდ ქართულ კლუბებს. იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი ბიჭები მრავლად არიან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც და უახლოეს მომავალში ეროვნული გუნდის რეალური კანდიდატებიც იქნებიან. ამჯერადაც რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დაგვტოვა და ამაში საგანგაშო არაფერია, პირიქით, იმას ადასტურებს, რომ ზუგდიდში პერსპექტიული ახალგაზრდები იზრდებიან. როგორც ყოველთვის, ახლაც მზად ვართ, წასულები სრულფასოვნად შევცვალოთ ისევ და ისევ ადგილობრივი კადრებით. მერწმუნეთ, გუნდის ძირითად შემადგენლობაში საინტერესო ჭაბუკები გამოჩნდებიან, "ბაია" არ დასუსტდება და თავის სიტყვას ჩემპიონატის მეორე ეტაპზეც იტყვის.

**- თუკი რვა საუკეთესოში მოხვდით, მოტივაცია ხომ არ შეგიმცირდებათ?**

- იმის მიუხედავად, რომ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე აღარ დაგვემუქრება, მერწმუნეთ, ჩემს ფეხბურთელებს მოტივაცია მოჭარბებულადაც კი ექნებათ. ახალგაზრდა ბიჭებისთვის იმაზე დიდი სტიმული რა უნდა იყოს, როცა საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი "ზესტაფონთან", "დინამოსთან" და სხვა ძლიერ გუნდებთან მატჩებში მიეცემათ.

**- შარშან ამ დროს "ბაიას" ახალწვეულ ირაკლი ქობალიას სეზონის აღმოჩენად აღიარება უწინასწარმეტყველეთ და თქვენი სიტყვა გამართლდა. ახლაც ვინმეს ხომ არ გაუწევთ მსგავს "რეკომენდაციას"?**

- გვარის დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებ, მაგრამ მერწმუნეთ, სეზონის აღმოჩენა ისევ "ბაიას" ფეხბურთელი იქნება.

**- სხვა კლუბებიდანაც ხომ არ აპირებთ ფეხბურთელების მიწვევას?**

- გამორიცხული არაფერია. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ და ვნახოთ, რა როგორ იქნება, ამიტომ გვარების დაკონკრეტებისგან ჯერ თავს შევიკავებ. ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, სხვების მსგავსად, დატოვებს თუ არა გუნდს ნიკა აფაქიძე. საინტერესო წინადადებები მის თაობაზეც მივიღეთ და თუ წავიდა, ცენტრალური მცველის დამატება დაგვჭირდება.

**- სხვა რომელ პოზიციებზე ისურვებდით გაძლიერებას?**

- დიდი სიამოვნებით დავიმატებდით ძლიერ თავდამსხმელს, მაგრამ საქართველოში ასეთების დეფიციტია.

**- ზამთრის მზადების გეგმა როგორი გაქვთ?**

- 5 იანვარს შევიკრიბებით და ჯერ ადგილზე მოვემზადებით, შემდეგ კი გვაქვს იმის რეალური იმედი, რომ ანთალიაში გავემგზავრებით, სადაც დაახლოებით ოთხ ტესტმატჩს გავმართავთ. ბუნებრივია, სპარინგებს საქართველოშიც ჩავატარებთ.

**- ფეხბურთელების გასხვისებას, წესით, "ბაიას" ბიუჯეტი სოლიდურად უნდა შეევსო.**

- რა თქმა უნდა, ტრანსფერებით კლუბმა სარგებელი ნახა, თუმცა ჩვენი ფინანსური მდგომარეობა უამისოდაც ნორმალური იყო. უკვე კარგა ხანია, "ბაიაში" ხელფასები და პრემიები აღარ დაგვიანებულა და დარწმუნებული ვარ, ამ სეზონს ისე ჩავამთავრებთ, მხოლოდ ფეხბურთზე ფიქრისა და კონცენტრირების შესაძლებლობა გვექნება.

**- "ფერერო" და "ეუროპაბეთი" ძველებურად გეხმარებიან?**

- დიახ, კლუბის ბიუჯეტს ეს ორი კომპანიაც ავსებს და ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი



# თარგამაძის 3D ვერსია

## მალე გეტყვით, ისე კი, ალბათ, ისევ უკრაინა

საქართველოს ნაკრებისა და „ოლექსანდრიას" 22 წლის ნახევარმცველის **დავით თარგამაძის** მომავალზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება.

ჯერ. იყო და, უკრაინულმა ინტერნეტ-გაზეთმა "უა-ფუტბოლმა" „პორტოში" მისი შესაძლო ტრანსფერი ახსენა, შემდეგ კიევის „დინამოს" ინტერესზე დაწერა, ბოლოს კი, გადაწყდა, თარგამაძე დონეცკის „შახტარმა" შეიძინა, მაგრამ იჯარით მარიუპოლის "ილიჩივეცში" უშვებსო.

დონეცკელთა კლუბის გენერალურმა დირექტორმა **სერგეი პალკინმა** დაადასტურა, თარაგამაძე მართლაც გვაინტერესებს, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი, რომ "ცალი ფეხით" ჩვენი კლუბის წევრიაო.

ცნობა „ილიჩივეცის" მთავარმა მწვრთნელმა **იგორ ლეონოვმა** უარყო, ჩვენ ფორვარდი გვჭირდება და არა შემტევი ნახევარმცველი, თარგამაძე კი თავდამსხმელი არ არისო.

შემდეგ გაირკვა, რომ თარგამაძეს რუსეთის ვიზა აეღო და მოსკოვში ერთ-ერთ იქაურ კლუბთან მოსალაპარაკებლად წასვლას გეგმავდა.

*"შესაძლოა, მოსკოვში სამედიცინო შემოწმებაზე გავემგზავრო და არ არის გამორიცხული, კონტრაქტი გავაფორმო"* – თქვა დავითმა

მოკლედ, აქ დაახლოებით ასეთი სურათი იკვეთება: ფეხბურთელის აგენტი მოლაპარაკებას რამდენიმე კლუბთან აწარმოებს, თან, პარალელურად, მედიაში სატყუარების შეგდებით საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს. ეს მენეჯერების ცნობილი ფანდია.

ცხადია, საკუთარი ინტერესები აქვს "ოლექსანდრიასაც", რომლის პრეზიდენტმა **ნიკოლა ლავრენკომ** "შახტართან" წინასწარი შეთანხმება ადრევე ახსენა, მაგრამ გუშინ "უკრაინსკი ფუტბოლთან" ახალი პრეტენდენტები დაასახელა.

*"მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჩვენც და თარგამაძის მენეჯერიც. დათო საკუთარ თავს მაღალი კლასის მოთამაშედ მიიჩნევს და დიდ კლუბში თამაში სურს. საერთოდ, ამ ხმებისა და მოლაპარაკებებისგან მას თავბრუ დაეხვა.*

*ჩვენ ამჟამად თარგამაძის თაობაზე მოლაპარაკებას ვაწარმოებთ სამ "დინამოსთან" – კიევის, მოსკოვისა და თბილისის. "შახტართან" ამის თობაზე უკვე ვილაპარაკეთ და ჯერ დათოს მათთან არანაირი კონტრაქტი არ გაუფორმებია. მას "ოლექსანდრიასთან" მოქმედი კონტრაქტი დღემდე აკავშირებს.*

*არ დავმალავ, დავითის გაყიდვისა და ამით რამდენიმე მოთამაშის შეძენის ვარიანტს განვიხილავ. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ შემოთავაზება დაგვაკმაყოფილებს მეც და თარგამაძესაც,"* – თქვა ლავრენკომ.

უკრაინული კლუბის პრეზიდენტმა თბილისის "დინამოს" დაინტერესებაზე მანამდეც თქვა, რაც სიახლე არ ყოფილა, რადგან ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თბილისური კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** "ოლექსანდრიას" შემტევი ნახევარცველის დაინტერესება არ დამალა.

*"თუმცა თარგამაძეს კატეგორიულად არ სურს საქართველოში თამაში"* – აზუსტებს ლავრენკო უკრაინულ გამოცემა "კომანდასთან" ინტერვიუში.

"შახტარის" ინტერესი დაადასტურა თარგამაძემაც, მაგრამ ისიც თქვა, კლუბები კი შეთანხმდნენ პირობებზე, მაგრამ მე ჩემი ინტერესი მაქვსო.

■ ■ ■

დათოს გუშინ პატარა კომენტარი ვთხოვეთ.

**- ბევრი კლუბი დასახელდა, შენ რომელში გსურს გადასვლა?**

- ამას იანვრის დასაწყისამდე გეტყვით.

**- რუსეთი თუ უკრაინა?**

- ალბათ, უკრაინაში დავრჩები.

**- "შახტარი" თუ კიევის "დინამო"?**

- ეს მალე გაირკვევა.

**- "შახტარში" გადასვლა და "ილიჩივეცში" იჯარით წასვლა შენთვის მისაღებია?**

- "შახტარი" კარგი გუნდია და ფორმის შესანარჩუნებლად სამი თვით სხვაგან თამაშის წინააღმდეგი არ ვარ.

**მერაბ მამულაშვილი**

ტრავმა

# ქობალია: ოპერაცია გერმანიაში

უკვე გაცნობეთ, რომ **ირაკლი ქობალიას** მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა და საოპერაციოა. როგორც შევიტყვეთ, იანვარში იგი გერმანიაში გაემგზავრება, სადაც ოპერაციასაც გაიკეთებს და საწყის სარეაბილიტაციო კურსსაც გაივლის. სამედიცინო მომსახურების ხარჯებს "ბაია" დაფარავს.

ზუგდიდის "ბაიას" 19 წლის თავდამსხმელისთვის მიმდინარე სეზონი დასრულებულია – მსგავსი ტრავმისგან განკურნებას ხომ დაახლოებით ნახევარი წელიწადი სჭირდება. არადა, ეს უიღბლო შემთხვევა რომ არა, დიდი იყო იმის ალბათობა, კარიერა "ზესტაფონში" გაეგრძელებინა, იყო უცხოური კლუბების ვარიანტებიც...

ქობალია ქართველმა გულშემატკივარმა მიმდინარე წლის დასაწყისიდან გაიცნო. ირაკლი უმოკლეს დროში გახდა ჩვენი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი და "ლელომ" სეზონის აღმოჩენადაც დაასახელა.

სეზონი ქობალიამ რუსთავის "მეტალურგში" დაიწყო, რომელსაც ევროპის ლიგის მატჩებში იჯარის წესით დაეხმარა, რის შემდეგაც "ბაიას" დაუბრუნდა და დაშავებამდე ჩემპიონატში 10 მატჩის ჩატარება და 3 გოლის გატანა მოასწრო. ირაკლიმ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც დაიმკვიდრა ადგილი.

ახლა საინტერესო ის არის, ქობალია ზაფხულში შეიცვლის კლუბს თუ ზუგდიდში დარჩება და ფორმის აღსადგენად მომავალი სეზონის პირველ ნახევარს გამოიყენებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯია" მწუხარებას გამოთქვამს ამავე კლუბის ყოფილი მწვრთნელის,

**ჯანი კარნევალის**

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გულშემატკივარი



სოსო ჭედია (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია

# ვიკამათოთ, რათა გავიმარჯვოთ

დასასრული. დასაწყისი ლელო №302 (13599)

## ფსიქოლოგიური მომზადება

მოძრაობის კულტურის ათვისება სხვა ასპექტებშიც იჩენს თავს. იგი თავისუფალი, გაბედული, შეუბოჭავი და ლაღი თამაშის საწინდარია. როდესაც გუნდი თამაშის დროს აზროვნებს, როდესაც ფეხბურთელი ფიქრობს სად გაიხსნას და როგორ გაიხსნას, ის მთლიანად თამაშშია ჩართული, ნაკლებად რეაგირებს მაყურებლების რეაქციაზე, რაც, საბოლოო ჯამში, ხსნის სტუმრად თამაშის კომპლექსს.

ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის, ხანდახან ფეხბურთელებს შორისაც, იმდენად მოუგვარებელი პრობლემაა, ვფიქრობთ, აუცილებელია გუნდში ფსიქოლოგი. ქართველები ემოციური ხალხი ვართ, ხან პატარა რამე გვიხარია, ხან უმნიშვნელო რაღაც გვწყინს. ზოგჯერ პატარა მიღწევა თავში გვივარდება. ორი თამაში მოიგო ზედიზედ "ზესტაფონმა" ევროტურნირებზე და იმხელა ამბიციები გაუჩნდა ფეხბურთელებსაც, მწვრთნელსაც და მეპატრონეებსაც, რომ ელემენტარული პარტნიორული ურთიერთობა ვერ შეინარჩუნეს და გუნდი ლამის დაიშალა. ვფიქრობთ, პროფესიონალი ფსოქოლოგი გუნდში ადამიანური ურთიერთობის პრობლემას მოხსნის. ანდა, მეორე საკითხი ავიღოთ. შეიძლება დიდი ფეხბურთი გითამაშია და წარმატებული მწვრთნელიც ხარ, მაგრამ მწვრთნელი ამასთანავე დამრიგებელი, მასწავლებელი უნდა იყო. როდესაც მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის ლანძღვა-გინებაა, იქ ფსიქოლოგის სამუშაოც ბევრია. თავისი საქმის პროფესიონალი სხვა დარგის პროფესიონალის დახმარებაზე უარს არ იტყვის. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ფსიქოლოგი ყველა გუნდს, ნაკრებების ჩათვლით, სჭირდება.

## და კიდევ...

ორიოდ სიტყვით გვინდა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობასაც შევეხოთ, რომელიც, საერთო ჯამში, უფრო სალად უძღვება საქმეს, ვიდრე წინა ფედერაცია. ბევრი კარგი პროექტი განხორციელდა სახელმწიფოს მხარდაჭერით, რომელიც ასევე მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ქართულ ფეხბურთს და ზოგადად სპორტს. დღევანდელ რეალობაში ასეთი თანამშრომლობის გარეშე საქმე არ გაკეთდება. ფეხბურთისა და ზოგადად სპორტის განვითარებით უამრავ მოზარდს წავართმევთ ქუჩას და თუ ყველა პროფესიონალი სპორტსმენი არ გამოვა, ჯანმრთელები მაინც გაიზრდებიან. სასიამოვნო ტენდენციაა ბიზნესისა და სპორტის თანამშრომლობა სპონსორობისა თუ სხვა ფორმით. მაგრამ ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და უფრო გაღრმავდეს, ისე როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიღებული. ბევრი ბიზნესმენი და კომპანიაა ამ საქმეში ჩართული, მაგრამ ბევრიც არ ჩანს. არადა, არიან ასეთი კომპანიები საბანკო სფეროში, ენერგეტიკაში, ფარმაცევტულ ბიზნესში და ა.შ. სასურველია, ყველა სერიოზული კომპანია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოღვაწეობს, ერთ გუნდს მაინც ასპონსორებდეს. შეიძლება ბევრი შემომედავოს და იქნებ სწორადაც, მაგრამ დღევანდელი რეალობების პირობებში შეიძლება ძველი ნაცადი ხერხი გამოვიყენოთ, როცა რკინიგზას, არმიას და შსს-ს ფეხბურთში საკუთარი გუნდები ჰყავდა.

ისტორიულადაც და მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, ბათუმი ეროვნული ცნობიერების თუ ყოფიერების მნიშვნელოვანი ქალაქი იყო და არის. შეიძლება, ამ ქალაქს არათუ უბრალოდ გუნდი, არამედ კონკურენტუნარიანი გუნდი არ ჰყავდეს უმაღლეს ლიგაში? ვფიქრობ, თუ თბილისს (ორი-სამი), ქუთაისს, ბათუმს, რუსთავს, ფოთს, ზუგდიდსა და ერთი-ორ კიდევ სხვა ქალაქს კონკურენტუნარიანი გუნდები ეყოლებათ, საქართველოს ჩემპიონატის დონე მნიშვნელოვნად მოიმატებს.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ნაკრების მწვრთნელის საკითხი. ვინაიდან ამ ეტაპზე ტოპ - მწვრთნელის დაქირავების საშუალება არ გვაქვს, გაკოტრებული და ყავლგასული მწვრთნელების ჩამოყვანას ისევ **თემურ ქეცბაია** სჯობს და პირადად ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, მეც მის კანდიდატურას დავუჭერდი მხარს, მაგრამ არის სხვა მომენტებიც. ფეხბურთი სახალხო თამაშია და ის ხალხისათვის და მაყურებლებისთვის არის განკუთვნილი. გამოვიტანოთ ასეთი საკითხები გულშემატკივართა და სპეციალისტთა სამსჯავროზე, მით უმეტეს, რომ არსად გვეჩქარება და ვიყოთ რეალურები, ჩვენ ხომ ვიცით, რომ დღევანდელობის გათვალისწინებით ჯგუფიდან ვერ გავალთ. სხვა მიზნებისათვის მაინც გამოვიყენოთ ეს პროცესი. ნაკრების თამაშში პროგრესი შეინიშნება (ოდნავია თუ მცირე, ახლა ამას არა აქვს მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში, დიდი ანგარიშებით აღარ ვაგებთ) და ამას არავინ არ უარყოფს, მაგრამ რა მოხდა ბოლო თამაშებში? რატომ ვერ ვუგებთ აუტსაიდერებს? რატომ გვიჭირს შემოქმედებითი ფეხბურთი? გულშემატკივარს, სპეციალისტებსაც და ჟურნალისტებსაც ცოტა უფრო კვალიფიციური პასუხები სჭირდება. პასუხები, რომლებშიც გამოჩნდება, რომ მწვრთნელმა წარუმატებლობის მიზეზები ნათლად დაინახა და იცის ამ მიზეზების გადაჭრის გზები. ყველაფრის ფეხბურთელებზე გადაბრალება საქმეს ვერ უშველის. თუ ფეხბურთელების დონეა ყველაფრის განმსაზღვრელი, მაშინ მწვრთნელად ვინ იქნება, რა მნიშვნელობა აქვს? თუ სხვა მიზეზებია, მწვრთნელმა უნდა დააკონკრეტოს. ელემენტარული ჭეშმარიტებაა - დაავადებას მაშინ ვუმკურნალებთ სწორად, თუ სწორ დიაგნოზს დავსვამთ. დისკუსიები, მსჯელობები, დებატები, სხვადასხვა კონცეფციისა და იდეის ჭიდილი, საერთო საქმეს არ დააზარალებს. ჩაერთოს ამ დისკუსიებში ნაკრების მწვრთნელიც. ჩვენ გვწამს, რომ ის ნიჭიერი და ყველაზე მეტად რისიც გვეიმედება, მზარდი სტრატეგია, ხოლო რატომ ვერ აჩვენებს მისი გუნდი ტაქტიკურ განსწავლულობას — მან უნდა ახსნას. ვილაცა ახალს იტყვის, ვილაც თავის პოზიციებს დაიცავს, ვილაც საპირისპირო არგუმენტების ძებნაში იძულებული გახდება რაღაც წაიკითხოს, რაც, სხვას რომ თავი დავანებოთ, სწავლა ქვეყანაში სამწვრთნელო აზრის განვითარებისათვის არის კარგი. იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი მნიშვნელობის საკითხები ღიად, გამჭვირვალედ და საერთო-საჯარო განხილვის შემდეგ, კონკურენტულ გარემოში წყდება, წარმატებებსაც აღწევენ. ჩვენ კი გვიკვირს, რატომ აქვთ მათ წარმატებები და რატომ არიან ჩვენზე წარმატებულები.

იგივეს თქმა გვინდა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელზე. **სოსო ჭედია,** როგორც ფეხბურთელი, გამორჩეული იყო, მაგრამ მისი სამწვრთნელო მოღვაწეობის შესახებ საზოგადოებამ ნაკლებად იცის. სხვა მწვრთნელის, გინდ ნაკრების, ასისტენტობა რომ გადამწყვეტი არგუმენტი არ არის, შემდეგ თამაშებშიც გამოჩნდა - ახალგაზრდულიც იგივე დაულაგებელ და არაგუნდურ თამაშს აჩვენებს, როგორსაც პირველი ნაკრები. ჩვენი აზრით, უპრიანი იქნება ჩავაბაროთ მას რომელიმე საკლუბო გუნდი, სადაც კომპეტენციის და საკუთარი კონცეფციის წარმოჩენის საშუალება ექნება და წარმატების შემთხვევაში ჩავაბაროთ ნაკრები.

...**ნოდარ ახალკაცზე** დიდი მწვრთნელი ქართველებს ამ სფეროში არ გვყოლია, მაგრამ დადგა დრო, როდესაც მისი სამწვრთნელო იდეებიც მოძველდა, დროის დინებას სათანადოდ ვერ გაჰყვა. ჩვენში რომ ეს პროცესი არა დახურული, არამედ ღია ყოფილიყო თავისუფალი მსჯელობისთვის, დარწმუნებული ვართ, იმ ჩავარდნას ავიცილებდით.

**თენგიზ გაბიძაშვილი,**
ფეხბურთის ქომაგი

● ბენდელას თასი



# პირველი დღე და... სენსაცია

## ექიმებმა ვიკინგებს 7:2 დაუდგინეს

საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" მოედნებზე დაიწყო აფხაზეთში დაღუპული ზაზა ბენდელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი "ბენდელას თასი".

საქართველოში სუპერთასის გათამაშებასაც ჰქონდა წყვეტა, მაგრამ არა "ბენდელას თასს" - გაჭირვების, ომებისა და სხვა უამრავი პრობლემის მიუხედავად, 1993 წლიდან მოყოლებული, მე-18 წელიწადია, იმართება. ძმების, **ქართლოს** და **კახა ჭუმბურიძეებისა** და მათი მეგობრების წყალობით, ტურნირს მხარდაჭერები და პარტნიორები არასოდეს მოჰკლებია.

ახლაც ასეა: გათამაშება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პატრონაჟით ტარდება, ფინანსური მხარის მოგვარებაზე კი ფირმები და კომპანიები ზრუნავენ. ტურნირი 2000 წელს დაბადებულთა და უფროსთა გუნდებს შორის ტარდება. გუშინ უფროსთა პირველი შეხვედრები გაიმართა. შარშანდელმა გამარჯვებულმა სეუ-მ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი – მეკარე **რევაზ თევდორაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი ნავალოვსკი, დავით თარგამაძე, ბაჩანა ცხადაძე,** ფუტსალის ნაკრების ყოფილი წევრი **შოთა კუბლაშვილი.** სეუ "ბასკის" დაუპირისპირდა და დაძაბულ მატჩში 2:1 სძლია. დღეს გათამაშებაში ჩაებმებიან არნემის "ვიტესის" ქართველები — **გიორგი ჭანტურია** და **ვაკო ყაზაიშვილი,** რომლებიც სეუ-ს დაეხმარებიან.

ტურნირში კიდევ ერთი "ბომბა" გუნდი მონაწილეობს – "ვიკინგი", რომლის განაცხადშიც არიან **გოგიტა გოგუა, ზურაბ არზიანი, ბექა გოცირიძე, მირზა ბუალავა, ფარნა კუსრაშვილი, გიგა ბეჭვაია, მიხეილ ღოღობერიძე,** რომელსაც მიუნხენის "ბაიერნის" ასაკობრივ გუნდში უთამაშია.

მაგრამ რად გინდა, თსსუ-ს (სამედიცინო უნივერსიტეტი) სრულიად უცნობმა ფეხბურთელებმა „ვიკინგებს" 7:2 მოუგეს.

დღეს მეორე ტურია, ექვსგუნდიანი ტურნირის ფინალი კი 28 დეკემბერს გაიმართება.

ქართლოს ჭუმბურიძის თქმით, 2012 წლის იანვარში "ბენდელას თასს" პროფესიული კლუბებიც გაითამაშებენ.

*"ეს ტურნირი ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძის ხელშეწყობით უკვე მესამედ ჩატარდება, 21 იანვარს დაიწყება და 11 თებერვალს დასრულდება. თუ ადრე ოთხი ან ექვსი გუნდი მონაწილეობდა, ახლა ასპარეზობის სურვილი უმაღლესი და პირველი ლიგების 16 კლუბის დუბლშემადგენლობებმა გამოთქვეს. მოტივი გასაგებია — ტურნირი სეზონისთვის მოსამზადებლად ყველას წაადგება, მატჩები კი იქ გაიმართება, სადაც გუნდებისთვის უფრო მოსახერხებელი იქნება – ურეკში, ზესტაფონში, ქუთაისში, მცხეთაში, რუსთავში, თბილისში "საბურთალოს" მოედნებზე"* – გვითხრა ჭუმბურიძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონი

# კაშიას აღიარება



ყველაზე პოპულარულმა საფეხბურთო საიტმა goal.com-მა ჰოლანდიის ერედივიზიეს სეზონის პირველი ნახევრის სიმბოლური ნაკრები შეადგინა. სასიხარულოა, რომ რჩეულ თერთმეტეულში, „აიაქსის" დანიელ ვარსკვლავ **კრისტიან ერიქსენის** (რომელიც მალე „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავა) და სხვათა გვერდით „ვიტესის" 24 წლის ქართველი მცველი **გურამ კაშიაცაა.** ის მეორე სეზონს ატარებს ჰოლანდიაში და ამ ხნის განმავლობაში კაშიას „წონა" არნემულ გუნდში საგრძნობლად გაიზარდა, დაცვის ფლანგიდან ცენტრში გადაინაცვლა და კაპიტნის სამკლავურიც მოირგო. სეზონის ამ ნახევარში მან 2-ჯერ შეარხია მეტოქეთა კარის ბადე.

აი, რას წერს goal.com სიმბოლურში ქართველის არჩევაზე: *„კაშიამ აჯობა ისეთ ვარსკვლავებს, მარსელო, ვირხილ ვან დიკი და იან ვერტონგენი რომ არიან. ეს იმიტომ, რომ მან მიჯრით რამდენიმე მატჩში დიდებულად ითამაშა. საქართველოს ნაკრების წევრი მუდამ საიმედოა დაცვაში და ძალიან სახიფათოა შეტევისას. დღემდე ერთი თამაშიც კი არ გამოუტოვებია, თვის დასაწყისში კი გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა „ჰერაკლესის" კარში".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სტუმრები

# გომესს ახსოვს: თბილისი, 1985...

## ჩვენი ბიჭები ესპანეთისკენ

გუშინ გაცნობეთ, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით, თბილისს ცნობილი ესპანური კლუბის, „ვალენსიას" წარმომადგენლები **ფერნანდო გომეს კოლომერი** და **ხავიერ კაბელო რუბიო** ესტუმრნენ.

ფერნანდო გომესი თბილისში მეორედაა: პირველად 1985 წელს ჩამოვიდა, როდესაც საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს მასპინძლობდა. მაშინ ერთ-ერთი ჯგუფი თბილისს არგუნეს და აქ ბრაზილიის, ესპანეთის, ირლანდიისა და საუდის არაბეთის ნაკრებებმა ითამაშეს. შემტევი ნახევარმცველი ფერნანდო გომესი მაშინ ესპანელთა კაპიტანი იყო და თბილისელ გულშემატკივარს თავი ჩინებული თამაშით დაამახსოვრა.

1989 წელს გომესი ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ეროვნული ნაკრების მაისურა 8-ჯერ მოირგო (2 გოლი), "ვალენსიაში" კი ამ კლუბის ისტორიაში ყველაზე მეტი შეხვედრა ჩაატარა — 434 (142 გოლი).

შევიტყვეთ, რომ სხვა საკითხებთან ერთად ვალენსიელ სტუმრებს ორი მოზარდი ქართველი ფეხბურთელის ნახვაც აინტერესებდათ და სწორედ ამ მიზნით ეწვივნენ "საბურთალოს" საფეხბურთო სკოლას: მათ **ლუკა ჯამარაულსა** (ცნობილი ფეხბურთელის, **გოჩა ჯამარაულის** ვაჟია) და **ლუკა ვარძელაშვილზე** დაკვირვება სურდათ.

ორივე ფეხბურთელი 13 წლისაა და ამჟამად საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების წევრები არიან. სპეციალისტთა საერთო აზრით, ჯამარაული და ვარძელაშვილი პერსპექტიული ბავშვები არიან.

თუ სავიზო და სხვა პრობლემები მოგვარდა, ორივე ესპანეთში ერთწლიან სტაჟირებაზე გაემგზავრება.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გამოხმაურება


ეპიზოდი, როდესაც ტერიმ ჩელსი იხსნა

# ჩელსი ტერის გარშემო ბრუნავს

„ჩელსის“ მწვრთნელი, **ანდრე ვილაშ-ბოაში** თავისი გუნდის კაპიტნის, 31 წლის **ჯონ ტერის** ქებად დაიღვარა და მადლობა გადაუხადა იმ სასწაული ეპიზოდისთვის, რომელმაც „ლურჯებს“ პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლის შანსი შეუნარჩუნა. ვინც თამაშს უყურა, ეხსომება, როგორ გადაელობა დასავლეთლონდონელთა კაპიტანი 27 წლის ტოტენჰემელი ფორვარდის, **ემანუელ ადებაიორის** დარტყმულ ბურთს შეხვედრის ბოლო წუთებზე. ასეთი გმირობა ტერისთვის მისწრება იყო, რადგან ბოლო დღეებში ინგლისში რასიზმის თემაა აგორებული. კაპიტანს „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ მცველ **ანტონ ფერდინანდთან** ინციდენტის გამო აკრიტიკებენ და სასამართლოშიც კი დაიბარეს.

„ტოტენჰემისა“ და „ჩელსის“ შეხვედრა „უაით ჰართ ლეინზე“ გაიმართა და 1:1 დასრულდა. „დეზების“ ქომაგები ტრიბუნებიდან ერთ ამბავში იყვნენ — ტერის რასისტობის თემა თითზე ჰქონდათ დახვეული. ვილაშ-ბოაშმა თქვა, რომ კარგად იცოდა, ლონდონურ დერბიში რა გარემოც დახვდებოდა, თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კაპიტანი რა გინდა რა ზეწოლას გაუძლებდა.

*„რაც რასიზმთან დაკავშირებული სკანდალი აგორეს, ჯონს ამ საკითხზე ყოველდღე ველაპარაკები და რა შევამჩნიე, იცით? მან ადრინდელზე უკეთ დაიწყო თამაში. არასდროს, არავის შეჰპარვია ეჭვი ტერის თავდადებაში, ერთგულებასა და ოსტატობაში. ის ყოველთვის კონცენტრირებულია. „ტოტენჰემთან“ შეხვედრაში ტერიმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძლიერი პიროვნებაა. შეხვედრის მიწურულს მან უბრალოდ გვიხსნა“* - თქვა ვილაშ-ბოაშმა, რომელმაც, შემდეგ, ერთი შეხედვით უცნაური რამ დასძინა:

*„ბოლო მომენტში „ტოტენჰემს“ დიდი შანსი გამოეცალა ხელიდან, მაგრამ რომც გაეტანა, მაინც კმაყოფილი დავრჩებოდი, რადგან ჩემმა ბიჭებმა დიდებულად ითამაშეს. მათ მტკიცე ხასიათი გამოავლინეს. ჩვენ შეხვედრის მსვლელობისას ფეხბურთელები დაგვიშავდა, მათ ნაადრევად მოუხდათ მოედნიდან გასვლა, მაგრამ დანარჩენებმა საოცრად აუღეს სიტუაციას ალღო და ახალი ვითარების ადეკვატურად მოიქცნენ“.*

შეხვედრაში იყო კიდევ ერთი საყურადღებო ეპიზოდი — 58-ე წუთზე საუცხოო ფორმაში მყოფმა ადებაიორმა გოლი გაიტანა, მაგრამ ოფსაიდის გამო არ ჩათვალეს. სავარაუდოდ, ამ ეპიზოდში თანამსაჯმა სწორად არ განსაჯა. ტოგოელს ორი კვირის წინ კიდევ ერთი გოლი არ ჩაუთვალეს. ისიც უსამართლოდ. ეს ამბავი „სტოკ სიტისთან“ შეხვედრაში მოხდა. მან თქვა:

*„ვფიქრობ, გოლი წესების დაცვით გავიტანე, მაგრამ იმ ეპიზოდში ყველაფერი ჩემს საწინააღმდეგოდ წაეწყო. ძალიან სამწუხაროა, რომ ვერ გავიმარჯვეთ. მოგება „ჩელსისა“ და „არსენალის“ ჩამოტოვების შესაძლებლობას მოგვცემდა“.*

„დეზების“ თავკაცი **ჰარი რედნაპი**: *„წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არ ჩათვალეს ეს გოლი. ვიფიქრე, ხელის კვრა ხომ არ შეამჩნიეს-მეთქი... არც ის ვიცი ოფსაიდი აწიეს თუ არა. მოკლედ, არაფერი არ ვიცი“.*

დასავლეთლონდონელთაგან გოლი **დენიელ სტარიჯმა** გაიტანა, რომელსაც ასისტენტობა შეტევის მარცხენა ფრთიდან **ეშლი კოულმა** გაუწია. გამეორებაზე კარგად ჩანდა, რომ კოულს, მიღებისას ბურთი ხელზე მოხვდა.

კოულმა პრესკონფერენციაზე თქვა: *„თამაშის შემდეგ მსაჯ ჰოვარდ ვებთან მივედი. ბურთი ხელზე მომხვედრია, მაგრამ მე ეს ვერ ვიგრძენი და სასტვენის გარეშე როგორ უნდა გავჩერებულიყავი? ნებისმიერი ფეხბურთელი ეპიზოდს აგრძელებს სანამ მსაჯი არ დაუსტვენს“.*

ლონდონურ დერბიში ნათამაშები ფრის შემდეგ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ „მანჩესტერ სიტის“ 9 ქულით ჩამორჩება, ხოლო „ჩელსი“ - თერთმეტით. რედნაპი ამბობს, რომ ახლა ყველაფერი თავად ისტლენდელებზეა დამოკიდებული. დაკარგავს თუ არა ლიდერობას თავად **რობერტო მანჩინის** გუნდი — აი, რა არის მთავარი.

*„ახლა ჩემპიონატს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს — მანჩესტერული გუნდები. ჩვენთვის, სეზონის დასაწყისში ორი თამაშის წაგების შემდეგ 35 ქულის დაგროვება წარმოუდგენლად კარგი შედეგია. ვატყობ, ზედა ოთხეულში დიდი ბრძოლა გაიმართება, მაგრამ, ვიმეორებ, ორი ფავორიტი აშკარაა“.*

ვილაშ-ბოაში კი ყინჩად არის: *„ჩვენ „ფულჰემსა“ და „ასტონ ვილასთან“ ექვსი ქულის მოპოვებას ვაპირებთ. თუ ეს შევძელით, ვფიქრობ, საჩემპიონო ბრძოლას გამოკლებული არ ვიქნებით. ჩვენ უარეს მდგომარეობაშიც ვყოფილვართ, მაგრამ ლიდერებთან სხვაობა შეგვიმცირებია. დღეს, მართალია, მხოლოდ ერთი ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ ეს მორალური გამარჯვება იყო. „ტოტენჰემი“ ხომ ნამდვილად ის გუნდია, რომელსაც ჩემპიონის ტიტულისთვის შეუძლია ბრძოლა“.*

● ასტონ ვილა

# რატომ იჯღანება ვან პერსი?


რობინ ვან პერსი თაღლითია?

„ასტონ ვილას“ მწვრთნელმა, „დიდ ეკად“ წოდებულმა **ალექს მაკლიშმა** „არსენალის“ ჰოლანდიელ თავდამსხმელ **რობინ ვან პერსის** თაღლითი უწოდა. მან თქვა, „მეთოფეებთან“ შეხვედრის წინ ჩემს მოთამაშეებს საგანგებოდ ვუთხარი, ასი ყური და ასი თვალი გამოისხით, ჰოლანდიელთან ფრთხილად იყავით, მეთქი, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მაინც მოხდაო. კერძოდ, ოთხშაბათს, ბირმინგემში, „ასტონ ვილამ“ „არსენალთან“ 2:1 წააგო და ამ შეხვედრაში მოედნიდან მასპინძელთა 27 წლის მარჯვენა მცველი, **ალან ჰატონი** გააძევეს. საინტერესოა, რომ 28 წლის ვან პერსი, უშუალოდ, ჰატონის არც ერთი გაფრთხილების მონაწილე არ იყო, მაგრამ დიდი ეკი თავისი ფეხბურთელის გაგდებას მაინც მას აბრალებს. საქმე ის არის, რომ მაკლიშის აზრით ჰოლანდიელს მოწინააღმდეგის გაღიზიანების ხერხები შესანიშნავად აქვს დამუშავებული.

*„მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებმა ის წყობიდან გამოიყვანეს. მაგალითად, ვან პერსი, ჯერ კიდევ გასახდელში ხელს უქნევდა. ისე, ალანს ამდენი გამოცდილება კი უნდა ჰქონოდა. მისი ასაკის კაცს უნდა შეეძლოს, ურეაქციოდ დატოვოს, როდესაც მეტოქე ჩაუვლის და სახეში შესცინებს. ვფიქრობ, „არსენალის“ თავდამსხმელმა ჰატონს მართლაც დააკარგინა წონასწორობა.*

*ნამდვილად გაბრაზებული ვარ. ჩემს ფეხბურთელებს ასეთი სისულელის გამო მოედნიდან არ უნდა აძევებდნენ. იმედი მაქვს, ამიერიდან მეტ გამოცდილებას შევიძენთ. ისე, ვან პერსის თამაშის ეს მხარე პირადად მე არ მაღიზიანებს. ამას ქუჩური ხრიკები ჰქვია. თუ ფეხბურთელი მოახერხებს და მოწინააღმდეგე გუნდს კაცნაკლულს დატოვებს მოედანზე, ჩათვლეთ სასარგებლო საქმე გაუკეთებია“* — თქვა დიდმა ეკმა.

● მანჩესტერ სიტი

# ჩვენ 90 ქულა გვჭირდება

„მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელმა, **რობერტო მანჩინიმ** თავის ფეხბურთელებს მიზანი დაუსახა — თუ ჩემპიონობა უნდათ, 90 ქულა უნდა მოიპოვონ. ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელმა მიმდინარე სეზონი, მოგეხსენებათ, ბრწყინვალედ დაიწყო: 17 ტურის შემდეგ 44 ქულით ლიდერობს, თუმცა კვალში „მანჩესტერ იუნაიტედი“ უდგას. მანჩინი ამბობს, რომ შესანიშნავი დასაწყისის მიუხედავად დარჩენილ 21 შეხვედრაში სულ მცირე კიდევ 46 ქულაა მოსაპოვებელი.


მანჩინი ქულებს ითვლის

გასულ სეზონში ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახდა. სერ **ალექს ფერგიუსონის** რაზმმა ეს 80 ქულით შეძლო, მაგრამ ისტლენდელთა თავკაცი ასე მსჯელობს:

*„ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ „იუნაიტედი“ მოგებებს არ შეწყვეტს. ამიტომ, თუ ჩემპიონობა გვინდა, 90 ქულამდე უნდა ავიდეთ. ბედნიერი ვარ, შობას პირველ ადგილზე რომ ვხვდებით, მაგრამ, აკი ბევრჯერ ვთქვი, რომ გაცილებით მნიშვნელოვანია ლიდერობა ბოლომდე შევინარჩუნოთ. ეს, რასაკვირველია, ძნელი ამოცანაა. როგორც გითხარით, „იუნაიტედი“ კუდში მოგვდევს და ცდილობს თავისი შანსი არ გაუშვას ხელიდან, მაგრამ კიდევ არიან „არსენალი“ და „ტოტენჰემი“, რომლებიც ასევე თამაშს თამაშზე იგებენ“.*

● მანჩესტერ იუნაიტედი

# თურმე ისე არ წვიმს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი **ფილ ჯონსი** შესაძლოა მოედანს „ბოქსინგ დღესაც“ კი დაუბრუნდეს. შეგახსენებთ: „ბოქსინგ დღე“ შობის მეორე დღეს ნიშნავს, როდესაც ინგლისელებს სპორტული შეჯიბრებების გამართვა, კერძოდ კი ფეხბურთის თამაში უყვართ. ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ ამბობენ, რომ სიტყვა „ბოქსინგი“ კრივიდან კი არა ყუთიდან მოდის. ყუთი ხომ ინგლისურად „ბოქს“ გამოითქმის. სავარაუდოდ, ლაპარაკია საშობაო საჩუქრებისთვის ჩამოკიდებულ ყუთზე. თუმცა, წიაღსვლებს თავი დავანებოთ და ჯონსს დავუბრუნდეთ. 19 წლის ფეხბურთელს ექვსკვირიან მკურნალობას უწინასწარმეტყველებდნენ. საბედნიეროდ, რენტგენის აპარატმა აჩვენა, რომ ტრავმა მსუბუქია.

ჯონსმა ყვრიმალის ძვლის ტრავმა შუა კვირაში, „ფულჰემთან“ თამაშის დროს მიიღო. მანჩესტერელ ვარსკვლავს დასავლეთლონდონელთა 28 წლის ამერიკელი შემტევი ნახევარმცველი, **კლინტ დემპსი** დაეჯახა. ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული,


ფილ ჯონსი

ორშაბათს ყმაწვილმა „უიგანის“ წინააღმდეგ დამცავი ნიღბით ითამაშოს. ეს ცნობა, რასაკვირველია, დიდი შვებაა სერ **ალექს ფერგიუსონისთვის,** რომელმაც ბოლო ხანს ტრავმების გამო ბევრი ფეხბურთელი დაკარგა.

26 წლის ვარსკვლავი **უეინ რუნი** კი, ამასობაში გუნდის საოცარ ტრანსფორმაციაზე ლაპარაკობს. რუნი ამბობს, რომ „იუნაიტედი“ გასული სეზონისგან განსხვავებით, მიმდინარე ჩემპიონატში სტუმრად უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ და მართლაც, ეს სტატისტიკურადაც მტკიცდება: მიმდინარე სეზონში ინგლისის ჩემპიონებმა სტუმრად 9 შეხვედრა ჩაატარეს, რომელთაგანაც შვიდი მოიგეს. შარშან ამ დროს მომავალ ჩემპიონს ამ მხრივ საშინლად ჰქონდა საქმე: სტუმრად, შესაძლო 27 ქულიდან 13 ჰქონდა მოპოვებული.

რუნიმ თქვა: *„რაღაც საოცარი შემობრუნებაა. გასულ სეზონში ჩვენ შინ შესანიშნავად ვთამაშობდით, მხოლოდ ორი ქულა დავკარგეთ, სამაგიეროდ, სტუმრად ვფანტავდით ბევრს. მიმდინარე სეზონში კი შინ უკვე ხუთი ქულა დავკარგეთ, სამაგიეროდ, სტუმრად შვიდი მოვიგეთ და ორი ფრე ვითამაშეთ“.*

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ლიდერ „მანჩესტერ სიტის“, რომელსაც პრესამ მათი „ხმაურიანი თანაქალაქელები“ შეარქვა, ორი ქულით უსწრებს. შემდგომი შეხვედრების კალენდარი ასეთია: ჩემპიონი „ბოქსინგ დღეს“, როგორც მოგახსენეთ, „უიგანს“ მასპინძლობს, საახალწლოდ კი „ბლექბერნ როვერსს“ ეთამაშება.

*„ვიცოდით, რომ თუ „ფულჰემს“ მოვუგებდით, შემდეგ ზედიზედ ორი თამაში შინ გვექნებოდა და მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესების შანსიც გვეძლეოდა“* — თქვა რუნიმ შეხვედრაზე, რომელშიც მანჩესტერელებმა „კრეივენ კოტეჯზე“ 5:0 გაიმარჯვეს.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

**დაჯილდოება**



იაია ტურე აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს

# საუკეთესო აფრიკელი

აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციამ კონტინენტის 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელად "მანჩესტერ სიტის" კოტდივუარელი ნახევარმცველი **იაია ტურე** დაასახელა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი განის დედაქალაქ აკრში შედგა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს აფრიკის საფეხბურთო ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა და ტექნიკურმა დირექტორებმა. "სიტის" წარმომადგენელმა "მარსელის" თავდამსხმელ **ანდრე აიუსა** და "ბარსელონას" საყრდენ **სეიდუ კეიტას** აჯობა. გარდა ამისა, ასკ-მ სხვა "სპილოებიც" დაარიგა: ცალკე პრიზი გადაეცა აფრიკის კონტინენტზე მოასპარეზე საუკეთესო ფეხბურთელს - ასეთად ტუნისის ნაკრებისა და "ესპარანსის" შემტევი ნახევარმცველი **ოსუმა დარაგი** დაასახელეს; "ტოტენჰემის" აკადემიის აღზრდილი **სულეიმან კულიბალი** ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად აღიარეს; საუკეთესო აფრიკელ არბიტრად ივუარელი **ნუმანდიზ დოუე** მიიჩნიეს. ნიგერიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **არუნუ დოული** წლის მწვრთნელის ჯილდოს დაეუფლა; წლის ნაკრებად კი აფრიკის ეროვნებათა თასის შესარჩევ ეტაპზე მიღწეული წარმატებებისთვის ბოტსვანის ეროვნული გუნდი დაასახელეს; აფრიკის ჩემპიონთა თასის მფლობელი ტუნისური "ესპარანსი" წლის ყველაზე წარმატებული კლუბი გახდა. სპეციალური პრიზი ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ვეტერანებს **მუსტაფა ჰაჯისა** (მაროკო) და **ჯეიჯეი ოკოჩას** გადაეცათ.

**ვარსკვლავი**

# ბექჰემი, როგორც პროექტი

**ალნიშნულ მასალას ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე გადავაწყდით და მივიჩნიეთ, რომ ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა ყოფილიყო.**

ფრანგ მემარცხენე პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, უკმაყოფილების ახალი საფუძველი გაუჩნდათ. მიზეზი **დევიდ ბექჰემია**, ინგლისელი ფეხბურთელი, ვისი "პარი სენ-ჟერმენთან" ძვირადღირებული „ქორწინება" დროის ამბავია. უფრო თუ დავაზუსტებთ, უკმაყოფილებას მისი ანაზღაურება იწვევს. როგორც პოლიტიკოსები მიიჩნევენ, მიუხედავად "მანჩესტერ იუნაიტედში", "რეალში", "გალაქსისა" და ინგლისის ნაკრებში დამსახურებული ავტორიტეტისა, მისი ხელფასი 36 წლის კვალობაზე მეტისმეტად მაღალია. ფეხბურთელი ხომ, სავარაუდოდ, თვეში 800 ათას ევროს მარტო ხელფასით გამოიმუშავებს.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, პრეზიდენტობის კანდიდატ **ფრანსუა ოლანდის** წინასაარჩევნო კამპანიის დირექტორის **პიერ მოსკოვიჩის** თქმით, მას ეჭვი ეპარება, საერთოდ ღირს თუ არა ვეტერანი ფეხბურთელი ამხელა დანახარჯად. თუმცა აშკარაა, რომ მის მოსაზრებას სულაც არ იზიარებენ პარიზული კლუბის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები, რომლებიც ელისეის მინდვრებზე ბექზისადმი მიძღვნილი სპეციალური მსვლელობის მოწყობასაც გეგმავენ.

თავად ყატარელი შეიხები კი ნამდვილად არ ჰკითხავენ ნებართვას ფრანგ სოციალისტებს, რადგან მათთვის დევიდის გადაბირება უკვე პრინციპის საკითხად იქცა. ბექჰემის ტრანსფერის ოფიციალურად დადასტურება და ახალი მთავარი მწვრთნელის ერთდროულად წარდგენა მათი მხრიდან ერთობ ხმამაღალი სიტყვა იქნება.




დევიდ ბექჰემის შესახებ სალაპარაკო არ ილევა

**ევრო 2012**

# პოლონეთი პირველია

პოლონეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფრანტიშეკ სმუდამ** ევრო 2012-ისთვის 30-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სიაში ცვლილება აღარ მოხდებაო, განუცხადა sport.pl--ს მან.

**მეკარეები:** ვოიცეხ შჩესნი, ლუკაშ ფაბიანსკი (ორივე არსენალი), პშემისლავ ტიტონი (ეინდჰოვენი), გჟეგოშ სანდომირსკი (გენკი)

**მცველები:** სებასტიან ბიონიში (ვერდერი), არკადიუშ გლოვაცკი (ტრაბზონსპორი), კამილ გლიკი (ტორინო), ტომაშ იოდლევეცი, მაცეი სადლოკი (ორივე პოლონია), დამიან პერკი (სოშო), ლუკაშ პიშჩეკი (დორტმუნდი), მარცინ ვასილევსკი (ანდერლეხტი), იაკუბ ვავრაჟნიაკი (ლეგია), გჟეგოშ ვოიტკოვიაკი (ლეხი)

**ნახევარმცველები:** იაკუბ ბლაშჩიკოვსკი (დორტმუნდი), დარიუშ დუდკა (ოსერი), სლავომირ პეშკო, ადამ მატუშაკი (ორივე კიოლნი), ადრიან მიიერჟევსკი (ტრაბზონსპორი), სებასტიან მილა (შლაცკი), რაფალ მურავსკი (ლეხი), ლუდოვიკ ობრანიაკი (ლილი), ოიგენ პოლანსკი (მაინცი), მაცეი რიბუსი (ლეგია), სეზარი ვილკი (ვისლა)

**თავდამსხმელები:** პაველ ბროჟეკი (ტრაბზონსპორი), კამილ გროსიცკი (სივასპორი), ირენეუშ ელენი (ლილი), რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), არტურ სობიხი (ჰანოვერი)



რობერტ ლევანდოვსკი

**ამბები**

# არის სამომავლო შენაძენი!

"ფეიენოორდმა" 2012/13 წლების სეზონისთვის პირველი ახალწვეული გაიფორმა. საქმე "როდას" 23 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ **რუუდ ვორმერს** ეხება. როტერდამელთა ოფიციალური ვებგვერდი წერს, რომ ფეხბურთელის ამჟამინდელი კლუბის ხელმძღვანელობა საქმის კურსშია, თავად ფეხბურთელმა კი წინასწარ 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელიც ივლისში სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ მას მერე შევა ძალაში, რაც რუუდი სამედიცინო შემოწმებას გაივლის. ვორმერს მოქმედი კონტრაქტი სწორედ ამ დროს უმთავრდება. შესაბამისად "ფეიეს" ნახევარმცველი უფასოდ ერგება. სპორტული ვებგვერდები აღნიშნულ სატრანსფერო ამბებზე ბოლო თვე-ნახევრის განმავლობაში წერდნენ.

## გარსიას ნაკრები

"ლილის" მთავარმა მწვრთნელმა **რუდი გარსიამ** უეფას ვებგვერდის წარმომადგენელთა თხოვნით სპეციალურად შეადგინა 2011 წლის სიმბოლური ნაკრები. საფრანგეთის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებულმა სპეციალისტმა შემდეგი ფეხბურთელები გამოარჩია:

**მეკარე** - მანუელ ნოიერი (ბაიერნი); **მარჯვენა მცველი** - დანი ალვეში (ბარსელონა); **ცენტრალური მცველები** - ადილ რამი (ვალენსია) და ჟერარდ პიკე (ბარსელონა), **მარცხენა მცველი** - მარსელო (რეალი); **მარჯვენა ნახევარმცველი** - ჟერვინიო (არსენალი) **ცენტრალური ნახევარმცველები** - ჩავი და ანდრეს ინიესტა (ორივე ბარსელონა), **მარცხენა ნახევარმცველი** - ედენ აზარი (ლილი), **თავდამსხმელები** - კრიშტიანო რონალდო (რეალი) და ლიონელ მესი (ბარსელონა).

**მთავარი მწვრთნელი** - ხოსეპ გვარდიოლა (ბარსელონა)

**სკანდალი**



ფედერაციამ მსაჯის გადაწყვეტილება გააუქმა

# ალვარადოს წითელი გაუქმდა

ჰოლანდიის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ "აიაქსი"-"ალკმაარის" მატჩისას მომხდარი ინციდენტი ოპერატიულად განიხილა და აზ-ს კოსტარიკელ მეკარე **ესტებან ალვარადოს** წითელი ბარათი გაუუქმა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს "აიაქსის" მავანი გულშემატკივარი შუა თამაშისას თავს დაესხა. ალვარადო თავდამსხმელს წიხლებით გაუსწორდა. რომ არა სტადიონის დაცვის საქმეში დროული ჩარევა, აფექტურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ფეხბურთელი გაჩერებას არც აპირებდა. არბიტრმა **ბას ნეიჰესმა** ის მინდვრიდან გააძევა. ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კი ფეხბურთელის მხარე დაიჭირა.

ალვარადოს გაძევების შემდეგ სტადიონზე სიტუაცია ძალიან დაიძაბა, რის გამოც ალკმაარელთა ხელმძღვანელობამ გუნდი მოედნიდან გაიყვანა. თამაში ჩაიშალა. ფედერაცია მატჩის ბედს დღეს გადაწყვეტს. განიხილება მოვლენათა განვითარების სამი ვარიანტი: 1. მატჩი 37-ე წუთიდან "აიაქსის" სასარგებლოდ 1:0-დან განახლდება (მსგავსი პრაქტიკა ესპანეთში იყო) 2. თამაში თავიდან ჩატარდება. ამ შემთხვევაში შეხვედრა 27 დეკემბერს დაინიშნება 3. მატჩის შედეგი შეიძლება საბოლოოდ დამტკიცდეს და "აიაქსი" თასის შემდეგ ეტაპზე გავიდეს.

*"ეს სამართლიანი გადაწყვეტილება გახლავთ. ფედერაციამ მრავალი ვარიანტი განიხილა, მაგრამ ბოლოს საუკეთესო გამოსავალი გამონახა. მოხარულები ვართ, რომ ასე მოხდა,"* – განაცხადა "ალკმაარის" სპორტულმა დირექტორმა **ერნესტ სტიუარტმა**. "დე ტელეგრააფი" კი თავად ფეხბურთელს დაუკავშირდა და მცირე ინტერვიუ ჩამოართვა:

- ყველაფერი ჩემს საჯარიმოში მოხდა. ფეხბურთელი ვარ და ჩემს ბედს თავად ვაკონტროლებ. სულაც არ მომჩვენებია, რომ თავდამსხმელი ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო. ერთადერთი რაც გავაკეთე, აგრესიისგან თავის დაცვა იყო.

**- რას ფიქრობთ, რისი მიღწევა სურდა გულშემატკივარს?**

- ხმაურის გამო არაფერი გამიგია. კარგია, რომ სტადიონის დაცვას დროული რეაქცია ჰქონდა. მსაჯმაც ჩაუსტვინა და ჩემი ყურადღება სწორედ ამან მიიპყრო. შემოვბრუნდი თუ არა, დავინახე, რომ ის ჩემკენ მოფრინავდა. მაინცდამაინც არ შემშინებია, მაგრამ გავიფიქრე, რომ შეიძლებოდა დანით ან რაიმე სხვა საშიში საგნით ყოფილიყო შეიარაღებული.

**- რომ არა დროული ჩარევა, თავად გაჩერდებოდით?**

- როცა ლაპარაკია ჩხუბზე, სადაც თავი უნდა დაიცვა, ნამდვილად არ ფიქრობ, რამდენჯერ მოიქნევ ფეხს, ორჯერ თუ სამჯერ. ვიმეორებ, იმის შიში მქონდა, რომ იარაღი ჰქონდა და იმიტომაც არ ვჩერდებოდი, რომ თავდამსხმელი ფეხზე არ წამომდგარიყო.

**პარი სენ-ჟერმენი**

# ანჩელოტი 2,5 წლით



კორიერე დელო სპოტმა
კარლო ანჩელოტი უკვე დანიშნა

*"ვიდრე ანჩელოტი მოვიდოდეს", სწორედ ასე შეიძლება დაერქვას "პარი სენ-ჟერმენის" ვებგვერდზე კლუბის მიერ გაკეთებულ განცხადებას, სადაც წერია: "პსჟ-სა და გუნდის მთავარ მწვრთნელ ანტუან კომბუარეს სურთ, შექმნილ ვითარებაში მეტი სინათლე შეიტანონ. ამ ეტაპზე კლუბსა და თავკაცს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომელიც მალე დასრულდება. მხარეებს სწადიათ, ერთმანეთის ინტერესებს პატივი სცენ, რათა ვინმეს ინტერესები არ შეილახოს"*. რასთან დაკავშირებით მიდის მოლაპარაკება, ამას კლუბი არ იუწყება. პრესსამსახურის წარმომადგენლები კი დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უარს ამბობენ. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში კომბუარე მთავარ მწვრთნელადაა მოხსენიებული, ცხადია, რომ კვამლი უცეცხლოდ ვერ იარსებებს. თუკი კლუბი მოქმედ თავკაცს მოხსნას არ უპირებს, ამის შესახებ განცხადებაში პირდაპირ იქნებოდა მითითებული. ამასობაში კი... იტალიურმა გამოცემა "კორიერე დელო სპორტმა" **კარლო ანჩელოტი** "პარი სენ-ჟერმენის" მთავარ მწვრთნელად უკვე "დანიშნა". მათი მტკიცებით, კლუბმა კარლეტოსთან უკვე მიაღწია შეთანხმებას 2,5-წლიან კონტრაქტზე და მალე მას ოფიციალურად წარადგენს. მსგავს ინფორმაციას აქვეყნებს "ეკიპიც". ფრანგები თავის მხრივ ამატებენ, რომ პარიზში იტალიელ სპეციალისტს ისეთივე ხელფასი ექნება, რამდენიც მას "ჩელსიში" მუშაობის დროს ჰქონდა – 6 მილიონი ევრო წელიწადში. ანჩელოტის ასისტენტი კი იქნება "მონაკოს", "ინტერის", "მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **საბრი ლამუში**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ინტერვიუ. ბასტიან შვაინშტაიგერი

# გერმანიის ნაკრების უფრო მჯერა

## ევროპის ჩემპიონობასთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის თასთან

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუნხენის „ბაიერნმა“ ბასტიან შვაინშტაიგერის ტრავმა უმტკივნეულოდ გადაიტანა. მართალია, შვაინი რეკორდმაისტერს სულ რაღაც რამდენიმე კვირის მანძილზე დააკლდა, მაგრამ ამ პერიოდში მიუნხენურ გრანდს ბევრი არაფერი დაუკარგავს – ბავარიელები ბუნდესლიგაში შემოდგომის ჩემპიონები გახდნენ, გერმანიის თასზე კი მეოთხედფინალში გავიდნენ. მოკლედ, შედეგი მაინც მიიღეს, მაგრამ უშუალოდ თამაშს ნამდვილად ეტყობოდა, რომ გუნდს ნახევარდაცვიც ცენტრში მთავარი სტრატეგი და დირიჟორი აკლდა. იმ თემას, რომ შვაინშტაიგერი „ბაიერნისთვის“ ფასდაუდებელი ფეხბურთელია, მეტად აღარ განვავრცობთ და პირდაპირ ინტერვიუზე გადავდივართ, რომელშიც შვაინი 2011 წელს აჯამებს, 2012-ის გეგმებსა და მიზნებზე საუბრობს და ცხადია, „ბაიერნის“ სატრანსფერო პოლიტიკასაც მომოიხილავს.

**- ჰერ შვაინშტაიგერ, ტრავმას თუ არ ჩავთვლით, იყო თუ არა ეს წელი თქვენთვის საუკეთესო მას მერე, რაც „ბაიერნში“ თამაშობთ?**

- საუკეთესო წელი ჩემს ბაიერნულ კარიერაში? არა მგონია. მართალია, პირადად ჩემთვის კარგი წელიწადი იყო, მაგრამ საუკეთესო ნამდვილად არ ყოფილა, რადგან უტიტულოდ დავრჩით. სამაგიეროდ, კარგი იყო იმ მხრივ, რომ გამოცდილება მომემატა და უმეტესად კარგად ვთამაშობდი. საერთოდ, დღეს სულ სხვანაირად ვთამაშობ, ვიდრე მაშინ, როცა 20 წლის ვიყავი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ იუპ ჰაინკესმა ნახევარდაცვის ცენტრში გამამწესა – სწორედ ამას მივიჩნევ ჩემს კარიერაში საუკეთესო მოვლენად. სამაგიეროდ, მოედნის ცენტრში უფრო მეტი პასუხისმგებლობაც მეკისრება, თუმცა ეს ოდნავადად არ მაშინებს – რაც უნდა იყოს, ბუნდესლიგაში ჩემზე მეტი მატჩი (260 – გ.ლ.) არცერთ ჩემს თანაგუნდელს არ აქვს ჩატარებული.

**- ჰაინკესმა თქვა, შვაინშტაიგერი „ბაიერნში“ შეუცვლელი ფიგურააო და იქვე დასძინა, რომ თქვენ უკვე ჩავის და ინიესტას დონის ნახევარმცველი ხართ...**

- მწვრთნელისგან ასეთი ქება ერთი მხრივ ძალიან მახარებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამის შემდეგ ჩემგან უფრო მეტს ელიან და ითხოვენ. ვიცი, რომ „ბაიერნისთვის“ მნიშვნელოვანი ფეხბურთელი ვარ – კონტრაქტს ამიტომაც მოვაწერე ხელი. ზოგადად, ჩემთვის პირველ ადგილზე გუნდის ინტერესები დგას, რადგან მარტო ერთი ფეხბურთელი დღეს ტიტულს ვეღარ იგებს.

**- მართალია, თქვენი დაშავების მიუხედავად „ბაიერნს“ მაინც კარგი შედეგები ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ თქვენს გარეშე გუნდი ვეღარ იყო მოედანზე ისეთი დომინანტი, როგორც თქვენთან ერთად...**

- დიდი იმედი მქონდა, რომ ასე იქნებოდა და კარგია, რომ „ბაიერნმა“ ჩემს გარეშეც შეძლო როგორც ბუნდესლიგის პირველი წრის მოგება, ისე გერმანიის თასის მერვედფინალში გამარჯვება. მერჩივნა, დორტმუნდის „ბორუსიასთან“ და „მაინცთანაც“ მოგვეგო – ასეთ შემთხვევაში უკვე თამამად ვიტყოდით, რომ „ბაიერნმა“ ამ სეზონის პირველი ნახევარი გრანდიოზულად ჩაატარა, ახლა კი ის ქულები აშკარად გვაკლია. თუმცა საბოლოო ჯამში ყველაზე მთავარი ის არის, რომ რეკორდმაისტერი შემოდგომის ჩემპიონია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენც და ჩვენი ფანებიც შობა-ახალ წელს გახარებულები შევხვდებით.

**- „ბაიერნი“ სულ 17-ჯერ იყო შემოდგომის ჩემპიონი და აქედან 15 შემთხვევაში გერმანიის ჩემპიონიც გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ წესით „ვერცხლის სინი“ აუცილებლად უნდა დაიბრუნოთ.**

- „დორტმუნდი“ სერიოზულ კონკურენციას გაგვიწევს – ამაში დარწმუნებული ვარ. მნიშვნელოვნად გამოსწორდა „შალკეც“ და შეიძლება, მეორე წრეში გელზენკირხენელებმაც დიდხანს გვდიონ. ყველაზე მეტად კი მეც მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ გამაოცა: ლუსიენ ფავრმა ამ გუნდს თავისი ხელწერა დაატყო და იმავე კოლექტივით, რომლითაც „გლადბახი“ წინა სეზონში კინაღამ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა, ახლა ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსიც კი აქვს. მიონხენგლადბახელები თამაშების უმეტესობას 1:0-ზე იგებენ, რაც პირველ რიგში გუნდურ დისციპლინაზე მეტყველებს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ არც „გლადბახი“ უნდა დაგვავიწყდეს – მით უმეტეს, რომ ამ გუნდს გრანდობა ოდითგანვე მოსდგამს.

**- როგორ ფიქრობთ, რით აჯობა იუპ ჰაინკესმა ლუის ვან გაალს?**



ბასტიან შვაინშტაიგერი 2012 წელს ოპტიმისტურად უყურებს

- ჰაინკესი ვან გაალისგან რადიკალურად განსხვავებული პიროვნებაა და ფეხბურთელებსაც აბსოლუტურად სხვანაირად გვექცევა. სამაგიეროდ, იუპი და ლუისი ერთმანეთს იმით გვანან, რომ მიუხედავად ასაკისა, თანამედროვე ფეხბურთის ბევრი რამ გაეგებათ. მე არ ვეთანხმები ჩემს ზოგიერთ თანაგუნდელს, რომლებიც ვან გაალს ლანძღავენ. ლუისიც ძალიან მაგარი მწვრთნელია – ემოციური, შეტევაზე ორიენტირებული და მკაცრი. ასეთი ტიპის მწვრთნელები პირადად მე ძალიან მომწონს.

**- დიდი შანსია, რომ 2012 თქვენი წელი იყოს, რადგან ერთბაშად ოთხი ტიტულის მოგების შანსი გაქვთ: გერმანიის ჩემპიონობა, გერმანიის თასი, ჩემპიონთა ლიგა და ბოლოს ევროპის ჩემპიონობა.**

- ასარჩევად რომ მქონდეს საქმე, ევროპის ჩემპიონობას და ჩემპიონთა ლიგის მოგებას ავირჩევდი, რადგან გერმანიის თასსა და ბუნდესლიგას ყოველთვის მოვიგებთ...

**- და რომელი ტიტულის მოგებაა თქვენი აზრით ყველაზე რეალური?**

- გერმანიის ჩემპიონობაზე და გერმანიის თასზე ლაპარაკი უადგილოა – ორივე ტიტული ძალიან რეალურია. რაც შეეხება იმ ორ მთავარ ტიტულს: ჩემი აზრით, დღეს გერმანიის ნაკრები უფრო ახლოსაა ევროპის ჩემპიონობასთან,

> „ბარსელონას“ შეუძლია, უმაღლეს დონეზე რეგულარულად ითამაშოს - უცხოპლანეტელებივით არიან

ვიდრე „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის თასთან.

**- არადა, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა თქვა, „ბაიერნი“ უკვე „ბარსელონას“ და „რეალის“ დონის გუნდიაო...**

- იოგის ვეთანხმები, მაგრამ განსხვავება მაინც არის და კერძოდ იმაში, რომ „ბარსელონას“ შეუძლია, უმაღლეს დონეზე რეგულარულად ითამაშოს, ჩვენ კი ზედიზედ 5-6 მატჩს ასე ვერ ვითამაშებთ. ნახეთ, როგორ იგებს „ბარსა“ თავის მატჩებს – უცხოპლანეტელებივით არიან. მოკლედ, „ბარსელონა“ პირველია და მერე მოდიან „ბაიერნისა“ და „რეალის“ დარი გუნდები.

**- წლების წინ, როცა „ბაიერნში“ თამაში დაიწყეთ, ამბობდით, ჩემი ოცნება ისიცაა, რომ რეკორდმაისტერის კაპიტანი გავხდეო, ახლა კი ეს აღარ არის თქვენთვის პრიორიტეტული. რატომ?**

- ჰო, მართალია: კაპიტნობა ჩემთვის აღარაა მნიშვნელოვანი. მაშინ პატარა ვიყავი და ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებდი, ახლა კი ვიცი, რომ ფეხბურთელისთვის პრიორიტეტული მისი თამაშის ხარისხი უნდა იყოს და არა ის, გაიკეთებს თუ არა სამკლავურს. პრინციპში, თუ პასუხისმგებლობას არ გაურბიხარ და ფეხბურთსაც კარგად თამაშობ, გუნდში შენი სიტყვა ისედაც გეთქმის. აგერ, მაგალითად, ული ჰიონესისთვის და კარლ-ჰაინც რუმენიგესთვის საშობაო საჩუქრების შერჩევა მე მევალება (იცინის). ოღონდ, რა თქმა უნდა, ფილიპ ლამსაც ვეკითხები ხოლმე რჩევას. სხვათა შორის, ლამს იდეალურად ვუგებ.

**- როისი, გიოტცე, მიულერი, ბადშტუბერი, ტყუპი-ბენდერები, შიურლე, ლაიტნერი - გერმანიას საფეხბურთო ტალანტების ასეთი ბუმი არ ახსოვს. პირადად თქვენ ყველაზე მეტად რომელი მათგანი მოგწონთ?**

- მას მერე, რაც გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბავშვთა ფეხბურთს ჯეროვნად მიხედა, ტალანტები მომრავლდნენ. თუ გახსოვთ, 2004 წელს ამ კატეგორიის ფეხბურთელები მხოლოდ ლამი, პოდოლსკი და მე ვიყავით. რაც შეეხება კითხვას: ჩემი აზრით, ამათგან ყველაზე შორს მარიო გიოტცეა წასული.

**- „ბაიერნს“ როისის ყიდვა უნდა. მარკოს მიუნხენში გადმოსვლას ურჩევდით?**

- როისს ისეთივე ვარცხნილობა აქვს, როგორიც მე მქონდა 20 წლის ასაკში – ასე რომ, აუცილებლად უნდა ვიყიდოთ! ხუმრობა იქით იყოს და, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენად კარგი დროა ახლა ამ ტრანსფერისთვის. ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ „ბაიერნი“ როისის პოზიციაზე ძალიან კარგადაა დაკომპლექტებული. არ მინდა, რომ როისს სათამაშო პრაქტიკა მოაკლდეს.

**- დღესდღეობით საფეხბურთო მატჩის გაანალიზება უახლესი ტექნოლოგიებით ხდება. სტატისტიკა გიყვართ?**

- არა და ვერ ვიტან, როცა მოთამაშეებს ამ სტატისტიკით გვაფასებენ. ფეხბურთელი, რომელმაც 90 წუთში 14 კილომეტრი ირბინა, ჩემთვის ავტომატურად არ ჯობია იმ ფეხბურთელს, რომელმაც მხოლოდ 10 კილომეტრი გაირბინა, რადგან მთავარი არა მანძილი, არამედ ის არის, თუ რომელმა უფრო სწორად ირბინა. პირადად მე უაზროდ რამდენიმე მეტრის გარბენაც კი არ მიყვარს.

**- უკვე 27 წლის ხართ. „ერთხელ „ბაიერნი“, სამუდამოდ „ბაიერნი“?**

- რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2016 წლამდე გავაგრძელე და ეს გუნდი ძალიან მიყვარს, რაც ყველამ იცის. რაც მთავარია, აშკარად ვხედავ, რომ გუნდი პროგრესს განიცდის, რისი დასტურიცაა მაგალითად მანუელ ნოიერის ტრანსფერი. საკლუბო დონეზე ჩემი ოცნება ჩემპიონთა ლიგის მოგებაა და იმედი მაქვს, რომ ამ ოცნებას სწორედ „ბაიერნთან“ ერთად ავიხდენ.

ამბები

### გაზპრომს ბაიერნიც უნდა!

რუსული ნავთობ-გიგანტის, „გაზპრომის“ ბოსები „შალკესთან“ თანამშრომლობით იმდენად კმაყოფილები არიან, რომ ახლა მიუნხენის „ბაიერნის“ გენერალურ სპონსორობასაც დაუმიზნეს. როგორც იცით, „გაზპრომი“ „შალკეს“ სპონსორი 2007 წლიდანაა. გაზეთ „ზუდდოიჩე ცაიტუნგის“ ცნობით, „გაზპრომის“ შეფი **ალექსეი მილერი** ოთხშაბათს „ბაიერნის“ პრეზიდენტ **ული ჰიონესს** და ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** შეხვდა. მოლაპარაკების დეტალები უცნობია, ის კი ფაქტია, რომ საუბარი „გაზპრომის“ შესაძლო სპონსორობას შეეხო.

### კიოლნმა შვედი ტალანტი იყიდა

„კიოლნმა“ ზამთრის პირველი ტრანსფერი სრულყო: გუშინ „თხების“ ვებ-გვერდზე ოფიციალურად დადასტურა, რომ შვედეთის 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელმა **მიკაელ იშაკმა** „კიოლნთან“ კონტრაქტი გააფორმა. ხელშეკრულების ხანგრძლივობასა და ტრანსფერის ღირებულებაზე კი არაფერი თქმულა.

იშაკი 18 წლის ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელსაც ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზეც შეუძლია თამაში და შემტევ ნახევარმცველადაც გამოდგება. ეს უკანასკნელი შვედეთის მეორე ლიგის წარმომადგენელ „ასირისკაში“ თამაშობდა და მიმდინარე სეზონში 28 შეხვედრაში 9 გოლი აქვს გატანილი.

*„იშაკი ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ფეხბურთელია, რომელიც „კიოლნს“ აუცილებლად გამოადგება. ჩვენ ვიჩქარეთ და ყველას დავასწარით, რადგან ზაფხულამდე მისი ფასი ფაქტობრივად გაორმაგდებოდა,“* - ეს „კიოლნის“ სპორტული დირექტორის, **ფოლკერ ფინკეს** სიტყვებია.

### მაგათმა ირჟაჩეკით დაიწყო

„ვოლფსბურგი“ იანვარში არაერთი ახალი ფეხბურთელის შეძენას რომ აპირებს, ამაზე ბევრჯერ დავწერეთ. და აი, „მგლების“ მწვრთნელმა და მენეჯერმა **ფელიქს მაგათმა** პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა: „ვოლფსბურგმა“ პლზენის „ვიქტორიას“ ფეხბურთელი **პეტრ ირჟაჩეკი** გადაიბირა. გერმანიის 2009 წლის ჩემპიონის ხელმძღვანელებმა ტრანსფერი გუშინ დაადასტურეს: 25 წლის ნახევარმცველი „ვოლფსბურგთან“ კონტრაქტს 2016 წლამდე აფორმებს და პირველი იანვრიდან მაგათის შეგირდი გახდება.

*„მიხარია, რომ პეტრი დაგვთანხმდა. მისი სახით ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილ ფეხბურთელს ვიმატებთ. ვინც ჩემპიონთა ლიგაში „ვიქტორიას“ თამაშებს თვალს ადევნებდა, დამეთანხმდება, რომ ირჟაჩეკი ამ გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო,“* - ეს მაგათის სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერია A. I (გამოტოვებული) ტურის შეჯამება

# ახალ წელს ახალი ლიდერით

## თუმცა, ბევრის აზრით, ზამთრის სკუდეტოს იუვე იმსახურებდა

**მართალია,** სერია A-ს მიმდინარე გათამაშებას ეკვატორი ჯერ არ გადაულახავს, მაგრამ იტალიაში ზამთრის სკუდეტოს მფლობელად მაინც „მილანი" აღიარეს - ეს კი იმიტომ, რომ ასეთი ტროფეი უბრალოდ არ არსებობს და ნაკლებად მნიშვნელოვანია მე-16 ტურს მოჰყვება ჩემპიონატში ანტრაქტი, თუ მე-19-ს. მოკლედ, ზამთრის სკუდეტო „მილანს" ეკუთვნის, თუმცა ჟურნალისტთა ნაწილის აზრით, მას „იუვენტუსი" უფრო იმსახურებდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტურინული გრანდი ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში, რომელსაც ჯერ მარცხი არ განუცდია - მაშინ, როდესაც წაგებათა გრაფაში „მილანს" 2 უწერია. თანაც, ლიდერი თითქმის ყოველთვის „იუვე" გახლდათ და მხოლოდ ბოლო ტურში დაუთმო პირველი ადგილი „მილანს"; ანუ, ახალ წელს სერია A ახალი ლიდერით შეხვდება; თუმცა, ერთზე ყველა უნდა შევთანხმდეთ: მთავარი არა ზამთრის სკუდეტო, არამედ ისაა, თუ ვინ როგორ ფორმაში შეხვდება 2012 წელს და რა მოხდება სეზონის მეორე ნახევარში... იქამდე კი პირველი, ანუ გამოტოვებული ტურის შეჯამებას გავეცნოთ.

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ბიძარი** (ლაციო) - **ტადეი** (რომა), **დომიცი** (უდინეზე), **ცეზარი** (კიევო), **პელუზო** (ატალანტა) - **ჰამშიკი** (ნაპოლი), **ლოდი** (კატანია), **ალვარესი** (ინტერი) - **კავანი** (ნაპოლი), **მარილუნგო** (ატალანტა), **იბრაჰიმოვიჩი** (მილანი).

გასაგებია, რომ „ჯენოასთან" პაექრობაში **მარეკ ჰამშიკი** შემტევი ნახევარმცველი იყო და არა საყრდენი, მაგრამ სიმბოლურ ნაკრებზე გვაქვს საუბარი და მივცეთ თავს უფლება, სლოვაკი ცოტა უკან ჩავაჩოჩოთ, საკუთარი კარისკენ. მოკლედ, ნახევარდაცვით დავიწყეთ და ბარემ ვთქვათ, რომ რჩეულ ფეხბურთელთა შორის ჰამშიკთან ერთად, **ლოდი** და **ალვარესი** მოხვდნენ, პირველმა „პარმასთან" გაიბრწყინა, ხოლო მეორემ „ლეჩესთან".

დაცვაში **ტადეის, დომიცის, ცეზარს** და **პელუზოს** ვხედავთ - პირველი სამეულის გუნდებმა: „რომამ", „უდინეზემ" და „კიევომ" კარი მშრალად შეინახეს, მეოთხემ კი „ატალანტას" რიგებში გატანილი გოლითაც კი გამოიჩინა თავი. ბერგამიული გუნდის ფორვარდიც გვყავს რჩეულებს შორის: **მარილუნგო,** რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ „ჩეზენასთან" პაექრობაში; **ედინსონ კავანიმ** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** კი ჩვეული თამაში აჩვენეს და კიდევ ერთხელ დაგვანახვეს, რომ სუპერვარსკვლავები არიან.

### ტურის გმირი

ტურის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა „ნაპოლის" მიერ „ჯენოას" განადგურება გახლდათ და გმირიც სწორედ ამ მატჩიდან შეირჩა. ედინსონ კავანიმ მორიგი ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა და გენუელთა რბევაში ლომის წილი დაიდო, რაზეც მის მიერ გატანილი ორი გოლი ნათლად მეტყველებს. ამასთან, სხვა საგოლე კომბინაციებშიც მიიღო მონაწილეობა და მთლიანობაში, ძალიან პროდუქტიული გახლდათ. ნამატჩევს, ურუგვაელმა ფორვარდმა შემდეგი განაცხადა:

*„გენუელებთან შესრულებულ დუბლს, სიამოვნებით გავცვლიდი „ნოვარასთან" ერთ გოლზე, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი და არსებულ რეალობას უნდა შევურიგდეთ. „ჯენოასთან" მართლაც ყველაფერი გამოგვივიდა და იმაზე მეტი გავიტანეთ, ვიდრე წარმოგვედგინა. ამ გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენა გაგვიმტკიცა და იმედი მაქვს, ტემპს არც სეზონის განახლების შემდეგ დავაგდებთ".*

### ტურის ფრაზა

**ხავიერ ძანეტი (ინტერის კაპიტანი):** *„აი ეს უკვე სულ სხვა ამბავია, პირველად ამ სეზონში, სატურნირო ცხრილს ჩავხედე და არ შემეშინდა".*

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** X ტური, ინტერი-იუვენტუსი, 75 000 გულშემატკივარი

**ყველაზე ცუდი დასწრება:** II ტური, კიევო-ნოვარა, 7 000 გულშემატკივარი

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** პალერმო-ინტერი 4:3 (II ტური), ლეჩე-მილანი 3:4 (VIII), ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I).

### სერიები

მოგება: ინტერი - 4 თამაში
წაგება: კალიარი, ბოლონია, ჩეზენა - 2
წაუგებლად: იუვენტუსი - 16
მოუგებლად: სიენა - 7

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: **35 გოლი - მილანი; 29 - ნაპოლი; 27 - იუვენტუსი.**

საუკეთესო დაცვა: **9 გაშვებული - უდინეზე; 11 - იუვენტუსი; 13 - ლაციო.**

უარესი თავდასხმა: **8 გოლი - ჩეზენა; 12 - კალიარი; 13 - კიევო.**

უარესი დაცვა: **33 გაშვებული - ლეჩე; 29 - ნოვარა; 26 - პარმა.**

ზუსტი გადაცემები: **9140 - მილანი; 8345 - იუვენტუსი; 8073 - რომა.**

კარის მიმართულებით დარტყმები: **285 - იუვენტუსი; 255 - ინტერი; 246 - რომა.**

კარში დარტყმები: **105 - იუვენტუსი; 90 - მილანი; 79 - კატანია.**

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**ბომბარდირები:** 12 - ხერმან დენისი (ატალანტა); 11 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 10 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 9 - მიროსლავ კლოზე (ლაციო), ედინსონ კავანი (ნაპოლი); 7 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა), სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**ასისტენტები:** 7 - ანტონიო კასანო (მილანი); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა); 5 - ჯიბრილ სისე (ლაციო); 4 - როდრიგო პალასიო (ჯენოა), გასტონ რამირესი (ბოლონია), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა).

### ზუსტი პასები

1130 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); **1122** - დანიელე დე როსი (რომა); **1102** - კრისტიან ლედესმა (ლაციო); **1009** - მიგელ ველოზო (ჯენოა); **1007** - ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); **955** - ტიაგო სილვა (მილანი);.

**კარის მიმართულებით დარტყმები:** 71 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 65 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 58 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 51 - ადრიან მუტუ (ჩეზენა); 48 - ერნანესი (ლაციო), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი), ედინსონ კავანი (ნაპოლი).

**კარში დარტყმები:** 30 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 24 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 21 - ხერმან დენისი (ატალანტა); 19 - ედინსონ კავანი (ნაპოლი), ადრიან მუტუ (ჩეზენა); 17 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა), მარკო რიგონი (ნოვარა).

**ჯარიმები:** 42 - ვალონ ბერამი (ფიორენტინა), ჯამპიერო პინცი (უდინეზე); 41 - მაქსი ლოპესი (კატანია), ლუკა ჩიგარინი (ატალანტა), პანაიოტის კონე (ბოლონია); 40 - ხუან კუადრადო (ლეჩე); 38 - ხერმან დენისი (ატალანტა); 37 - სტეფანო მორრონე (პარმა), დანიელე კონტი (კალიარი).



მილანმა ზამთრის „ტიტული" მოიგო

### ციფრები და ფაქტები

- ბოლოს „ნაპოლიმ" საკუთარ მოედანზე 6 გოლი 2000 წელს გაიტანა, მაშინ ნეაპოლელებმა „რეჯინა" გაანადგურეს, 6:2.

■ ■ ■

- კრისტობალ ხორკერამ „ჯენოადან", რიკი ალვარესმა „ინტერიდან", ანდრეა მაძარანიმ „ნოვარადან" და ანდრეა კატელანიმ „კატანიადან" პირველი გოლები გაიტანეს სერია A-ში;

■ ■ ■

- „უდინეზე" ბოლო გუნდი იყო სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, რომელსაც საკუთარ მოედანზე ყველა თამაში ჰქონდა მოგებული;

■ ■ ■

- „უდინეზემ" მეათე შეხვედრაში შეინახა საკუთარი კარი ხელშეუხებლად, „იუვესთვის" ეს მერვე მშრალი მატჩი იყო;

■ ■ ■

- „ფიორენტინა" კვლავაც ვერ ახერხებს გასვლაზე გამარჯვების მოპოვებას;

■ ■ ■

- „მილანს" 1998 წლის შემდეგ არ წაუგია „კალიარისთან";

■ ■ ■

- ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მე-200 შეხვედრა ჩაატარა სერია A-ში და 105-ე გოლი გაიტანა. ამასთან, ბოლო 7 თამაშია მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, სულ კი 16 შეხვედრაში 11 გოლი აქვს გატანილი; ასეთი შედეგი „მილანის" ფეხბურთელებს შორის ბოლოს ანდრეი შევჩენკოს ჰქონდა 2004/2005 წლების სეზონში;

■ ■ ■

- „რომამ" მიჯრით მესამე გასვლითი თამაში მოუგო „ბოლონიას", თანაც ისე, რომ გოლი არ აქვს გაშვებული;

■ ■ ■

- „ინტერის" ფეხბურთელებმა „ლეჩესთან" პაექრობაში ოთხჯერ გაარტყეს ბურთი ძელს; ბოლოს, ასეთი რამ 2008 წელს, „კალიარი"-„ლივორნოს" შეხვედრაში მოხდა. მაშინ სარდინიელებს არ უმართლებდათ დამაგვირგვინებელ ფაზაში;

■ ■ ■

- „ლაციოს" „კიევოსთან" 10 საშინაო შეხვედრა აქვს ჩატარებული და იქიდან მხოლოდ 1 მოგებული;

■ ■ ■

- „ნოვარა" ერთადერთი გუნდია სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში, რომელსაც ყველა მატჩში გოლი აქვს გაშვებული;

■ ■ ■

- „პარმას" 20 ნოემბრის შემდეგ აღარ მოუგია: 5 ფრე და 1 მარცხი;

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 16 | 10 | 4 | 2 | 35-16 | 34 |
| 2. იუვენტუსი | 16 | 9 | 7 | 0 | 26-10 | 34 |
| 3. უდინეზე | 16 | 9 | 5 | 2 | 20-9 | 32 |
| 4. ლაციო | 16 | 8 | 6 | 2 | 24-13 | 30 |
| 5. ინტერი | 16 | 8 | 2 | 6 | 22-19 | 26 |
| 6. ნაპოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 29-18 | 24 |
| 7. რომა | 16 | 7 | 3 | 6 | 21-19 | 24 |
| 8. კატანია | 16 | 5 | 7 | 4 | 20-23 | 22 |
| 9. პალერმო | 16 | 6 | 3 | 7 | 18-20 | 21 |
| 10. ჯენოა | 16 | 6 | 3 | 7 | 19-24 | 21 |
| 11. ატალანტა | 16 | 6 | 8 | 2 | 23-19 | 20 |
| 12. კიევო | 16 | 5 | 5 | 6 | 13-18 | 20 |
| 13. პარმა | 16 | 5 | 4 | 7 | 21-26 | 19 |
| 14. ფიორენტინა | 16 | 4 | 6 | 6 | 15-15 | 18 |
| 15. კალიარი | 16 | 4 | 6 | 6 | 12-17 | 18 |
| 16. სიენა | 16 | 3 | 6 | 7 | 14-16 | 15 |
| 17. ბოლონია | 16 | 4 | 3 | 9 | 14-24 | 15 |
| 18. ნოვარა | 16 | 2 | 6 | 8 | 17-29 | 12 |
| 19. ჩეზენა | 16 | 3 | 3 | 10 | 8-20 | 12 |
| 20. ლეჩე | 16 | 2 | 3 | 11 | 17-33 | 9 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### მომდევნო ტური

7 იანვარი: **სიენა-ლაციო, ინტერი-პარმა;**

**8 იანვარი: უდინეზე-ჩეზენა, ატალანტა-მილანი, ბოლონია-კატანია, კალიარი-ჯენოა, ლეჩე-იუვენტუსი, ნოვარა-ფიორენტინა, რომა-კიევო, პალერმო-ნაპოლი.**

გვერდი მოამზადა

**ლაშა წიკლაურმა**

● ტრანსფერი

# ვარგასი ნაპოლიში, 12 მილიონად



**წუხელ** ცნობილი გახდა, რომ „ნაპოლი" 22 წლის ჩილელი ფორვარდით, **ედუარდო ვარგასით** გაძლიერდა. ოფიციალურ საიტს კლუბის პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** დაუდასტურა, რომ სამხრეთამერიკელმა წარმატებით გაიარა სამედიცინო შემოწმება და კონტრაქტსაც მოაწერა ხელი. არაოფიციალური წყაროებით, იტალიელებმა ვარგასის სანაცვლოდ „უნივერსიდად დე ჩილეს" 12 მილიონი ევრო გადაუხადეს. ორ სეზონში ვარგასი აწ უკვე ყოფილ კლუბს 32 გოლით შეეწია. ახლა ნაპოლის შეტევაში საინტერესო სამხრეთამერიკული ტრიო ეყოლება: ურუგვაელი **ედინსონ კავანი,** არგენტინელი **ესეკილ ლავეცი** და ჩილელი ედუარდო ვარგასი.



კოპა დელ რეი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები და წილისყრა



ესპანეთის თასის პლეი ოფის წილისყრის შედეგები

# საოცნებო ფინალი არ იქნება

## გვარდიოლამ ორი რეკორდი მოხსნა, მაგრამ ინიესტა დაკარგა


ტელოს კამპ ნოუზე საოცნებო დებიუტს ულოცავენ

**ესპანეთის თასზე საოცნებო ფინალი (ისეთი, როგორც შარშან იყო) არ იქნება - ბუნებრივია, „რეალმა“ და „ბარსელონამ“ იოლად გადალახეს 1/16-ფინალური ბარიერი, მაგრამ საქმეში ბრმა წილისყრა ჩაერია: თუ გრანდები მერვედფინალურ ბარიერს გადალახავენ, ისინი ერთმანეთს მეოთხედფინალში დაუპირისპირდებიან. მანამდე კი „ვალენსიამ“ და „ბარსამ“ (განსაკუთრებით) მოარბიეს თავიანთი ოპონენტები და უკანასკნელებმა გაინაღდეს მერვედფინალში თამაში. ქვეყნის ჩემპიონმა 9:0 მოგებით თასის წლევანდელი გათამაშების რეკორდი დაამყარა.**

| ვალენსია-კადისი | 4:0 (0:0) |
|---|---|

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - მიგელი, რამი, რუისი, ალბა (74. მატიო) - მ. თოპალი, ბანეგა - პ. ერნანდესი, ჟონასი (53. პარეხო), პიატი - სოლდადო (59. ადურისი).

**გოლები:** 1:0 რუისი (5), 2:0 ჟონასი (28), 3:0 სოლდადო (41), 4:0 ბანეგა (68)

„ვალენსიამ“ წელიწადი კარგი განწყობით დაასრულა - მე-3 დივიზიონის „კადისი“, რომელსაც 100-წლიან არსებობის ისტორიაში 12 სეზონი უთამაშია პრიმერაში, 4:0 მოარბია. პირველი თამაში სახიფათო ანგარიშით (0:0) დასრულდა, ამიტომაც **უნაი ემერიმ** თითქმის საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანა სამხრეთელთა წინააღმდეგ.

ძალიან კარგად ითამაშა **პაბლო პიატიმ**, ხოლო გოლები **ვიქტორ რუისმა, ჟონასმა, რობერტო სოლდადომ** და **ევერ ბანეგამ** გაიტანეს. „კადისი“ თავაწეული ტოვებდა „მესტალიას“, ეს გუნდი არ შეუშინდა მაღალი კლასის მეტოქეს და ებრძოლა, როგორც შეეძლო.

**უნაი ემერი** (ვალენსია): „წლის ამაღლებულ განწყობაზე დასრულება და თასისთვის ბრძოლის გაგრძელება გვსურდა. არ გვინდოდა, თავი შარში ჩაგვეგდო, ამიტომ შემადგენლობაში დიდი კორექტივები არ შეგვიტანია“.

| ბარსელონა-ოსპიტალეტი | 9:0 (1:0) |
|---|---|

**ბარსელონა (3-4-3):** პინტო - პუიოლი, პიკე, ფონტასი - ბუსკეტსი (56. დოს სანტოსი), ჩავი (38. ტელო), ტ. ალკანტარა, ინიესტა (30. ს. რობერტო) - კვენკა, პედრო, ფაბრეგასი.

**გოლები:** 1:0 პედრო (11-პენ), 2:0 ინიესტა (19), 3:0 ალკანტარა (22), 4:0 ჩავი (35), 5:0 ტელო (42), 6:0 კვენკა (48), 7:0 ალკანტარა (54-პენ), 8:0 ტელო (64), 9:0 კვენკა (80)

კატალონიური დერბი იმდენად არათანაბარი იყო, რომ კატალონიურ რბევად იქცა. „ბარსამ“ 9 უპასუხო გოლი გაიტანა „ოსპიტალეტის“ კარში. შედეგად, 2011 წელს ოფიციალურ მატჩებში მსოფლიოს საუკეთესო კლუბმა 170 გოლი გაიტანა. ეს კი რეკორდია. სხვათა შორის, ოთხშაბათამდე რეკორდი „რეალს“ ეკუთვნოდა, რომლის ანგარიშზეც 2011 წელს 167 გოლი იყო.

სამმა ფეხბურთელმა დუბლი შეასრულა, რომელთაგანაც **ტიაგო ალკანტარა** და **ისააკ კვენკა** ახალი გამოჩენილები არიან ფართო საზოგადოებისთვის, **ტელო** კი სულაც ახალწვეულია. თავიანთი გოლები გაიტანეს **ჩავიმ, ინიესტამ** და **პედრომაც. ხოსეპ გვარდიოლამ** პირადი რეკორდი დაამყარა, აქამდე მის „ბარსას“ 9:0 არ მოუგია, კატალონიელებმა ამ ანგარიშით ბოლოს „რაიო ვალეკანო“ მოსრეს, ეს კი 1978/79 წლების სეზონში მოახერხეს.

მაშ, ამ სათასო დაპირისპირების მთავარი კითხვა - ვინ არის კრისტიან ტელო, რომელიც მოედანზე ჩავის ნაცვლად გამოჩნდა და დუბლი მიითვალა. საბადელელი 20 წლის გარემარბი, სხვათა შორის, დაუძინებელ მტერ „ესპანიოლს“ წაართვა შარშან „ბარსამ“, თუმცა კი ტელო „ბარსას“ „ლა მასიის“ აღზრდილია. პირველ გუნდში მისი დებიუტი „ოსპიტალეტთან“ პირველ მატჩში შედგა, უკვე საპასუხოში კი მან თავი გამოიჩინა.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარია, არც მეტოქე იყო ძლიერი და 2-მატჩიანი დაპირისპირების ბედიც გადაწყვეტილი იყო, „კამპ ნოუზე“ 57 ათასი მაყურებელი მივიდა.

ჩვენ ერთხელაც არ გვიხსენებია **ლეო მესი**, მას გვარდიოლამ 2 იანვრამდე შვებულება გამოუწერა და სამშობლოში გაუშვა.

ერთადერთი, რაც ოთხშაბათს „კამპ ნოუზე“ „ბარსასთვის“ ცუდი მოხდა, ანდრეს ინიესტას ტრავმაა. თუმცა თავად ნახევარმცველმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ სერიოზული არაფერია და მალე ის სრულ მზადყოფნაში იქნება. ექიმთა დასკვნა უკვე გუშინდელია: ანდრესი 15 დღით დააკლდება „ბარსას“.

### ორი კლასიკო იანვარში?

გუშინ ესპანეთის თასის პლეი ოფების წილისყრა შედგა, გაირკვა არა მარტო მერვედფინალური წყვილები, არამედ, შემდგომი ეტაპის ბადეც (ამიტომ გთავაზობთ ბადეს ფოტოს სახით სრულად).

ისე მოხდა, რომ პრიმერა დივიზიონის 7 წარმომადგენელი ბადის ერთ მხარეს მოექცა, 5 კი - საპირისპიროდ. თუმცა არც ერთ წყვილში არ მოხდა ისე, რომ სეგუნდა დივიზიონის და სეგუნდა B-ს გუნდები (ჯამში, 4) ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ.

„სამეფო კლუბს“ მეტოქედ „მალაგა“ ერგო, „ბარსელონას“ - „ოსასუნა“. მიუხედავად იმისა, რომ ორივე წყვილში გრანდები აშკარა ფავორიტები იქნებიან, ორივეგან ბრძოლას ველით. ყველაზე საინტერესო კი „ვალენსიასა“ და „სევილიას“ წყვილი გვგონია. თუკი „ვალენსია“ მოიგებს, ხოლო „ლევანტე“ „ალკორკონის“ წინააღმდეგობას დაძლევს, მეოთხედფინალში ვალენსიური დერბი გველის.

შედარებითი „სიმსუბუქეა“ ბადის მეორე მხარეს: „ესპანიოლი“ „კორდობას“ დაუწყვილდა, „რასინგი“ - „მირანდესს“, „ბილბაო“ - „ალბასეტეს“. აქ მხოლოდ ერთია პრიმერული დაპირისპირება: „რეალ სოსიედადი“ „მალიორკას“ წინააღმდეგ. პირველი მატჩები 3,4 და 5 იანვარს გაიმართება, საპასუხო - 10,11 და 12 იანვარს. მეოთხედფინალური ეტაპი კი 18 და 25 იანვარსაა ნავარაუდევი. მოკლედ, „ელ კლასიკო“ (თანაც ორი), შესაძლოა, იანვარშივე ვიხილოთ.

ვილიარეალი

# ხოსე მოლინა: ძველი სახე, ახალი ამპლუა

უმწვრთნელოდ დიდხანს არც „ვილიარეალი“ დარჩენილა - გუშინ ვალენსიური კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი თავკაცი გაგვაცნო: მოხსნილ **ხუან კარლოს გარიდოს** 41 წლის **ხოსე ფრანსისკო მოლინა** შეცვლის. ალბათ, გეცნოთ სახელი - დიახ, ეს ის ცნობილი გოლკიპერია, რომელსაც „ვალენსიას“, „ატლეტიკოს“, „დეპორტივოს“ და „ლევანტეს“ კარი დაუცავს. მოლინამ 2007 წელს (37 წლისამ) „ლევანტეში“ დაასრულა კარიერა. მან სულ 9-ჯერ ითამაშა ეროვნულ ნაკრებში, თუმცა იყო ევრო 96-ის და 1998 წლის მუნდიალის განაცხადებში, ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე მას ნორვეგიასთან ანდეს კარი, მაგრამ ის თამაში ესპანეთის ნაკრებმა მისი შეცდომის გამო 0:1 წააგო. სხვათა შორის, მოლინა უნიკალური ფეხბურთელია, მას ესპანეთის ეროვნულ გუნდში დებიუტი... მარცხენა გარემარბად ჰქონდა (1996 წ. მაშინაც ნორვეგიის წინააღმდეგ). მოლინას ზეობა 1996 წელს იყო, როცა „ატლეტიკოსთან“ ერთად „ოქროს დუბლი“ შეასრულა (ჩემპიონობა და თასი), თავად კი საუკეთესო მეკარისთვის განკუთვნილი ზამორას პრიზი მიიღო. მოლინა „დეპორტივოშიც“ დაეუფლა ესპანეთის თასს, ორჯერ კი - სუპერთასს.

მოლინას „ვილიარეალშიც“ უთამაშია (სულ 18 მატჩი 1994 წელს), მწვრთნელობა კი „ელ სუბმარინოში“ დაიწყო. წლეულს მან „ვილიარეალის“ სარეზერვო გუნდი ჩაიბარა, რომელიც სეგუნდა დივიზიონში გამოდის. მოლინას დებიუტი 8 იანვარს „ვალენსიას“ წინააღმდეგ შედგება, იმ გუნდის წინააღმდეგ, სადაც ფეხბურთის თამაში ისწავლა...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ვილიარეალის ახალი თავკაცი ხოსე მოლინა




ატლეტიკო

# დიეგოს დაბრუნება

გუშინ მადრიდის „ატლეტიკომ“ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - არცთუ კარგად დავიწყებული ძველი, **დიეგო სიმეონე. გრეგორიო მანსანოს** ხელში „ატლეტიკომ“ ყველა ფრონტზე წაიფორხილა, ლა ლიგაში გუნდი 19 ქულით მხოლოდ მე-10 ადგილზეა და საეჭვოა, შეძლოს ევროთასების საგზურისთვის ბრძოლა. ამიტომაც მე-3 დივიზიონის „ალბასეტესთ ან“ სამარცხვინო მარცხი ბოლო წვეთი იყო მოთმინების ფიალაში და 55 წლის ესპანელ სპეციალისტს კარზე მიუთითეს, 41 წლის არგენტინელს კი დაუძახეს.


დიეგო სიმეონე

„ატლეტიკოს“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, სიმეონეს პრეზენტაცია 27 დეკემბერს „ვისენტე კალდერონის“ ვიპდარბაზში გაიმართება. სიმეონე „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი იყო 1994-1997 და 2003-2005 წლებში, ის ნალდი „როხიბლანკოა“ და მადრიდული კლუბის სამზარეულო იცის. სიმეონე ახლა უკვე მწვრთნელის რანგში დაბრუნდა მადრიდში, მანამდე კი ის არგენტინულ „რასინგში“ მუშაობდა. სიმეონემ არგენტინის ჩემპიონატი ორჯერ მოიგო, ჯერ როგორც „ესტუდიანტესის“ თავკაცმა, მერე როგორც - „რივერ პლეიტის“. გუშინ მან „ატლეტიკოსთან“ 2013 წლის ზაფხულამდე გააფორმა ხელშეკრულება.

ხერხემლის დეკომპრესია DRX9000™ სისტემა
მედცენტრი Shine
გაწუხებთ სპორტული დატვირთვით გამოწვეული პრობლემები?

გთავაზობთ მალთაშუა დისკის პათოლოგიების მკურნალობას ოპერაციის გარეშე
მწვავე ტკივილების მოხსნას წელისა და ქვედა კიდურების არეში
დისკოზის, რადიკულიტის, ოსტეოქონდროზის მკურნალობა
ჩაწერა წინასწარ
ტელ: 2 230 330
მის: კეკელიძის 14
www.shine.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილა-ს კომისარი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ევროპა არც ისე ახლოს ყოფილა

***რომ გვეგონა, 2013 წელს თბილისში მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა გადაწყვეტილი იყო, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე - თურმე ამაზე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციასთან (ფილა) ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება და დიდი სურვილი არსებობს ორივე მხარისგან.***

საქართველოს კანდიდატურას ლიად ემხრობა ფილა-ს პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტი**, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ საკითხი ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია და რუსეთის გარდა, კონკურენტი 8 ქვეყანაა. ჩვენები მიიჩნევენ, რომ საკითხი 80 %-ით ჩვენს სასარგებლოდაა გადაწყვეტილი, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ მხოლოდ აპლიკანტის დონეზე ვართ და თბილისის, როგორც კანდიდატი ქალაქის შესაძლებლობათა შესამოწმებლად, ჩვენს დედაქალაქში ფილა-ს კომისარი, უზბეკი **ახროლჯან რუზიევი** იმყოფება. მან გუშინ ჩემპიონატის სამასპინძლოდ შეგულებული არენა - სპორტის სასახლე დაათვალიერა, სადაც მასპინძლობას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა გეწაძე**, აგრეთვე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები - **დავით ნამგალაური** და **გია გალდავა** უწევდნენ.

ამგვარი რევიზიების მიზანი სრულიად მკაფიოა და ნათელი - საერთაშორისო ფედერაცია ამოწმებს მასპინძელ ქვეყანას, კონკრეტულად კი არენას, რამდენადაა ის მზად ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. სწორედ ამ კომისართა დასკვნაზეა დამოკიდებული, დაგრთავენ თუ არა შეჯიბრების გამართვის უფლებას. იმედია, უზბეკი სტუმარი დადებით დასკვნას წარადგენს, რადგან უკმაყოფილება არც სპორტის სასახლეში გამოუთქვამს და არც - მანამდე. კაცმა რომ თქვას, სერიოზული საბაბი არც ექნებოდა - მოძველებული ინტერიერის მიუხედავად, სპორტის სასახლე მეტ-ნაკლებად მზადაა დიდი ტურნირების სამასპინძლოდ. მით უფრო, მას შემდეგ, რაც გარემონტდა გასახდელები და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა გვერდითა დერეფნებს, რამაც შიდა ფართი გამოყენებადი გახადა. ბოლო წლებში თბილისში სასტუმროების მხრივაც გამოკეთდა ვითარება, თორემ 2009 წელს, როცა ახალგაზრდების ევროპის პირველობას ვუმასპინძლეთ, ეს დიდი პრობლემა იყო. იმდენად დიდი, რომ ერთ-ერთ მთავარ თავსატეხად გვექცა. მაშინ დედაქალაქში არ იყო საკმარისი რაოდენობის დიდი სასტუმროები (პატარ-პატარები ბლომადაა, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის), სადაც გუნდების უმეტესობა ერთად განთავსდებოდა, გამოსავალი კი იმაში მოიძებნა, რომ უცხოელთა ნაწილი ბაზალეთზე დააბინავეს. საბედნიეროდ, ახლა ასეთი მდგომარეობა აღარაა. უკვე შესაძლებელია უცხოურ დელეგაციათა თბილისშივე განთავსება. არადა, სტუმარიც ბევრია მოსალოდნელი, რადგან ერთბაშად სამი ტურნირი ჩატარდება - თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავე ვაჟებისა და ქალებისა ანუ მთლად ყველა ქვეყნიდან თუ არა, უმეტესობიდან სამ-სამი ნაკრები გვეწვევა.

სპორტის სასახლის გარდა, რუზიევმა გუშინ ის სასტუმროებიც მოინახულა, რომლებიც ორგანიზატორებმა უცხოელთა დასაბინავებლად შეიგულეს. სპორტსმენთა დისლოკაციის ძირითადი ბაზა „Holiday-inn" იქნება, დამხმარე კი - „ბაზალეთი", ხოლო ფილა-ს მაღალჩინოსნები და ვიპ-სტუმრები (ალბათ, საჭიროების შემთხვევაში - ფალავანთა ნაწილიც) „მარიოტში" იცხოვრებენ.

რუზიევმა კომენტარი მედიისთვისაც გააკეთა და განაცხადა, რომ საქართველო საჭიდაო ქვეყანაა, რომელიც წლების განმავლობაში მოწინავეთა შორისაა და იმსახურებს ისეთი პრესტიჟული შეჯიბრების მასპინძლობას, როგორიც ევროპის პირველობაა.

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს პირველობა

# რეპორტაჟი მაყურებელს, ლიდერები - ჩემპიონატს

ამ უქმეებზე სპორტკომპლექს „არენაში" ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატი ტარდება. ქომაგთა გასახარად, ტელეკომპანია „აფხაზეთის ხმა" კვირას პირდაპირ რეპორტაჟს გეგმავს ორ ნაწილად - დილით 11.30-13.30 საათზე და საღამოს, ფინალური ბლოკისას, 17-დან 19-მდე. სამწუხაროდ, შაბათს დრო ვერ გამოიძებნა, რადგან სხვა სპორტულ ღონისძიებებთან ერთად საკალათბურთო ჩემპიონატის უპრინციპულესი შეხვედრაცაა პირველ-მეორე ადგილებზე მყოფ „ოლიმპსა" და „არმიას" შორის.

დღეს 55, 66, 84 და მძიმე წონების ფალავნები იჭიდავებენ. წინასწარი მონაცემებით, ჩემპიონატში ყველა ლიდერს უნდა ეჭიდავა, თუმცა რამდენიმე დანაკლისი მაინცაა - ტრავმების გამო არ იასპარეზებენ **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და **შოთა გოგისვანიძე** (120). გეგეშიძეს ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები მსოფლიოს ჩემპიონატამდეც ჰქონდა, თუმცა იქ მაინც იჭიდავა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გოგისვანიძე კი სწორედ იმ ტურნირის შემდეგ დაშავდა - წელი იტკინა და შემოდგომაზე ჩატარებული მთელი მოსამზადებელი ეტაპი, პრაქტიკულად, გაუცდა.

ამ დუეტის გარდა, დღევანდელ ოთხ წონაში მეტ-ნაკლებად ტიტულოვანი ყველა ფალავანი გამოვა: **ლაშა გოგიტაძე**, ახალგაზრდებში ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნიკა ცეცხლაძე** (ორივე - 55), **არჩილ თურმანიძე** (66), ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **რევაზ ნადარეიშვილი** (84), **რევაზ ჭელიძე**, **სერგო გოგისვანიძე** (ორივე - მძიმე წონა). იქნებიან ახალგაზრდულ ნაკრებში წლეულს თავგამოჩენილი სხვა სპორტსმენებიც. ეგ კი არა, სპორტს უბრუნდება მძიმეწონოსანი **გურამ ფერსელიძეც**, რომელიც გულის პრობლემების გამო ერთხანს ვერ ვარჯიშობდა.

თუმცა დღეს ერთგვარი როქიც გაკეთდება - ვერ ვიხილავთ მსოფლიოს ორგზის ვერცხლის მედალოსან **მანუჩარ ცხადაიას** (66), სამაგიეროდ, ამავე წონაში - 66-ში იჭიდავებს ევროპის ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** (60). ხელმძღვანელობის კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ყველა ლიდერს თავის წონაში ეჭიდავა, რაც სრულდება კიდეც, თუმცა ცხადაიასთვის რომ გამონაკლისს დაუშვებდნენ და ამჯერად 74-ში დართავდნენ გამოსვლის ნებას, ეს იმთავითვე ითქვა. მოგვიანებით ასევე გაჩნდა სურვილი, ანალოგიური შეღავათი მიეცათ და ზედა წონაში დაეშვათ ლაშხიც. საქმე ისაა, რომ ორივე ფალავანი საკმაოდ ბევრს იკლებს და ამ მტკივნეული პროცესისთვის ამჯერად არ გაწირეს, სამომავლოდ კი კვლავაც საკუთარ წონებს დაუბრუნდებიან.

წინასწარი მონაცემებით, ლიდერთა დანაკლისი არც ხვალ უნდა იყოს, თუმცა ამ ფრიად მტკივნეულ საკითხზე აწონვებამდე გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. არადა, ზედ აწონვის წინ ფალავანთა გამოკლების საშიშროება უფრო იმ სამ წონაშია, თუმცა ჯერჯერობით გათავისუფლება არავის უთხოვია, ანუ მაყურებელმა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველიაც** (74) უნდა იხილოს, ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანი **რამაზ ნოზაძეც** (96) და სხვა წამყვანი მოჭიდავეებიც. ცხადია, იქნება ცხადაიაც და უნდა იყვნენ ახალგაზრდული ნაკრების წევრებიც, რომლებმაც წლეულს წარმატებით იჭიდავეს საერთაშორისო არენაზე - ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ქემალ ხარაბაძე** (60), ევროპის მესამე პრიზიორები და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96). აგრეთვე სხვებიც, რომლებიც იქნებ წლეულს უმეღლოდ დარჩნენ, მაგრამ ახლა მშვენიერი შანსი ეძლევათ ჯერ ეროვნულ გუნდში, მერე კი ოლიმპიადაზე მოსახვედრად.

შეხვედრები „არენაში" დილით 11.30-დან დაიწყება, ფინალები კი, როგორც უკვე გითხარით, 17 საათიდან.

**ირაკლი თავაძე**

ხელბურთი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დაბრუნება ლიდერობით

სპორტკომპლექს „არენას" დარბაზში გუშინ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ლიდერების — სტუ-ს და „თსუ-თბილისის" შეხვედრა. დაძაბული პაექრობა სამი ბურთის უპირატესობით მოიგეს (32:29) ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელებმა, რომლებიც ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდნენ ეროვნულ ჩემპიონატს. დანარჩენი ორი მატჩი კი ასე დამთავრდა: „თსუ-მერანი" — „ქუთაისი" 29:27, აგრარული უნივერსიტეტი — „კახეთი" 26:28, „თსუ-თბილისი" — სტუ 29:32.

ამდენად, პირველი წრის შემდეგ 10 შესაძლებლიდან 10 ქულით სტუ დაწინაურდა. ლიდერს ორი ქულით ჩამორჩება „თსუ-თბილისი", რომელიც მეორეზეა. გათამაშების ცხრილის მე-3 საფეხურზე 6 ქულით „თსუ-მერანი" დამკვიდრდა. მომდევნო ადგილებზე მოდიან: „ქუთაისი" — 4, „თელავი" — 2, აგრარული უნივერსიტეტი — 0 ქულა. მეორე (თებერვალი-მარტი) და მესამე წრის (აპრილ-მაისი) მატჩები მიმოსვლით გაიმართება, ხოლო მე-4 წრეს (9-13 მაისი) ისევ თბილისი უმასპინძლებს.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭადრაკი

# ხუთი უმაღლესში, ერთიც რეზერვში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირი, რომელშიც უმაღლესი ეშელონის 5 საგზურისათვის 57 ქალ-ვაჟი იბრძოდა. გუშინ ბოლო ტურის პარტიები გაიმართა. გაუწყებთ ლიდერთა ჯგუფის შეხვედრათა შედეგებს: ივერი ჭილლაძე — ზურაბ ჯავახაძე 0,5:0,5, დავით ლომსაძე — ზვიად ფაცია 0,5:0,5, გიგა ყუფარაძე — ივანე სიფრაშვილი 1:0, ირაკლი ბერაძე — თამაზ გუგულაშვილი 1:0, გაიოზ ნიგალიძე — ბაჩანა მორჩიაშვილი 1:0, შოთა აზალაძე — გიორგი სიბაშვილი 0,5:0,5.

ცხრა ტურის შემდეგ 7-7 ქულით, შესაბამისად, პირველი-მეორე ადგილები ზურაბ ჯავახაძემ და გიგა ყუფარაძემ გაიყვეს. 6,5-6,5 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებზე დავით ლომსაძე, ირაკლი ბერაძე, ივერი ჭილლაძე და ზვიად ფაცია გავიდნენ. პირველმა ხუთმა მოჭადრაკემ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, ფაცია კი რეზერვშია.

**ვაჟა დანელია**

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

FM 107.9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

## ქართული სპორტი

## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

● იუბილარი

# კაცი, რომელსაც უკან მოხედვის არ ეშინია



გუშინ **დავით კვაჭაძეს** შევეხმიანეთ, სახელოვან ქართველ მოკრივეს, ევროპისა (1977 წ.) და სამგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონს (1976, 1977, 1979 წ.წ.). გალერეაში ბრძანდებოდა აბაშიძის ქუჩაზე, ახალ ფოტოგამოფენას ამზადებს 60 წლის იუბილეს შესახვედრად.

**— თავს როგორ გრძნობთ, ბატონო დავით-მეთქი, ვკითხე.**

— ვეტერანის კვალობაზე არა მიშავს, ვცდილობ წლებს არ დავნებდე.

**— ახლა რას საქმიანობთ?**

— ჯერჯერობით ფოტოგამოფენით ვარ დაკავებული.

**— კრივს საერთოდ ჩამოშორდით?**

— დროებით, ნაახალწლევს მწვრთნელის კარიერას მინდა დავუბრუნდე.

**— ძველი დროიდან რას გაიხსენებთ — როგორ დაიწყო თქვენი გზა კრივში?**

— ბავშვობისას ფეხბურთით და ტანვარჯიშით ვიყავი გატაცებული. ერთხელ ამერიკელი პროფესიონალი მოკრივის - ჯო ლუისის ავტობიოგრაფიული წიგნი ჩამივარდა ხელთ. ღარიბი ოჯახიდან ყოფილა. მეგობარმა წაიყვანა დარბაზში - ჯანიანი ბიჭი ხარ და სპარინგპარტნიორობას გამიწევო. მალე ისე გაიწაფა, დიდი და სახელოვანი მოკრივე გახდა. ლუისის ცხოვრების ისტორიამ, ალბათ, იმიტომ დამაინტერესა, რომ საოცრად ჰგავდა ჩემსას: მეც ღარიბი ოჯახიდან ვიყავი. ორთაჭალაში, მკერავთა უბნის ერთ პატარა ოთახში მარტოხელა დედა სამ ძმას გვზრდიდა. მეზობლები მოგვიკითხავდნენ ხოლმე. მთელი ეზო ერთი ოჯახივით ცხოვრობდა. ამიტომაც უწინდელი მეზობლები დღემდე ახლობლებივით მიყვარს და არ ვივიწყებ მათ. ჩემმა ძმამ იმ უბნიდან ბევრი მოზარდი მიიყვანა კრივზე და გზასაცდენილი ყმაწვილებიც სწორ ბილიკზე დააყენა. სხვათა შორის, მეც ჩემმა ძმამ გამიკაფა გზა დიდი რინგისკენ. რაც შეეხება ლუისს, მქონდა ბედნიერება, 1976 წელს ამერიკაში მასპინძელთა და საბჭოთა მძიმეწონოსანთა მატჩის შემდეგ გავცნობოდი და მასთან სურათი გადამეღო.

**— ეს ის წელია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი პირველად რომ მოიგეთ?**

— დიახ, მაშინ იოლი არ იყო საკავშირო პირველობაზე მოხვედრა. მთელი რიგი ბარიერები უნდა გადაგელახა. 1976 წელს ჯერ „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობაზე მივაღწიე წარმატებას, მერე სვერდლოვსკში საბჭოთა კავშირის სტუდენტთა თამაშებში გავიმარჯვე. იქვე გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიც. განსაკუთრებით მძიმე ორთაბრძოლა ნახევარფინალში გადავიტანე: უძლიერესი მეტოქე მყავდა — საბჭოეთის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული და მსოფლიოს პირველობის ფინალისტი ოლეგ კოროტაევი. იმ პაექრობის მოგებისთვის საუკეთესო ტექნიკური მოკრივის პრიზით დამაჯილდოვეს. ფინალში შედარებით იოლად ვძლიე ეგოროვს.

**- ევროპის 1977 წლის ჩემპიონატიდან განსაკუთრებით რა დაგამახსოვრდათ?**

- მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებზე ყოველთვის დიდი წნეხის ქვეშ ვიყავით სპორტსმენები, რადგან ხელის ერთი მოცარვაც საკმარისი იყო საკავშირო ნაკრების შემადგენლობიდან ამოსაგდებად. ასე მოხდა მონრეალის ოლიმპიადის წინ, როცა კუბის საერთაშორისო ტურნირზე მსაჯებმა მასპინძელ მოკრივესთან წამაგებინეს. ამ ფაქტს ადგილობრივი პრესაც ფართოდ გამოეხმაურა, თუმცა ამით მე რა ხეირი?.. მონრეალში კლიმანოვი წაიყვანეს, რომელსაც საკონტროლო შეხვედრა მოვუგე. მართალია, წნეხი დიდი იყო, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, საკუთარი სტილისთვის არ მეღალატა. ალბათ, ამიტომაც 1977 წელს ფრუნზეში ზედიზედ მეორედ გავიმარჯვე საკავშირო პირველობაზე და გერმანიაში ევროპის ჩემპიონატზეც ჩემი გამგზავრება სათუო არ გამხდარა. ჰალეში ოთხ მეტოქეს ვაჯობე. ფინალში სწორედ მასპინძელი ქალაქის მკვიდრ ოტომარ ზაქსეს დავუპირისპირდი. გამოცდილი სპორტსმენი იყო – მსოფლიოს და ევროპის პირველობების პრიზიორი. დარბაზში მრავლად იყვნენ თანამემამულის საქომაგოდ მოსული ალემანები, თუმცა, გულშემატკივრები არც მე მაკლდა – საბჭოთა ჯარისკაცები, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გერმანიაში იხდიდნენ. მათ შორის ერთი ხარფუხელი ბიჭიც ერია, რომლის შეძახილებიც სხვების ხმებს ფარავდა. უზომოდ ბედნიერი ვიყავი ფინალური ორთაბრძოლის მოგებითა და ევროპის ჩემპიონობით. დღემდე არ მტოვებს შეგრძნება, რომ მაშინ თანამემამულეებს დიდი სიხარული ვაჩუქე და ამით ამაყი ვარ.

**- რამდენიმე დღეში 2011 წელს გავაცილებთ. რას ისურვებდით?**

- მთელ საქართველოს ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. ბედნიერებისა და სიხარულის მომტანი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისთვის 2012. ქართველ სპორტსმენებს საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას, ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურების მრავლად მოპოვებას და ბრიტანეთის დედაქალაქიდან უხვი ნადავლით დაბრუნებას ვუსურვებ.



**- ხვალ 60 წელი გისრულდებათ, გილოცავთ...**

- დიდი მადლობა. ვფიქრობ, ცხოვრების გზა ცუდად არ გამივლია. ყოველ შემთხვევაში, ერთის თქმა თამამად შემიძლია – უკან მოხედვის არ მეშინია.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

● კვიმატი ობიექტივი



● ოლიმპიური ფილატელია




● თარიღი. 24-30 დეკემბერი

**24. 1931 წ.** დაიბადა **ჯონ ჩარლზი** — ფეხბურთი (იტალია).

**24. 1868 წ.** დაიბადა **ემანუილ ლასკერი** — ჭადრაკი. გარდაიცვალა 1941 წელს.

**25. 1944 წ.** დაიბადა **ჟაირზინიო** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**26. 1936 წ.** დაიბადა **ევგენი გომელსკი** — კალათბურთი (მწვრთნელი, რუსეთი).

**27. 1949 წ.** დაიბადა **კლაუს ფიშერი** — ფეხბურთი (გერმანია).

**28. 2009 წ.** მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა არგენტინელი **ლეო მესი.**

**29. 1989 წ.** სპორტის სათამაშო სახეობებში ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ ჰოკეისტი **უეინ გრეცკი** (კანადა) და ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა** (ჩეხოსლოვაკია).

**30. 1937 წ.** დაიბადა **გორდონ ბენქსი** — ფეხბურთი (ინგლისი).

**30. 1946 წ.** დაიბადა **ბერტი ფოგტსი** — ფეხბურთელი, მწვრთნელი (გერმანია).

**შენიშვნა:** ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".

● სპორტის ნაკლებად ცნობილი სახეობები

# კანოე პოლო

**კანოე პოლო** გუნდური თამაშია წყალზე ბურთითა და კაიაკებით (კაიაკი ბაიდარის მსგავსი ტყავგადაკრული მსუბუქი და ვიწრო ნავია. ბაიდარა ამ ტიპის ნავებს რუსებმა უწოდეს). თამაშის მიზანია მეტოქის კარში გოლის გატანა. შეიძლება ბურთის ტყორცნა ხელით ან დარტყმა ნიჩბით. თამაში იმართება აუზში ან წყალსაცავში, რომლის სიგრძეა 40 მ, სიგანე — 25 მ. წყლის სიღრმე 90 სმ მაინც უნდა იყოს. კარი წარმოადგენს წყლის ზედაპირიდან 2 მეტრის სიმაღლეზე ვერტიკალურად დაკიდებულ ჩარჩოს, რომლის სიმაღლეა 1 მ, სიგანე კი — 1,5 მ. კარები მყარადაა დამაგრებული და ბურთის შეხებისას არ მოძრაობს. ბურთი წყალბურთის ბურთის მსგავსია. მისი გარშემოწერილობაა 68,5-71 სმ, წონა — 400-500 გრ. კაიაკი არ უნდა იყოს 3 მეტრზე გრძელი და 2 მეტრზე მოკლე, 50 სმზე ვიწრო და 60 სმ-ზე განიერი, წონა არ უნდა აღემატებოდეს 7 კგ-ს. ნიჩბის მაქსიმალური სიგრძეა 220 სმ, მოსასმელი ნაწილის სიგრძე — 50 სმ, სიგანე — 25 სმ. სპორტსმენები ვალდებულნი არიან სარბიელზე მუზარადით და მაშველი ჟილეტებით გამოვიდნენ. გუნდში 5 მოთამაშეა (მეკარის ჩათვლით). გუნდის წევრებს ერთი ფერის ბაიდარები და მუზარადები უნდა ჰქონდეთ. თამაში შედგება ორი პერიოდისგან, თითოეულის ხანგრძლივობაა 10-10 წუთი, შესვენება — 3 წუთი. იმარჯვებს გუნდი, რომელიც მეტ გოლს გაიტანს. საყაიმო შემთხვევაში ინიშნება ორი სამწუთიანი ტაიმი ერთწუთიანი შესვენებით. თამაშს სჯის ორი მსაჯი, რომლებიც ასევე კაიაკებში სხედან. თამაშის დროს მეტოქის ან მისი ნავის შეხება ნიჩბით, მისი ბლოკირება და ნიჩბით ბურთის დარტყმა, თუკი 1 მეტრის მანძილზე მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენელი იმყოფება, აკრძალულია. წესის დარღვევისას, მოთამაშე, რომელიც ყვითელ ბარათს მიიღებს, 2 წუთით ტოვებს თამაშს, წითელი ბარათის მიღების შემთხვევაში კი — ბრძოლას ბოლომდე ეთიშება. კარის სიახლოვეს უხეში თამაშისთვის დაწესებულია პენალტით, რომელსაც 6 მეტრიდან ურტყამენ.



● პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** სპორტული ველოსიპედი დაპატენტდა 1889 წელს. მუხრუჭი დამონტაჟებული იყო უკანა საბურავზე.

■ ■ ■

**პირველმა** ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებიდან „ოქროს ბურთი" მიიღო **იოზეფ მასოპუსტმა** 1962 წლის 23 დეკემბერს.

■ ■ ■

**პირველად** ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში მოყვარულების თანაბრად პროფესიონალ სპორტსმენებსაც მისცეს თამაშებში მონაწილეობის უფლება. ეს მოხდა 1994 წელს ლილეჰამერში.

● ვიქტორინა

**1. დიდი ბრიტანეთის ფორმულა 1-ის სარბოლო გუნდი „მაკლარენი" დააარსა ამ გვარის:**

ა — ინგლისელმა ბიზნესმენმა
ბ — ფრანგმა კონსტრუქტორმა
გ — ახალზელანდიელმა ავტომრბოლმა

**2. რომელი ქვეყნიდანაა ცნობილი ვეტერანი ჩოგბურთელი შტეფან ედბერგი?**

ა — საფრანგეთიდან
ბ — შვედეთიდან
გ — გერმანიიდან

**3. ვინ დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად 1992 წელს?**

ა — ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)
ბ — როზერტო ბაჯო (იტალია)
გ — მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია)

**4. რომელი სტაიერია ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი?**

ა — პაავო ნურმი (ფინეთი)
ბ — ემილ ზატოპეკი (ჩეხოსლოვაკია)
გ — ვლადიმერ კუცი (სსრკ, უკრაინა)

**5. კაცთა შორის ჭადრაკის მსოფლიოს მესამე ჩემპიონი იყო...**

ა — კაპაბლანკა (კუბა)
ბ — ლასკერი (გერმანია)
გ — ეივე (ჰოლანდია)

პასუხები: 1 — გ, 2 — ბ, 3 — გ, 4 — ბ, 5 — ა.

● ეს საინტერესოა

# შავო ფერო, გამეცალე...

მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ თურმე ფეხბურთში მოწინააღმდეგესთან გამკლავება (ე.ი. ბურთის ართმევა-მოგერიება) დაცვაში მყოფთათვის გაცილებით ძნელია, თუ შემტევებს აცვიათ... შავი ფერის ბუცები! უმჯობესია ყოველგვარი ზოლების გარეშე. კაცს მაშინვე გაახსენდება, რომ უკეთ დანახვა-რეაგირებისათვის გზების სავალი ნაწილი თეთრ-ყვითლადაა დახაზული, მძღოლებიც ამავე ფერის ავტომობილებზე უკეთ რეაგირებენ, ისევე სხვათა შორის როგორც მეკარეები ღია შეფერილობის ბურთებზე (თუ მინდორი თოვლიანი არაა, რასაკვირველია).



ეტყობა, ადამიანის მზერა თვალი პირველ რიგში თეთრ და ყვითელ ფერს აფიქსირებს და თუ ფინტების ჩამტარებლებს ღია ფერის ბუცები აცვიათ, მათთან მოპაექრეებს კოორდინირებაც უფრო უადვილდებათ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ფეხბურთელს ბავშვობიდან ასწავლიან, რომ პირველ რიგში ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბურთი და არა მოთამაშე.

უეჭველია, მოედანზე გადამწყვეტი ფაქტორი ნიჭიერებაზე აღმოცენებული ოსტატობაა, მაგრამ ამ რჩევის გათვალისწინებაც ურიგო არ იქნება!

**ალექსანდრე ტოგონიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● NBA

ლეგიონერები

# ზაზამ გამოფენა რვიანებით დახურა



**საქართველოს ნაკრებისა და „ატლანტა ჰოქსის“ ცენტრმა, ზაზა ფაჩულიამ საგამოფენო მატჩები დაასრულა და NBA-ს ახალ სეზონს 27 დეკემბერს დაიწყებს. პირველი ოფიციალური შეხვედრისთვის „ატლანტა“ ყოფილი არმიელის სანდიატა გეინსის „ნიუ ჯერსის“ ეწვევა.**

## ქართველი და 8:0

ლოკაუტის გამო საკალათბურთო ასოციაციაში სეზონიც შეიკვეცა და საკონტროლო (იქაურად საგამოფენო) მატჩების რაოდენობაც შემცირდა. ამიტომ „ჰოქსმა“ მხოლოდ ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა - „შარლოტს“ ჯერ სტუმრად ეთამაშა, ხოლო 23 დეკემბერს გამთენიისას (ქართული დროით) ამავე გუნდს ატლანტაში უმასპინძლა. პირველი შეხვედრა ჯორჯიელებმა 2 ქულის სხვაობით რომ წააგეს, უკვე მოგახსენეთ, საპასუხო დაპირისპირებაში კი „ქორებმა“ ქართველი ცენტრის დახმარებით 92:75 გაიმარჯვეს.

ჯორჯიელთა 27-ე ნომრის, ზაზა ფაჩულიას გარჯაზე გადამეტებულს რომ არაფერს ვამბობთ, ამის ნათელსაყოფად ქრონოლოგიის გადახედვაც საკმარისია: მესამე პერიოდის ბოლოს მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ფაჩულია მოედანზე დააბრუნა. ქართველიც შეტევაში სრული ძალით ამოქმედდა: ახალწვეულ **ვლადიმირ რადმანოვიჩს** შედეგიანი გადაცემით სამქულიანი ჩააგდებინა (65:57), რასაც ორწუთიან მონაკვეთში 5 მოხსნა, 6 ქულა მიამატა და „ატლანტას“ 14-ქულიანი უპირატესობა დაუბევა - 71:57. როგორც დააკვირდით დროის ამ მონაკვეთში შარლოტელებს ქულა არ ჩაუგდიათ. მათ მეოთხე რაუნდში ვერ მოახერხეს მესამე პერიოდში დაკარგულის ანაზღაურება და საბოლოოდ 75:92 დამარცხდნენ.

## დაცვაშიც...

ჯორჯიულ გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში“ მატჩის განხილვის პარალელურად თითოეული კალათბურთელის შეფასება დაიწერა. აი, რას ამბობენ ამერიკელი ჟურნალისტები 27 წლის ქართველზე:

„დაცვაშიც კარგი იყო. იგი ფარქვეშ პოზიციას სწორად არჩევდა, რის ხარჯზეც მეტოქე წინახაზელებს აშკარად აჯობა (უფრო მაღალი ნახტომი რომ ჰქონდეს და გუნდს დაფარებებითაც ეხმარებოდეს, იდეალური იქნებოდა). ზაზა შეტევაშიც თამამად ხსნიდა და ბურთს კალათში თუ არ აბრუნებდა, მეტოქეებს ჯარიმის მიღებას აიძულებდა. ფაჩულიას მართლაც კარგი მოსამზადებელი ეტაპი გამოუვიდა.“

მან გუშინდელ საგამოფენო მატჩში 8-8 ქულა მოხსნა მიითვალა, რისთვისაც 13 წუთი ეყო. „შარლოტთან“ შეხვედრის გმირი **ჯოშ სმიტი** იყო, რომელმაც 23 წუთში 21 ქულა ჩააგდო.

## ორი ჩხუბის გარანტია

NBA-ს სეზონი ოფიციალურად 25 დეკემბერს იხსნება, თუმცა როგორც გითხარით, „ატლანტა“ პირველ ოფიციალურ მატჩს 27-ში ჩაატარებს. მანამდე ოკეანისგაღმელი ანალიტიკოსები NBA-ს გუნდების სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობენ. გამოცემა „ბლიჩერეპორტმა“ ვრცელი სტატია მიუძღვნა „ატლანტა ჰოქსს“. ავტორი, **რაჯ პრაშადი** ათ კითხვას სვამს, რომელთაგან ერთ-ერთი ფაჩულიას ეხება: „რომელი კალათბურთელი მოიხვეჭს სახელს?“

პასუხი: „ჯორჯიულ კლუბში დაბრუნდა ვეტერანი ზაზა ფაჩულია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ატლანტელი ფანების ფავორიტი მომავალ სეზონში სათადარიგოთა შორის სათამაშო დროს უხვად მიიღებს. იგი კვლავაც სოლიდური უნდა იყოს დაცვაში და სახიფათო - დამაგვირგვინებელ ფაზაში. გვაქვს იმის გარანტიაც, რომ ორ ჩხუბში მაინც მიიღებს მონაწილეობას.“

### ატლანტა-შარლოტი 92:75

ზაზა ფაჩულია: 12:55 წუთი, 8 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 8 მოხსნა, 1 პასი, 2 ფოლი, 1 შეცდომა.

### ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 05:03 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 04:57 | ფოლი: 1 |
| 04:20 | ფოლი: 2 |
| 04:20 | შეცდომა: 1 |
| 03:16 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:05 | ორქულიანი: 2ქ (23:26) |
| 0:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| **II პერიოდი** | |
| 10:44 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 10:02 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 04:11 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 02:19 | პასი: 1 (რადმანოვიჩი 3ქ, 65:57) |
| 01:47 | საჯარიმოები: 2/2 (4ქ, 67:57) |
| 01:31 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 01:18 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 |
| 01:17 | ორქულიანი: 6ქ (69:57) |
| 00:48 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 00:34 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 00:34 | ორქულიანი: 8ქ (71:57) |
| **IV პერიოდი** | |
| 10:28 | მოხსნა: შეტ-4, დაც-4 |
| 10:17 | ბენსონმა ზაზა შეცვალა |

● აქცია

# ზაზა და ქორი საჩუქრებით

„შარლოტთან“ მატჩამდე „ჰოქსის“ კალათბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს საქველმოქმედო აქციაში. ქალაქ ატლანტას ბავშვთა საავადმყოფოს ხუთი მოთამაშე ეწვია: **ელ ჰორფორდი, ზაზა ფაჩულია, ჯერი სტეკჰაუსი, ჯეისონ კოლინზი** და **მაგნუმ როლე**. მათ პატარებს საჩუქრები ჩამოურიგეს, სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს, ბოლოს კი მათთან ერთად ითამაშეს.

ფოტოობიექტივმა ზაზა ფაჩულია და „ატლანტას“ თილისმა ქორი (სახელად ლარი) სწორედ იმ მომენტში დააფიქსირა, ბავშვებს საჩუქრებს რომ ურიგებდნენ.




ბელგია



## თორნიკე შენგელია
# რეკორდი და ტრავმა ერთ მატჩში

ევროლიგის მე-9 ტურის მატჩში ბელგრადის „პარტიზანთან“ საქართველოს ნაკრების ფორვარდმა **თორნიკე შენგელიამ** 17 ქულა ჩააგდო, რაც მისი პირადი საევროლიგო რეკორდი იყო. სამწუხაროდ, სწორედ ამ მატჩში მან ტერფის ძვალი დაიზიანა და მკურნალობისთვის მინიმუმ ორი თვე დასჭირდება. კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა ინტერვიუ შენგელიასთან, საიდანაც რამდენიმე საკითხი ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

*- ფეხი 2 კვირის წინ, „პარტიზანთან“ ვიტკინე და როგორც აღმოჩნდა, ტერფის ძვალი მაქვს დაზიანებული. ევროლიგაში „არმანისთან“ და ბელგიის ჩემპიონატში "ანტვერპენთან" გაბზარული ძვლით ვითამაშე. ფეხი კი მაწუხებდა, ძალას ვერ ვატანდი, მაგრამ არ მეგონა, ტრავმა ასეთი სერიოზული თუ აღმოჩნდებოდა. კლუბის ექიმებმა ფეხზე რენტგენი გადამიღეს და 2 თვე ვარჯიში ამიკრძალეს. შესაძლოა, ძვალი მოსალოდნელზე ადრე აღდგეს. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კვლავ ჩავიტარებ გამოკვლევას... შესაძლოა, ტრავმის მიზეზი გადაღლილობაა. მე ხომ რამდენიმე წელია, ფაქტობრივად შესვენების გარეშე ვთამაშობ. ექიმებმა მითხრეს, ეტყობა დატვირთვას ვერ გაუძლო და ამიტომ გაგებზარა ძვალიო.*

გულშემატკივარს ისიც მოეხსენება, რომ მიმდინარეობს გამოკითხვა ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა კალათბურთელის გამოსავლენად. კანდიდატთა ათეულში თორნიკე შენგელიაცაა.

*- მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ხმა ერთხელ მაინც მომცა. ჩემთვის ამ გამოკითხვაში მოხვედრა დიდი პატივია. ძალიან მიხარია, ისეთი დონის კალათბურთელების გვერდით რომ დამაყენეს. ჩემი აზრით, ყველა ღირსეული კანდიდატია. თითოეულს ვიცნობ, უმეტესობასთან პირადად მითამაშია. 3 მათგანი წლეულს ამერიკის ნაციონალურ საკალათბურთო ლიგაში გადავიდა - ენეს კანტერი, ნიკოლა მიროტიჩი, იონას ვალანჩიუნასი.*

20 წლის ქართველი ევროლიგაზე ჩატარებულ მატჩებს მოკლედ იხსენებს:

*- „რეალთან“ სადებიუტო შეხვედრას გამოვარჩევ. ასევე, ყოველთვის მემახსოვრება „პარტიზანთან“ ბელგიაში და „ეფესთან“ თურქეთში მოგებული თამაშები. პირველში 17 ქულა დავაგროვე, ხოლო სტამბოლში გამარჯვება სენსაციის ტოლფასი იყო.*

საინტერესოა თორნიკეს მოსაზრება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეების შესახებ.

*- ჯგუფის ფავორიტებად საქართველოსა და ბოსნიას მივიჩნევ, თუმცა არც ლატვია უნდა დავივიწყოთ. ბალტიისპირელებთან გასულ აგვისტოში ამხანაგური მატჩები ვითამაშეთ, რომლებშიც საკმაოდ გაგვიჭირდა. მიმაჩნია, ვინც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი მეტოქე, წარმატების მისაღწევად ყველასთან მაქსიმალური მობილიზება დაგვჭირდებოდა. ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა რეალურად შეგვიძლია, რისთვისაც არაფერი უნდა დავიშუროთ.*

● საქართველოს ჩემპიონატი

### 23 დეკემბერი, რუსთავი

**რუსთავი-შსს 63:117**

18:33, 9:24, 19:26, 17:34

რუსთავი: მაჭავარიანი (4ქ, 4პ), გ. არაბული (8ქ, 5მ), არწივიძე (10ქ, 3პ, 3ჩ), ბააკაშვილი (2ქ), ჩაჩანიძე (7ქ), ხმელიძე (12ქ, 5მ), კოპალიანი (10ქ, 7მ), გუგავა (10ქ).

შსს: მაკქემონი (8ქ), ლაფანაშვილი (9ქ), ნიკოლაძე, ლონდარიძე (5ქ, 7მ), ლომოური (5ქ), თენიეშვილი (2ქ), ტუჯანი (6ქ, 9მ, 2დ), იმნაძე (6ქ, 11მ, 3ჩ), ბლერი (32ქ, 7მ, 8პ, 7ჩ), კრეპსი (23ქ), ბოქოლიშვილი (8ქ), სმიტი (13ქ, 6მ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ს. საინერსი.

კომისარი: თ. ქიქოძე.

### 23 დეკემბერი, ბათუმი

**ბათუმი-ქუთაისი 80:107**

14:32, 15:20, 29:26, 22:29

ბათუმი: ჩორგოლაშვილი, ვ. მაისურაძე (9ქ), რამიშვილი (10ქ, 4ჩ), მიქელაძე (17ქ, 9პ), ელიაშვილი, ემირიძე, კეშელავა (26ქ, 8მ), ნინუა (3პ), კოკობინაძე, ელიაძე (18ქ, 10მ).

ქუთაისი: ფაშაევი (6პ), ბაბუნაშვილი (17ქ, 5მ, 3პ, 4ჩ), დიდია (21ქ, 8მ, 8პ), ცეკვავა (15ქ, 3პ), ტუკვაძე, დ. ბარბაქაძე (4ქ, 5მ), გ. ბარბაქაძე (16ქ, 6მ), კოლუაშვილი (2ქ), ქორიძე (4ქ), მათიაშვილი (28ქ, 20მ, 6პ, 4დ).

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, გ. მიქელაძე.

კომისარი: ა. კაზანჯიანი.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 9 | 9 | 0 | 832/566 | 18 |
| 2. ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 879/758 | 18 |
| 3. ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 737/652 | 17 |
| 4. შსს | 10 | 6 | 4 | 931/836 | 16 |
| 5. სოხუმი | 9 | 6 | 3 | 758/692 | 15 |
| 6. თსუ | 9 | 4 | 5 | 717/743 | 13 |
| 7. სამედიცინო | 10 | 3 | 7 | 843/892 | 13 |
| 8. სტუ | 9 | 4 | 5 | 746/798 | 13 |
| 9. დინამო | 9 | 3 | 6 | 738/819 | 12 |
| 10. ბათუმი | 10 | 1 | 9 | 736/905 | 11 |
| 11. რუსთავი | 10 | 0 | 10 | 705/961 | 10 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# გორგოძეს და კომპანიას რევანში სწყურიათ


Calendrier international
Et si on jouait l'été ?
Racing-Metro
Quesada y croit
MIDI OLYMPIQUE
Le journal du rugby Week-end
Revanchards !
SIX MOIS APRÈS LA FINALE DU TOP 14 REMPORTÉE PAR TOULOUSE CONTRE MONTPELLIER, LES DEUX CLUBS SE RETROUVENT POUR LA PREMIÈRE FOIS CE VENDREDI. LA PRESSION PÈSE SUR LES HÉRAULTAIS...
Brive - Clermont
Mignardi au cœur du derby
Pro D2
Grenoble, Dax et leurs poursuivants
Entretien
Blin, la voix de Provale
Portrait
BARDY, UNE RÉVÉLATION
Pays de Galles
Avec ou sans Byrne, Hook et Phillips ?
1,50 €

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი ელიტურ, პირველ დივიზიონში, ევროთასების გათამაშებით გამწვეული ორკვირიანი შესვენების შემდეგ, პირველი წრის ბოლო, მე-13 ტურის შეხვედრებით განახლდება.

იქამდე კი ქართველ მორაგბეთა გუნდებმა მეტ-ნაკლები წარმატებით იასპარეზეს. საპლეიოფო ექვსეულში დღესდღეობით ოთხი „ქართული გუნდია" - „კლერმონი", „ტულონი", „კასტრი" და „აჟენი". ბოლო ტურებში საგრძნობლად გამოასწორა მდგომარეობა და ლიდერებს წამოეწია „მონპელიე", იქვე ახლოსაა „ბრივიც", „ლიონს" კი, როგორც ჩანს, გათამაშების ბოლომდე დივიზიონში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა.

მე-13 ტურის წინ ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს" აქვს, რომელიც 40 ქულით მე-2 ადგილზეა. „ვულკანები" სტუმრად ეთამაშებიან **ვასილ კაკოვინის, ირაკლი ნატრიაშვილისა** და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივს".

კლერმონელები, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმების გამო საკმაოდ ბევრი წამყვანი მოთამაშე აკლიათ, მაინც ფავორიტებად მიიჩნევიან, რადგან მისი შეტევის ხაზი საფრანგეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრია. „ვულკანების" ლაზარეთი კი მაინც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. „ბრივის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებენ: დავით ზირაქაშვილი, **კინი მურიმურივალუ, ლუდოვიკ რადოსლავოვიჩი, სიტივენი სივივატუ, ჯეისონ უაიტი, გონსალო კანალე, ტომას დომინგო** და **ენტონი ფლოში.**

„ბრივი" წლეულს დაცვაში შესანიშნავად თამაშობს, ამ გუნდმა 12 მატჩში სულ რვა ლელო გაუშვა, რაც ბრწყინვალე შედეგია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ „კლერმონი" ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გუნდია, მის ანგარიშზე მატჩში საშუალოდ ორი ლელოა. ასე რომ, სავარაუდოდ, ბრიველები საკუთარ ჩათვლის მოედანს მშრალად ვერ შეინახავენ.

ზირაქაშვილის შესახებ უკვე ვთქვით, ის ტრავმირებულია და ვერ ითამაშებს, კაკოვინი და ნატრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში არიან, ხინჩაგიშვილი კი „ბრივის" მთავარმა მწვრთნელმა **უგო მოლამ** სათადარიგოთა შორის გაამწესა.

„კლერმონს" ხუთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი". ჩვენებურთა ეს გუნდი, რომელსაც სამ წელნადზე მეტია ჩემპიონობის მოპოვების პრეტენზია აქვს, ამჯერად ერთ-ერთ აუტსაიდერს, **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონს" შინ შეხვდება.

ლიონელებს დაცვაში დივიზიონში მეორე მაჩვენებელი აქვს, თუმცა „ტულონი", რაც ამ გუნდს სათავეში **ბერნარ ლაპორტი** ჩაუდგა, დალაგებულ, საკმაოდ აგრესიულ და შთამბეჭდავ თამაშს აჩვენებს. ამდენად, საკუთარ მოედანზე მეტოქის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეს. მით უფრო, რომ ტრავმის მოშუშების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა სამხრეთაფრიკელი მესამეხაზელი **ჯო ფან ნიკერკი.** ასევე ტრავმა მოიშუშა და დებიუტი ექნება „ტულონის" შემადგენლობაში ინგლისის ნაკრების მეორეხაზელ **საიმონ შოუს.**

ქუბრიაშვილი და კავთიძე სათადარიგოთა შორის არიან, მიქაუტაძე, ჩილაჩავა და რატიანიძე განაცხადში არ არიან.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს" 33 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა. ჩვენებურის გუნდს საკმაოდ მძიმე მატჩი ელის სტუმრად ბასკურ „ბაიონთან", რომელიც პირველ შეხვედრას გამართავს ახალი მწვრთნელის **ჟან-პიერ ელისალდის** ხელმძღვანელობით.

კასტრელები ბოლო ორი სეზონია შესანიშნავად ასპარეზობენ და ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვიან. „ბაიონს" კი ჯერჯერობით სრულიად განსხვავებული მიზანი აქვს მისაღწევი. მას შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი მაღალი დონის მორაგბე ჰყავს, **სედრიკ ჰეიმანი, ჯო როკოთოკო, სიონე ლაუკი, ნეემია ტიალატა** და სხვა. თუ ელისალდმა თამაშის დალაგება შეძლო, გამორიცხული არ არის, ეს გუნდი პლეი ოფშიც ვიხილოთ.

ფეიქრიშვილი ამ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

„კასტრს" ერთი ქულით ჩამორჩება და მე-5 ადგილზეა **ბექა შეყლაშვილის** „აჟენი", რომელიც სტუმრად ეთამაშება უშუალო კონკურენტ პარიზულ „მეტრო რასინგს". აჟენელები წლეულს ყველასთვის მოულოდნელად კარგად ასპარეზობენ და ლიდერთა მარაქაში გაერივნენ.

„მეტრო რასინგმა" კი, სავარაუდოდ, სტარტზე წარმოქმნილი პრობლემები დაძლია და ნელ-ნელა ძალას იკრებს. ამ გუნდმა ერთი კვირის წინათ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა „ჰეინეკენის თასის" გათამაშებაში სტუმრად „ლონდონ აირიშთან", თუმცა როგორც პარიზელთა მთავარმა მწვრთნელმა **პიერ ბერბიზიემ** განაცხადა, გუნდისთვის პრიორიტეტი საფრანგეთის ჩემპიონატია.

**მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილის, გიორგი ჟღენტისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიე", რომელიც 27 ქულით მე-8 ადგილზეა, შინ მიიღებს ქვეყნის ჩემპიონსა და წლევანდელი გათამაშების ლიდერ „ტულუზს".

სატურნირო მნიშვნელობის გარდა ჩვენებურთა გუნდისთვის ამ შეხვედრას სხვა პრინციპული დანიშნულებაც აქვს. მონპელიელებმა შარშან ფინალში სწორედ „ტულუზთან" წააგეს და ახლა რევანში აღება სწყურიათ.

მასპინძლები მეტოქეს თითქმის საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდებიან. არ ითამაშებს მხოლოდ კაპიტანი **ფულენსე უოდრაოგო,** რომელსაც ისევ დაშავებული ფეხი აწუხებს. გორგოძე ძირითად შემადგენლობაშია, ჟღენტი და ნარიაშვილი კი „მონპელიეს" მთავარმა მწვრთნელმა **ფაბიენ გალტიემ** სათადარიგოთა შორის გაამწესა, შველიძე განაცხადში არ არის.

**I დივიზიონი**

**XIII ტური**

**ბრივი-კლერმონი, ბაიონი-კასტრი, სტად ფრანსე-ბიარიცი, პერპინიანი-ბორდო, მეტრო რასინგი-აჟენი, ტულონი-ლიონი, მონპელიე-ტულუზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 43 ქულა, 2. კლერმონი - 40, 3. ტულონი - 35, 4. კასტრი - 33, 5. აჟენი - 32, 6. სტად ფრანსე - 30, 7. მეტრო რასინგი - 30, 8. მონპელიე - 27, 9. ბრივი - 22, 10. ბორდო - 21, 11. ბაიონი - 20, 12. პერპინიანი - 20, 13. ლიონი - 17, 14. ბიარიცი - 15.**


გურამ კავთიძე (შუაში)

მსოფლიოს თასის ექო



# პომები თავისუფალ ფრენას აპირებენ

ექვსი ერის გათამაშების დაწყებამდე ერთ თვეზე ოდნავ მეტი დარჩა. ინგლისის ნაკრების მწვრთნელთა ახალმა შტაბმა ეროვნულ გუნდში გამოსაძახებელთა სავარაუდო სია შეადგინა, რომელიც ჯერჯერობით არ გამოქვეყნებულა.

შეგახსენებთ, რომ „პომების" დროებითი მთავარი მწვრთნელი **სტიუარტ ლანკასტერია,** რომელიც მანამდე ინგლისის A ნაკრების თავკაცი იყო. მწვრთნელთა ძველი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ერთი **გრემ როუნტრი** დარჩა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკრებში გამოძახებულთა შორის ბევრი ახალი მორაგბეა, მით უფრო, რომ ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი თქვეს ჯონი ვილკინსონმა, სტივ ტომსონმა და საიმონ შოუმ.

*„ჩვენ ვისაუბრეთ გუნდის გაფართოებული შემადგენლობის შესახებ. ქვაზე სამუდამოდ ამოკვეთილი არავის გვარი არ არის. კატეგორიულად არაფერი გადაგვიწყვეტია. ნაკრებში მოხვედრის შანსი ყველას აქვს.*

*მწვრთნელთა უწინდელ შტაბს ხშირად გვაკრიტიკებდნენ, რომ ვერ ვახერხებდით მორაგბეთა პოტენციალის გამომჟღავნებას, ანუ მოთამაშეებს თავისუფლებას ვუზღუდავდით, არ ვაძლევდით იმპროვიზაციის საშუალებას.*

*ახლა ასე აღარ იქნება. ჩვენ გვინდა ყველამ ისე ითამაშოს, როგორც შეუძლია. გვინდა, რომ ნაკრებში მოსული მოთამაშე გულანთებული, თავის ძალებში დარწმუნებული იყოს, მოედანზე გავიდეს და მოიგოს.*

*ახალ ზელანდიაში ინგლისის ნაკრების გამოსვლის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. მაგრამ გარწმუნებთ, ჩვენ მართლაც ნაყოფიერად ვიმუშავეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში 13 თამაშიდან ათს ვერაფრით მოვიგებდით.*

*ჩვენ ყველაფერი ვილონეთ მსოფლიოს თასის მოსაგებად. მაიკ ფორდმა და ჯონ უელსმა უდიდესი სამუშაო გასწიეს. სამწვრთნელო კარიერაში ჯერ კიდევ ნორჩი ვარ. მათთან მუშაობისას კი ბევრი რამ ვისწავლე".*

# ოლ ბლექსი ფოქსთან და ფორსტერთან ერთად

ახალი ზელანდიის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **სტივ ჰანსენმა** თავისი თანაშემწეები დაასახელა. მისი უშუალო ასისტენტი **იან ფოსტერი** იქნება, სელექციონერად კი **გრანტ ფოქსი** იმუშავებს.

*„ოლ ბლექსთან" მუშაობა უდიდესი პატივია. მადლიერი ვარ სტივ ჰანსენის გაწეული ნდობისთვის. ვფიქრობ, „უმცროს ოლ ბლექსთან" მუშაობისას დიდი გამოცდილება შევიძინე, რაც ამჟამად დიდ დახმარებას გამიწევს.*

*სტივ ჰანსენმა დამირეკა და მითხრა, რომ დიდი სურვილი აქვს ახალი ზელანდიის ნაკრებში ჩემთან ერთად იმუშაოს და სელექციას მივხედო. „ოლ ბლექსმა" წლეულს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ იქ ადგილი შევინარჩუნოთ"* - თქვა გრანტ ფოქსმა.

# ახალი ზელანდია ტურისტებით კმაყოფილია

მსოფლიოს თასის გათამაშების ორგანიზატორმა ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა გამოაქვეყნა ოფიციალური მონაცემები, რომლის თანახმადაც მსოფლიოს რაგბის უდიდესი ფორუმის მსვლელობისას ამ ქვეყანას 133 220 სტუმარი ეწვია.

ახალი ზელანდიის სტატისტიკურმა სამმართველომ დააზუსტა, რომ მსოფლიოს თასის შეხვედრების სანახავად სექტემბერში ქვეყანაში 80 ათასი უცხოელი ქომაგი ჩავიდა, ხოლო ოქტომბერში 53 200.

*„ეს ახალი ზელანდიისთვის და ამ ტურნირისთვის შესანიშნავი ციფრებია. ბილეთების გაყიდვებმა პიკს მსოფლიოს თასის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მიაღწია და ოქტომბრამდე სტაბილურად გრძელდებოდა."* – თქვა საორგანიზაციო კომიტეტის მარკეტინგის ხელმძღვანელმა **შეინ ჰარმონმა.**

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი სტუმარი ახალ ზელანდიას მეზობელი ავსტრალიიდან ეწვია - 55 200, დიდმა ბრიტანეთმა მსოფლიოს თასზე 19 100 ქომაგი მიავლინა, საფრანგეთმა - 11 100, სამხრეთ აფრიკამ - 8 500, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა - 5 500, ირლანდიამ - 4 300, არგენტინამ - 3 000, იაპონიამ - 2 900, კანადამ - 2 600. ახალ ზელანდიაში სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან ჯამში 20 900 ქომაგი ჩავიდა.

ყოველივე ამან კი, ცხადია, დადებითი გავლენა იქონია გაყიდვების მაჩვენებელზე. სტატისტიკური სამმართველო ამტკიცებს, რომ ასეთი ნამატი 2006 წლის შემდეგ ქვეყანას არ ჰქონია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



მეჰმეთ ოქური

# ოქური ნეტსში გადავიდა

“ნიუ ჯერსი ნეტსი” ახალ სეზონს თავისი ერთ-ერთი ლიდერის გარეშე დაიწყებს. 23 წლის ცენტრმა **ბრუკ ლოპესმა** “ნიუ იორკთან” წინასასეზონო მატჩში ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო და იძულებულია ოპერაცია გადაიტანოს. ჯერჯერობით არაფერს იტყობინებიან ლოპესის გამოჯანმრთელების ვადებზე.

საინტერესო ის არის, რომ ამ ტრავმის გამო ლოპესი პირველად გამოტოვებს “ნიუ ჯერსის” შეხვედრას – მას შემდეგ, რაც ბრუკი დრაფტზე აირჩიეს, მან წინა სამ სეზონში რეგულარული ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მატჩში ითამაშა.

შარშანდელ რეგულარულში ლოპესი საშუალოდ მატჩში 20.4 ქულასა და 6.0 მოხსნას აგროვებდა.

როგორც კი ლოპესის ტრავმის შესახებ გამოცხადდა, “ნიუ ჯერსიმ” სასწრაფოდ განახორციელა ტრეიდი “იუტა ჯაზთან”. ამ გუნდიდან მან თურქი ცენტრი **მეჰმეთ ოქური** გადაიბირა, სანაცვლოდ კი 2015 წლის დრაფტის მეორე რაუნდში არჩევანის უფლება დათმო.

ეს გაცვლა ორივე გუნდს აწყობდა. ოქური ლოპესს შეცვლის, “იუტაში” კი მაღლების რაოდენობა შემცირდება და **ენეს კარტერი, ელ ჯეფერსონი** და **დერიკ ფეივორსი** შეძლებენ სათამაშო დროის გადანაწილებას. გარდა ამისა, “ჯაზი” განთავისუფლდა ოქურის სოლიდური კონტრაქტისგან – თურქმა ამ სეზონში 10.8 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

ოქური “იუტაში” 2004-05 წლების სეზონში მივიდა. ის საშუალოდ კარიერაში 13.7 ქულასა და 7.1 მოხსნას აგროვებდა. შარშან თურქმა მხოლოდ 13 მატჩი ჩაატარა რეგულარულში და საშუალოდ 4.9 ქულა და 7.1 მოხსნა მიითვალა.

■ ■ ■

“ფინიქს სანზმა” შემადგენლობიდან დაითხოვა ფრანგი ფორვარდი **მიკაელ პიეტრუსი**. როგორც NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, მხარეებმა ეს გადაწყვეტილება ორმხრივი შეთანხმებით მიიღეს.

ივლისში პიეტრუსმა კონტრაქტში შესაბამისი პუნქტი გამოიყენა და 2012-13 წლების სეზონისთვის გააგრძელა ხელშეკრულება. ამ დროის განმავლობაში მას 5.3 მილიონი ფუნტი უნდა გამოემუშავებინა.

ზაფხულში პიეტრუსმა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და „ტორონტოში“ სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა.

■ ■ ■

ვებგვერდ Sportando-ს ინფორმაციით, „ატლანტა ჰოქსმა“ კონტრაქტი გააფორმა მცველ **უილი გრინთან**. გარიგების პირობები უცნობი დარჩა.

გასულ სეზონში 30 წლის გრინმა 77 მატჩი ჩაატარა „ნიუ ორლეანის“ რიგებში და საშუალოდ 8.7 ქულა და 2.1 მოხსნა დააგროვა. მანამდე მცველი ექვსი წელი „ფილადელფიაში“ მუშაობდა.

■ ■ ■

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერს **კობი ბრაიანტს** მაჯის ტრავმა აწუხებს და, შესაძლოა, სეზონის სტარტი გამოტოვოს. მაგრამ მცველმა განაცხადა, რომ მკურნალობის დრო არ არის და კვირას ის მოედანზე იქნება. რეგულარული ჩემპიონატის პირველ დღეს „ლეიკერსი“ „ჩიკაგოს“ ეთამაშება.

*„ყველაფერი წესრიგში მექნება. ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, რომ შევძლებ მოედანზე გასვლას. ტრავმებით ხშირად მითამაშია და არასდროს ყოფილა ისე, რომ ჩემი მდგომარეობა გართულებულიყოს. ყველაფერი ნორმალურად იქნება“*, - განაცხადა ბრაიანტმა.

| ატლანტა-შარლოტი | 92:75 |
|---|---|

27:27, 22:19, 22:12, 21:17

ა: სმიტი (21+6 მოხსნა), ი. ჯონსონი (15), ჯ. ჯონსონი (12+5 პასი), რადმანოვიჩი (11), ფაჩულია (8+8 მოხსნა).

შ: მაგეტი (18+5 მოხსნა), ოგუსტინი (9), კეროლი (9), უოკერი (8).

| ფინიქსი-დენვერი | 85:110 |
|---|---|

16:26, 34:26, 21:27, 14:31

ფ: დადლი (17), უორიკი (15), ბრაუნი (14), მორისი (12+7 მოხსნა).

დ: გალინარი (23+6 მოხსნა), ბრიუერი (20), კუფოსი (15), კეროლი (14), მილერი (9+7 მოხსნა+ 10 პასი), მოზგოვი (8+5 მოხსნა), ანდერსენი (8+7 მოხსნა).

კალათბურთი. ევროლიგა

# მეორე ეტაპის მოლოდინში

საკალათბურთო ევროლიგაზე დასრულდა ჯგუფური ეტაპი. ბოლო ტურის წინ ყველაზე დაძაბული სიტუაცია A ჯგუფში იყო, სადაც „ნანსის“ გარდა, ყველა გუნდი ინარჩუნებდა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს.

სწორედ ამ არეულობაში მოხდა წლევანდელი გათამაშების მთავარი სენსაცია - ჯგუფში ჩარჩა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად აღიარებული „კახა ლაბორალი“. ბასკურ დერბიში ის სტუმრად დამარცხდა „ბილბაოსთან“ და ამ გუნდს A ჯგუფიდან მეოთხე საგზური გადაულოცა.

ამ მატჩში სამი მეოთხედი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. მხოლოდ მეორე მეოთხედში შეძლო „ბილბაომ“ ექვსქულიანი უპირატესობის მოპოვება და სწორედ ეს აღმოჩნდა გადამწყვეტი ამ შეხვედრაში. „კახა ლაბორალმა“ ყველანაირად სცადა მატჩის გადარჩენა, რამდენჯერმე მინიმუმამდეც შეამცირა სხვაობა, მაგრამ ბოლო მაინც წააგო - 72:77 და ევროპაზე გამოსვლა დაასრულა.

იტალიაში ერთმანეთს ხვდებოდნენ „კანტუ“ და „ფენერბაჰჩე“ და პრაქტიკულად, ეს იყო ჯგუფში პირველი ადგილისთვის მატჩი. თითქმის მთელმა შეხვედრამ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და ბოლო მეოთხედის წინ ანგარიში თანაბარი იყო. ბოლო 10-წუთეულში კი თურქებმა იძალეს და გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს, რომელიც საბოლოოდ, ასეთ ანგარიშში გამოისახა - 83:76 „ფენერბაჰჩეს“ სასარგებლოდ.

„კანტუს“ რიგებში 13 ქულა და 5 მოხსნა დააგროვა **გიორგი შერმადინმა, მანუჩარ მარკოიშვილის** ანგარიშზე 9 ქულა იყო. „ფენერბაჰჩეში“ გამორჩეული იყო **სავაშის, ბოგდანოვიჩისა** და **უკიჩის** ტრიო - მათ შესაბამისად, 21, 19 და 17 ქულა დააგროვეს. თურქები პირველ ადგილზე გავიდნენ ჯგუფში, „კანტუ“ - მესამეზე.

ჯგუფური ეტაპის ბოლოს გამოასწორა თამაში „ოლიმპიაკოსმა“, რომელმაც საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა A ჯგუფში.

„ოლიმპიაკოსი“ თავისი ლიდერის **ვასილის სპანულისის** გარეშე თამაშობდა სტუმრად „ნანსის“ წინააღმდეგ და გაუჭირდა აუტსაიდერის დამარცხება.

მასპინძლები ხშირად იყვნენ წინ და ბოლო მეოთხედისთვისაც სამქულიანი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ჩააგდეს მატჩის დასკვნითი ნაწილი და „ოლიმპიაკოსს“ 5 ქულა დაუთმეს - 74:79.

ბერძნების რიგებში შესანიშნავი იყო **ანტიჩისა** და **პრინტეცისის** დუეტი, რომელმაც ერთად 38 ქულა მიითვალა.

■ ■ ■

C ჯგუფში ერთი საგზურის ბედი იყო გასარკვევი და ამ მხრივ გამორჩეული გახლდათ შეხვედრა ბელგრადში „პარტიზანსა“ და „მილანს“ შორის. იტალიურ კლუბს მინიმუმ ოთხი ქულით გამარჯვება სჭირდებოდა - სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, შემდეგ ეტაპზე ბელგრადელები გადიოდნენ.

ამ მატჩში ორი განსხვავებული ტაიმი ვიხილეთ: პირველში „პარტიზანს“ ჰქონდა უპირატესობა და დიდი შესვენებისთვის შვიდი ქულით დაწინაურდა. მაგრამ „მილანმა“ ეს ჩამორჩენა მესამე მეოთხედში გააბათილა და ერთი ქულით წინ გასვლაც მოახერხა. იტალიელები ამით არ დაკმაყოფილდნენ და ბოლო მეოთხედი ხუთი ქულით მოიგეს, რაც საბოლოოდ ასეთ ანგარიშში აისახა - 72:66 „მილანის“ სასარგებლოდ და ის აგრძელებს ბრძოლას ევროლიგაზე.

იტალიელთა რიგებში სამმა კალათბურთელმა გადალახა ათქულიანი ზღვარი და მათგან ყველაზე შედეგიანი იყო **ჰეირსტონი** 18 ქულით.

C ჯგუფში დარჩენილი ორი შეხვედრა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მადრიდის „რეალს“ გარანტირებული ჰქონდა პირველი ადგილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, საკუთარი გულშემატკივარი არ გაანბილა და სტუმრად თურქეთის „ეფესი“ დაამარცხა.

თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ „სამეფო კლუბი“ 7 ქულას აგებდა, სამაგიეროდ, მეორე ნახევარში მოედნის სრული ბატონ-პატრონი გახდა და 16 ქულა მოუგო „ეფესს“, საბოლოოდ კი 75:66 გაიმარჯვა და ჯგუფური ეტაპი რვა მოგებით დაასრულა. მთელ პირველ ეტაპზე უკეთესი შედეგი მხოლოდ ცსკა-სა და „ბარსელონას“ აქვთ.

ყველაზე დიდი ანგარიშით „მაკაბიმ“ გაიმარჯვა. ისრაელის ჩემპიონი სტუმრად „შარლერუას“ წინააღმდეგ თამაშობდა და გადამწყვეტ უპირატესობას მესამე მეოთხედში მიაღწია, როცა ეს ათი წუთი 30:15 მოიგო.

„შარლერუამ“, რომლის რიგებში არ თამაშობდა ტრავმირებული **თორნიკე შენგელია**, ბოლო მეოთხედის ორი ქულით მოგება შეძლო, მაგრამ საბოლოოდ 69:86 დამარცხდა და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა. „მაკაბი“ კი ერთი მოგებით ჩამორჩა „რეალს“ და მეორე პოზიციაზე დაასრულა ჯგუფური ეტაპი.

■ ■ ■

ტრადიციულად, დასახელდა ტურის საუკეთესო მოთამაშე. MVP გახდა იტალიის „მონტეპასკის“ მცველი **პიეტრო არადორი**, რომელმაც „პროკომის“ წინააღმდეგ 23 ქულა და 7 მოხსნა დააგროვა, მისმა გუნდმა კი 79:53 გაიმარჯვა.

ტურის მეორე მოთამაშეა „ბარსელონას“ ცენტრი **ბონიფაცი ნდონგი** - მან „გალათასარაის“ 16 ქულა ჩაუგდო.

მესამე პოზიციაზე ორ კალათბურთელს ვხედავთ - „ოლიმპიაკოსის“ ფორვარდს პერო ანტიჩსა და „ზაგრების“ ცენტრს **მარიო კასუნს**. მათ 20-20 ქულა მოიპოვეს „ნანსისთან“ და „ჟალგირისთან“ შეხვედრებში.



პარტიზანი-მილანი

### A ჯგუფი

| კანტუ-ფენერბაჰჩე | 76:83 |
|---|---|

16:17, 15:14, 24:24, 21:28

კ: ლეუნენი (13), შერმადინი (13+5 მოხსნა), მარკონატო (10+5 მოხსნა), მარკოიშვილი (9), ბაზილე (9), მიჩოვი (8+6 მოხსნა+4 პასი).

ფ: სავაში (21+6 მოხსნა), ბოგდანოვიჩი (19+5 მოხსნა), უკიჩი (17), პრელჯიჩი (9).

| ნანსი-ოლიმპიაკოსი | 74:79 |
|---|---|

27:21, 17:26, 20:14, 10:18

ნ: შულერი (18+9 მოხსნა), მოერმანი (11), სამნიკი (10), ბადიანი (8), რაინჰენი (8+5 ჩაჭრა).

ო: ანტიჩი (20), პრინტეცისი (18+5 მოხსნა), ჰაინსი (8+12 მოხსნა), სლუკასი (8).

| ბილბაო-კ. ლაბორალი | 77:72 |
|---|---|

20:20, 20:14, 18:18, 19:20

ბ: ბანიჩი (18), ბლუმსი (11), მუმბრუ (10+5 მოხსნა+4 პასი), ჯექსონი (8+5 მოხსნა).

კ-ლ: მ. ბიელიცა (15+7 მოხსნა), პრიჯიონი (13+4 პასი), ტელეტოვიჩი (12+7 მოხსნა), ოლესონი (10), რიბასი (10), ნ. ბიელიცა (8).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 6 | 4 | 27 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 6 | 4 | 25 |
| 3. კანტუ | 5 | 5 | -20 |
| 4. ბილბაო | 5 | 5 | 21 |
| 5. კ. ლაბორალი | 5 | 5 | 37 |
| 6. ნანსი | 3 | 7 | -90 |

### C ჯგუფი

| ეფესი-რეალი | 66:75 |
|---|---|

21:15, 22:21, 13:21, 10:18

ე: სავანოვიჩი (15+11 მოხსნა+4 პასი), გიულერი (13), ბარაცი (11+9 მოხსნა), აქიოლი (8+5 პასი).

რ: მიროტიჩი (16), კეროლი (12), სინგლერი (12), ლიული (12+4 პასი).

| შარლერუა-მაკაბი | 69:86 |
|---|---|

16:22, 18:16, 15:30, 20:18

შ: გრინი (16+5 მოხსნა), მალეტი (13), ჰილი (10).

მ: ლენგფორდი (20+5 მოხსნა), ბლუ (13+5 მოხსნა), სმიტი (10+5 მოხსნა), პაპალუკასი (9).

| პარტიზანი-მილანი | 66:72 |
|---|---|

18:14, 18:15, 14:22, 16:21

პ: მილოსავლევიჩი (14+6 მოხსნა), მაჩვანი (13+11 მოხსნა+4 პასი), რადულიცა (11+8 მოხსნა), კატიჩი (11), კეჩმანი (9).

მ: ჰეირსტონი (18), კუკი (17+6 პასი), ბურუსისი (13).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 8 | 2 | 106 |
| 2. მაკაბი | 7 | 3 | 58 |
| 3. ეფესი | 5 | 5 | -30 |
| 4. მილანი | 4 | 6 | 4 |
| 5. პარტიზანი | 4 | 6 | -35 |
| 6. შარლერუა | 2 | 8 | -103 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ჰეთ-თრიკი სამნახევარ წუთში


ჯეფ კარტერი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ცნობილი ნიუორკული დერბი გაიმართა - „მედისონ სკვერ გარდენში“ „რეინჯერსმა“ „აილენდერსს“ უმასპინძლა. ამ სეზონში ეს გუნდების მესამე შეხვედრა იყო და მესამედ დაფიქსირდა ანგარიში - 4:2. ერთხელ „აილენდერსმა“ მოიგო, ბოლო ორი შეხვედრა კი „რეინჯერსს“ დარჩა.

„რეინჯერებმა“ ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს და კონფერენციაში მეოთხე ადგილზე არიან, „აილენდერსი“ კი ბოლო წლების მსგავსად ისევ აუტსაიდერის როლით კმაყოფილდება - „კუნძულელები“ ცხრილში ბოლოსწინა ადგილს იკავებენ.

ღრმა კრიზისში იმყოფება „მონრეალ კანადიენსი“, რომელსაც ჯერჯერობით მწვრთნელის შეცვლამაც ვერ უშველა. კანადურმა კლუბმა ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო - სტუმრად დამარცხდა „ვინიპეგის“ წინააღმდეგ. „მონრეალმა“ ვერაფერი მოუხერხა მეტოქის ჩეხ მეკარეს, **ონდრჟეი პაველეცს**, რომელმაც 27-ვე დარტყმა მოიგერია და მორიგი „შათაუტი“ ჩაიწერა აქტივში.

ამ მოგებით ვინიპეგმა „ვაშინგტონს“ გაასწრო და „ნიუ ჯერსის“ გაუთანაბრდა, რომელთანაც მერვე ადგილს იყოფს.

ყველაზე საინტერესო მატჩი ნეშვილში გაიმართა, სადაც ადგილობრივი „პრედატორზი“ „კოლამბუსს“ ილებდა. მატჩის დასაწყისი ფანტასტიკური გამოვიდა. მასპინძლები ფიშერმა დააწინაურა და ამის შემდეგ „კოლამბუსმა“ აიწყვიტა - ოთხ წუთში ოთხი გოლი გაიტანა! ამ პერიოდში სამნახევარ წუთში ჰეთ-თრიკი შეასრულა **ჯეფ კარტერმა**! მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **ბრაიან მაკგრეტანის** ხუთწუთიანმა გაძევებამ - ოთხიდან სამი გოლი „კოლამბუსმა“ სწორედ რიცხობრივი უპირატესობისას გაიტანა. მაგრამ დარჩენილ ორ პერიოდში სტუმრებს იღბალმა ზურგი შეაქცია. „ნეშვილს“ 1:4-დან და 2:5-დან ანგარიშის გასათანაბრებლად ეყო ძალები, ხოლო ფინალური წერტილი **მარტინ ერატმა** დასვა, რომელმაც საფინალო სირენამდე ცხრა წამით ადრე მოუტანა გამარჯვება „ნეშვილს“.

ანალოგიური გმირობა ვერ ჩაიდინა „დეტროიტმა“. პირველი ორი პერიოდის შემდეგ „რედ უინგზი“ 0:3-ს აგებდა და მესამე პერიოდში შეძლო ორი შაიბის გაქვითვა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ოვერტაიმის მისაღწევად.

კატასტროფულად აქვს საქმეები „მინესოტას“. დეკემბრის დასაწყისში ბრწყინვალე თამაშის შემდეგ, „უაილდმა“ ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგო - ამჯერად, „ედმონტონთან“ დამარცხდა 1:4. „ოილერზმა“ აქტიურად დაიწყო შეხვედრა და პირველ პერიოდში დარტყმების შეფარდება იყო - 20:3 „მენავთობეების“ სასარგებლოდ. ამ 20 დარტყმიდან ორმა მიზანს მიაღწია. კიდევ ორი გოლი „ედმონტონმა“ მეორე პერიოდში გაიტანა - დუბლი შეასრულა **ჯორდან ებერლემ**, ასევე თითო შაიბა გაიტანეს **რაიან სმიტმა** და **ლენარტ პეტრელმა**.

**რეინჯერსი-აილენდერსი 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები**: 1:0 დუბინსკი-2 (ბიკელი-2, ბირონი-2), 1:1 პარენტო-6 (შტრაიტი-15, მოულსონი-11), 2:1 გაბორიკი-20 (ანისიმოვი-15), 3:1 დელ ზოტო-4 (პრუსტი-5, სტრალმანი-2), 3:2 მოულსონი-16 (ტავარესი-17, შტრაიტი-16), 4:2 ჯ. მიტჩელი-2 (დუბინსკი-13, სტრალმანი-3).

**ტორონტო-ბაფალო 3:2**

0:0, 2:1, 1:1

**გოლები**: 0:1 პომინვილი-11 (ვანეკი-19), 1:1 შტეკელი-6 (შენი-10, კრები-5), 2:1 კესელი-20 (ლუპული-22, ფანოფი-16), 2:2 როი-8 (პომინვილი-26), 3:2 კადრი-1 (მაკარტური-5).

**ვინიპეგი-მონრეალი 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები**: 1:0 ველერი-4 (ბაფლინი-18, ენსტრიომი-7), 2:0 გლასი-4 (ანტროპოვი-14, უელვუდი-14), 3:0 ველერი-5 (ჰეინსი-3, პაველეცი-2), 4:0 სტეპლტონი-4 (ველერი-19, ბოგოსიანი-13).

**ოტავა-ფლორიდა 4:3**

1:0, 0:1, 2:2, 1:0

**გოლები**: 1:0 კ. ნილი-4 (ე. კარლსონი-29, ალფრედსონი-14), 1:1 რეპიკი-1 (ფლიშმანი-19, ვესტრიგი-20), 2:1 ალფრედსონი-10 (კ. ნილი-6), 2:2 მატიასი-6 (ბ. კემპბელი-24, სანტორელი-2), 3:2 ე. კარლსონი-4 (ალფრედსონი-15, გრინინგი-9), 3:3 კოპეცკი-5 (ვესტრიგი-21, ბრედლი-2), 4:3 ბატლერი-3 (ტარისი-2, კოუენი-7).

**ნეშვილი-კოლამბუსი 6:5**

1:4, 3:1, 2:0

**გოლები**: 1:0 ფიშერი-7 (ს. კოსტიცინი-10, რ. სატერი-17), 1:1 ჯ. კარტერი-8 (პროსპალი-20), 1:2 ჯ. კარტერი-9 (ნეში-13, ტიუტინი-15), 1:3 იოჰანსენი-6 (უმბერგერი-8, ბრასარი-5), 1:4 ჯ. კარტერი-10 (ნეში-14, ნიკიტინი-12), 2:4 ჰორნკვისტი-9 (შ. უებერი-18, ლეგუანდი-14), 2:5 იოჰანსენი-7 (უმბერგერი-9, ბრასარი-6), 3:5 სპალინგი-5 (კ. უილსონი-12, ტუტუ-9), 4:5 ჯოზი-2 (ბუიონი-4, ერატი-15), 5:5 ლეგუანდი-9 (კ. უილსონი-13, შ. უებერი-19), 6:5 ერატი-7 (რ. სატერი-18, შ. უებერი-20).

**კალგარი-დეტროიტი 3:2**

1:0, 2:0, 0:2

**გოლები**: 1:0 გლენკროსი-12 (ო. იოკინენი-18, ბროდი-5), 2:0 კომო-2 (ბ. მორისონი-6, ჯეკმენი-6), 3:0 გლენკროსი-13 (ბოუმისტერი-11), 3:1 ჰუდლერი-8 (ჯ. ერიქსონი-5), 3:2 ი. უაიტი-5 (დაციუკი-25).

**ედმონტონი-მინესოტა 4:1**

2:0, 2:0, 0:1

**გოლები**: 1:0 ებერლე-14, 2:0 რ. სმიტი-13 (შმიდი-3, გილბერტი-11), 3:0 პეტრელი-3, 4:0 ებერლე-15 (პოტერი-7, რაიან უიტნი-3), 4:1 ჰიტლი-10 (კულენი-12, სპარჯონი-13).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 3:2 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები**: 0:1 ჰაგმანი-6 (ვიშნოვსკი-6, სბისა-7), 1:1 მ. რიჩარდსი-12 (დაუტი-9), 2:1 დ. ბრაუნი-8 (კოპიტარი-21, დაუტი-10), 2:2 ვიშნოვსკი-3 (ჰაგმანი-6, ლიდმანი-8).

***ბულიტები გიტანეს***: *სტოლი (ლოს ანჯელესი), პერი (ანაჰაიმი), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი).*

● ჩოგბურთი

# ყაზახეთში გაქცეული რუსი


ქსენია პერვაკი

პერსპექტიულმა რუსმა ჩოგბურთელმა, 20 წლის **ქსენია პერვაკმა** მოქალაქეობა შეიცვალა და იანვრიდან ტურნირებში ყაზახეთის სახელით გამოვა. ეს ინფორმაცია რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **შამილ ტარპიშჩევმა** დაადასტურა. მან ისიც დაამატა, რომ პერვაკის გადაწყვეტილება გაკვირვებას იწვევს: ის ვერ შეძლებს ლონდონის ოლიმპიადაზე თამაშს, რადგან ფედერაციის თასზე რუსეთის ნაკრების რიგებში მოასწრო გამოსვლა.

პერვაკმა წლევანდელი სეზონი 39-ე ჩოგანის რანგში დაასრულა. 2011 წელს მან კარიერაში პირველად მოიგო WTA-ის ტურნირი - ტაშკენტში მოიპოვა მთავარი პრიზი, ბაქოში კი ფინალში ითამაშა.

■ ■ ■

ცნობილმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **რაინერ შუტლერმა** გერმანულ პრესაში განაცხადა, რომ 2012 წლის სეზონი ბოლო იქნება მის კარიერაში.

*„ჯერჯერობით კონკრეტული თარილი არ დამითქვამს, მაგრამ ზუსტად გადავწყვიტე, რომ 2013 წელს თამაშს არ ვაპირებ“*, - განაცხადა 35 წლის ჩოგბურთელმა.

ამ მომენტისთვის შუტლერი 132-ე ადგილს იკავებს რეიტინგში, მისი საუკეთესო შედეგი კი მეხუთე პოზიცია იყო კლასიფიკაციაში. რაინერის ანგარიშზე ATP-ის ოთხი ტიტული მოდის. გარდა ამისა, ავსტრალიის ღიას ფინალში უთამაშია.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილმა მეხუთე ჩოგანმა, ჩილელმა **ფერნანდო გონსალესმა** განაცხადა, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე განაცხადი შეტანილი აქვს, მაგრამ, სავარაუდოდ, მელბურნში არ გაემგზავრება.

ამასთან, ჩილელმა უარყო კარიერის დასრულების შესახებ ჭორები და აღნიშნა, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებს.

*„როცა კარიერის დასრულებას გადავწყვეტ, ამას პირადად ჩემგან გაიგებთ და არა „მოთამაშესთან დაახლოებული წყაროდან“*, - ამბობს გონსალესი ინტერვიუში.

● კრივი

# იახტა არ უნდა ეყიდა

როგორც ცნობილია, მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** ცოტა ხნის წინ 570 ათას დოლარად შეიძინა იტალიური წარმოების იახტა, რომელსაც „სარანგანის სიამაყე“ დაარქვეს - იმ პროვინციის საპატივცემულოდ, რომელშიც სპორტსმენი ცხოვრობს. პაკიაოს თქმით, იახტა საშობაო საჩუქარია მისი ოჯახისა და მეუღლისთვის, რომელიც ყოველთვის ოცნებობდა საკუთარ იახტაზე.

ჩემპიონის შენაძენმა ფილიპინებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ბევრი თანამემამულე მხარს უჭერს მოკრივეს - ამბობენ, რომ მას შეუძლია თავისი შრომით მოპოვებული მილიონებით რაც სურს, შეიძინოს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებმაც გააკრიტიკეს პაკიაო. მათი აზრით, მენი ბრწყინვალე მოკრივე და ავტორიტეტული ადამიანია, მაგრამ მოქმედ სპორტსმენს არ შეშვენის ძვირფასი იახტის შეძენა იმ დროს, როცა ფილიპინებმა მორიგი ტაიფუნი გადაიტანა.

პაკიაო ფილიპინების კონგრესმენია სარანგანის პროვინციიდან. უფრო მეტიც, არც ისე დიდი ხნის წინ მან განაცხადა, რომ გუბერნატორის არჩევნებში აპირებს მონაწილეობის მიღებას და გამარჯვების შემთხვევაში კრივს თავს დაანებებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**პორტუგალიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| მორეირენსე-ნასიონალი | 2:2 (პენ 5:6) |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| ველინგტონი-ნიუკასლი | 5:2 |
| მელბურნი ჰ-მელბურნი ვ | 3:2 |
| პერტი-სენტრალი | 1:3 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ვიურცბურგი-ბაიერნი | 64:55 |
| ალბა-ულმი | 89:58 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პარიზი-ნანტი | 86:79 |
| ვილერბანი-პუატიე | 82:67 |
| ჰავრი-გრაველინი | 58:67 |
| ორლეანი-ტულონი | 95:73 |
| სტრასბური-ლე მანი | 73:89 |
| შალონი-პო ორტეზი | 85:64 |
| შოლე-დიჟონი | 71:88 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ავტომობილისტი-ტორპედო | 1:2 |
| ბარისი-დინამო (მ) | 5:1 |
| ს. იულიაევი-სიბირი | 7:4 |
| აკ ბარსი-მეტალურგი (ნ) | 3:2 |
| ვიტიაზი-იუგრა | 3:1 |
| ნეფტეხიმიკი-ამური | 4:6 |
| სევერსტალი-მეტალურგი (მ) | 1:4 |
| სპარტაკი-ავანგარდი | 3:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 3:2 (ო) |
| იზერლონი-დიუსელდორფი | 1:2 (ბ) |
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 5:6 (ბ) |
| მანჰაიმი-ჰამბურგი | 2:3 (ბ) |
| ინგოლშტადტი-კრეფელდი | 4:2 |
| კიოლნი-აისბარენი | 2:4 |
| ვოლფსბურგი-მიუნხენი | 4:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-ბერნი | 4:3 (ო) |
| ლუგანო-ცუგი | 3:5 |
| რაპერსვილი-ლანგნაუ | 3:5 |
| სერვეტი-ციურიხი | 3:4 (ო) |
| ფრიბურგი-კლოტენი | 4:3 (ო) |

● TV პროგრამა

**24 დეკემბერი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XVII ტური. სევილია-რეალი.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**15:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტური. სენტ ეტიენი-პსჟ.
**18:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**19:30** გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**20:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XVII ტური. ფრაიბურგი-დორტმუნდი.
**23:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. ნაპოლი-ჯენოა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**12:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. გაელ მონფილსი-იარკო ნიემინენი. ბაშტადი. შვედეთი.
**13:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**16:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-მალაგა.
**17:55** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტულუზა-არლეკინსი.
**19:35** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
**20:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ვალანსიენი-ლიონი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. ინდიან უელსი. აშშ.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**14:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-ფიორენტინა.
**16:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი X ტური. ეფესი-რეალი.
**18:15** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**19:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ცინცინატი. აშშ.
**20:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - World of Aquatic.
**21:15** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. VI ეტაპი. აბუ დაბი. საემიროები.
**22:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.

**I არხი**

**14:00** კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**25 დეკემბერი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ასტონ ვილა-არსენალი.
**12:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**13:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტური. კალიარი-მილანი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტური. ნანსი-მარსელი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ტოტენჰემი-ჩელსი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა.
**22:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XIX ტური. ლილი-ნიცა.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XVII ტური. ფულემი-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი. ინდიან უელსი. აშშ.
**13:00** სინქრონული ცურვა.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**16:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-იუვენტუსი.
**18:00** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. VII ეტაპი. შარჯა. საემიროები.
**19:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-კიოლნი.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ბოსტონი (LIVE).
**23:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 2011 წლის ფინალური მატჩები. როლან გაროსი. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი. პარიზი. საფრანგეთი.
**02:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ჩიკაგო (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**14:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-კიევო.
**16:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
**16:30** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. პარტიზანი-მილანი.
**18:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტურის მიმოხილვა.
**19:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტულუზა-არლეკინსი.
**20:45** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.
**21:10** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
**22:30** F1H20 - ფორმულა 1 წყალზე. მსოფლიოს ჩემპიონატი. VI ეტაპი. შარჯა. საემიროები.
**23:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-მაიამი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ოლიმპიზმი




# სამეული არ შეიცვლება

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში კიდევ ერთხელ შეაჯამეს საზაფხულო სპორტის სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატების შედეგები და შეადგინეს ცხრილი, რომელიც მიახლოებით პროგნოზს იძლევა ლონდონის ოლიმპიადაზე ქვეყნებს შორის მედლების გადანაწილების მხრივ.

ყველანაირი პროგნოზით, 2012 წლის თამაშებზე ულაპარაკოდ ჩინეთი გაიმარჯვებს. ამ ქვეყნის პირველობას ჯერ კიდევ 2000 წელს სიდნეიში პროგნოზირებდნენ, 2004 წელს ათენში ეს უკვე შემდგარი ფაქტი იყო, პეკინის ოლიმპიადა კი მასპინძლებისთვის სრულ ტრიუმფად იქცა.

ამ ოლიმპიურ ციკლში ჩინეთი აგრძელებდა ამერიკელების (და სხვების) უკან ჩამოტოვებას. აშშ-მ მართლაც ოდნავ დათმო საკუთარი პოზიციები და ამ ქვეყანას 2010 წელს მედლების რაოდენობით რუსეთმაც კი გაუსწრო.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი ტენდენცია. სტატისტიკა ამბობს, რომ ოლიმპიადის წელს ამერიკელები სერიოზულ პროგრესს განიცდიან. ეს ძირითადად აშშ-ის ოლიმპიურ სპორტში ფინანსირების სისტემასთან არის დაკავშირებული. აქ არ არსებობს პირდაპირი ფინანსური ინექციები სახელმწიფოსგან, როგორც ამას რუსეთსა და ჩინეთში აკეთებენ. ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, ამერიკული სპორტული ფედერაციების სასარგებლოდ სპონსორული თანხების ოდენობა იზრდება, რაც გუნდებს ხარისხიანი მომზადების საშუალებას აძლევს. ამას ყოველთვის მოაქვს ეფექტი და ამჯერადაც ძლიერ აშშ-ის ნაკრებს ვიხილავთ.

პეკინში რუსეთის ძალიან სუსტი გამოსვლის გამო, ლონდონში ბრიტანეთს უწინასწარმეტყველებდნენ მესამე პოზიციას, მაგრამ 2011 წლის სეზონში ამ გუნდს სერიოზული პრობლემები შეექმნა. საშინაო ოლიმპიადის წინ, ბრიტანელებმა მკაცრად დიფერენცირებული დაფინანსების სტრატეგია აირჩიეს. სპორტის თითოეულ სახეობას ფულს აძლევდნენ არა მათი მოთხოვნის, არამედ შესაძლებლობების შესაბამისად – იქიდან გამომდინარე, რა შედეგები ჰქონდათ ათლეტებს პეკინში.

ჯერ კიდევ შარშან, ბრიტანელები 2008 წლის შედეგების დონეზე იყვნენ და ოდნავ წინაც წავიდნენ, მაგრამ წელს აშკარა ჩავარდნა ჰქონდათ. ფინანსურად უზრუნველყოფილმა ნიჩბოსნებმა კლასი დაადასტურეს, ტრადიციულად წარმატებულმა ველომრბოლებმა და აფროსნებმა კი მხოლოდ ორი ოქრო აიღეს, იმ დროს, როცა პეკინში ჯამში 11 გამარჯვება ჰქონდათ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თითქოს რუსეთის ნაკრების მესამე ადგილს არაფერი ემუქრება. მართალია, რუსებმა უჩვეულოდ ბევრი – ცხრა გამარჯვება მოიპოვეს მძლეოსნობაში და შეიძლება ეს შედეგი ველარ გაიმეორონ, სამაგიეროდ, ჩააგდეს კრივი, სადაც ტრადიციულად ძლიერები არიან.

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩინეთი | 40 | 27 | 27 | 94 |
| 2. აშშ | 34 | 19 | 24 | 77 |
| 3. რუსეთი | 27 | 22 | 23 | 72 |
| 4. ავსტრალია | 14 | 12 | 6 | 32 |
| 5. იაპონია | 12 | 12 | 13 | 37 |
| 6. საფრანგეთი | 12 | 9 | 17 | 38 |
| 7. ბრიტანეთი | 11 | 25 | 14 | 50 |
| 8. გერმანია | 11 | 17 | 17 | 45 |
| 9. იტალია | 11 | 7 | 11 | 29 |
| 10. კენია | 7 | 6 | 4 | 17 |
| 11. ირანი | 7 | 3 | 4 | 14 |
| 12. ზელანდია | 6 | 5 | 7 | 18 |
| 13. ბრაზილია | 6 | 4 | 5 | 15 |
| 14. უკრაინა | 6 | 3 | 9 | 18 |
| 15. კორეა | 5 | 3 | 13 | 21 |
| 16. ბელარუსი | 4 | 5 | 6 | 15 |
| 17. უნგრეთი | 4 | 4 | 5 | 13 |
| 18. იამაიკა | 4 | 4 | 1 | 9 |
| 19. აზერბაიჯანი | 4 | 3 | 7 | 14 |
| 20. საბერძნეთი | 4 | 2 | 1 | 7 |

# ლონდონი მზად არის

ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე შვიდი თვით ადრე საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა კიდევ ერთხელ შეამოწმა 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადისთვის ლონდონის მზადყოფნა. როგორც ირკვევა, ამ მომენტისთვის ოლიმპიური არენები 90 პროცენტით არის მზად სპორტსმენების მისაღებად.

ოლიმპიური პარკი, სადაც განთავსებულია საგაისო თამაშებისთვის განკუთვნილი სტადიონების უმეტესი ნაწილი, მომავალი წლის დასაწყისში ჩაბარდება ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებს.

ლონდონის ერთ დროს ყველაზე ღარიბი და მიგდებული უბანი – სტრატფორდი დღეს ერთ დიდ სპორტულ არენად არის გადაქცეული და აქ ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ცხოვრება სტრატფორდის კომპლექსში ოლიმპიადის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება.

ოლიმპიური პარკის მთავარი ღირსშესანიშნაობა, რა თქმა უნდა, ოლიმპიური სტადიონია, რომელზეც 27 ივლისს გახსნის ცერემონია გაიმართება. ის პარკის სამხრეთით, ერთგვარ კუნძულოვან ტერიტორიაზე მდებარეობს და სამი მხრიდან წყლით არის შემოფარგლული. მთავარი არენის ტევადობა 80 ათასი მაყურებელია.

საწყლოსნო სახეობების ცენტრის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო. მას ორიგინალური შესასვლელი აქვს – ეს გახლავთ ფართო ხიდი, რომლითაც ეს არენა ოლიმპიურ პარკს უკავშირდება.

საწყლოსნო ცენტრში არის 50-მეტრიანი საცურაო აუზი, 25-მეტრიანი აუზი წყალში მხტომელებისთვის და 50-მეტრიანი აუზი მოთელვისთვის. ცენტრი განკუთვნილია მოცურავეებისთვის, წყალში მხტომელებისთვის, სინქრონული მოცურავეებისა და წყალბურთელებისთვის. სულ ამ ცენტრში ოლიმპიელები და პარალიმპიელები ჯამში 192 მედალს გაითამაშებენ.

თამაშების შემდეგ ეს დარბაზი ცურვის მოყვარულთა ცენტრად გადაიქცევა. გაიხსნება საცურაო სკოლები და კლუბები და გარდა ამისა, წამყვანი მოცურავეებიც ივარჯიშებენ.

ველოდრომის მშენებლობა 2011 წლის თებერვალში დასრულდა. ეს არის ორიგინალური პროექტი, რომელსაც გამოარჩევს ასპროცენტიანი განიავების სისტემა, რომელიც ოპტიმალურ ტემპერატურას ქმნის შენობაში და არ არის საჭირო ჰაერის კონდიცირება.

თამაშების შემდეგ, ოლიმპიურ პარკთან ახლოს მთის ველოსიპედის ტრასას მოაწყობენ და აქ ნამდვილი ველოპარკი გაშენდება. ბრიტანელებს სურთ, ლონდონი მსოფლიოს ველომრბოლელთა დედაქალაქად იქცეს.

ოლიმპიადის პრესცენტრი 24 საათის განმავლობაში იმუშავებს. ის უკვე დღეს არის მზად მიიღოს 20 ათასი ჟურნალისტი, რომელიც ოლიმპიური ახალი ამბებით მოამარაგებს დაახლოებით 4 მილიარდ ადამიანს.

ოლიმპიური პარკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ოლიმპიური სოფელი, რომელშიც 23 ათასი სპორტსმენი იცხოვრებს. აქედან ათლეტებს დიდი დრო არ დასჭირდებათ არენებამდე მისასვლელად. გარდა ამისა, სპეციალური ტრანსპორტით ოლიმპიური სოფლიდან ლონდონის ცენტრამდე მისვლა შვიდ წუთშია შესაძლებელი.

თამაშების შემდეგ ეს კორპუსები ბინებად გადაკეთდება და აქ დაახლოებით 2 800 ლონდონურ ოჯახს დაასახლებენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა


ოლიმპიური პარკი




ოლიმპიური სტადიონი


ველოდრომი

● ქვირის ბოლოს


მატჩისწინა შემოწმება — ალექსანდრე ტოგონიძის კოლაჟი

